

917722981095006

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი



პერიოდი

ფასი 2 ლარი

1134 /2
2019

12



2019 / ოზონი

2 (280)

ღონ კიხოტი

უწყვეტი კვლევა და უწყვეტი სპე-ჭაბა

ნიგნის ნადიმები	3	მალხაზ ხარბედია დონ კიხოტი - უწყვეტი კვდომა და უწყვეტი სმა-ჭამა
პროზა	10	ზაზა ფირალიშვილი ბოგანო
	21	კობა ცხაკაია ყველაფერი ტყუილია
პოეზია	26	ნიკა ლაშხია
	29	პაპუნა გიორგაძე
თარგმანი	33	უაიკი ვანი ომაკასე
		ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ
ესე	41	ტარიელ დათიაშვილი მელია და მწევარი
რეცენზია	47	ნანა ტრაპაიძე ჩიხი და ილუზია

გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი

არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია
"არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "Arili"

რედაქტორები
მალხაზ ხარბედია
შადიმან შამანაძე

მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი ინა არჩუაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა თამაზ ჩხაიძე

პროექტის მენეჯერი ეკა ხარბედია

სარედაქციო საბჭო

რატი ამაღლობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე,
ლაშა ბულაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე,
ზურაბ კიკნაძე, ვასილ მალლაფერიძე,
ზვიად რატიანი, ჯიმშერ რეხვიაშვილი,
ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე,
ბაკურ სულაკაური, ირმა ტაველიძე,
ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.

არილი - დასასვენებელი სინამდეთა

სულხან-საბა

არილი - მზის შუში, რამეზე დამდგარი

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

არილი - თანამედროვე ქართული ლიტერატურის
მარილი

ხალხური

ელექტრონული ფოსტა: info@arilimag.ge
ვებგვერდი: arilimag.ge

გამოდის 1993 წლიდან

© ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება
"არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია

ჟურნალი გამოდის
საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტროს
ფინანსური მხარდაჭერით



მალხაზ ხარბედიძე

დონ კიხოტი - უწყვეტი კვდომა და უწყვეტი სმა-ჭამა



იშვიათად იწყება რომანი მთავარი გმირის მე-
ნიუს ჩამოთვლით.

პირველად ეს თანამედროვე რომანის გარიჟ-
რაჟზე მოხდა, ყველასთვის კარგად ნაცნობ ნიგ-
ნში, რომლის პირველივე აბზაცშიც სახელოვანი
იდალგოს პირის გემოსა და გასტრონომიული შე-
საძლებლობების დეტალებს ამოვიკითხავთ. „დონ
კიხოტის“ ამ დასაწყისს არაერთი კომენტატორი
ახსენებს, თუმცა, ჩემი აზრით, ნაბოკოვის ინტერ-
პრეტაცია ყველაზე საყურადღებოა და მახვილ-
გონივრული.

XX საუკუნის მწერალი განსაკუთრებულ მნიშ-
ვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ დონ კიხოტი,
50 წლის ასაკში ერთდროულად იწყებს სარაინდო
რომანების კითხვას, ჭკუიდან გადასვლას და ამავე-

დროულად მძიმე-მძიმე სადილების ჭამას. იგი
ხაზს უსვამს, რომ რომელიღაც მთარგმნელმა
ერთ-ერთ კერძს Resurrection Pie უწოდა (Duelos
y Quebrantos, სიტყვასიტყვით, ტანჯვა და მოტე-
ხილობანი), რომელიც ბაჩანა ბრეგვაძის თარგმან-
ში გადმოტანილია როგორც ერბოკვერცხი, ავა-
ლიშვილთან კი - ქონიანი ტაფამწვარი. ნაბოკოვი
დასძენს, რომ ესაა შეჭამანდი, რომელიც გადაჩე-
ხილი საქონლის ხორცისგან მზადდება. ასე რომ
ნაბოკოვი ნახევრად ხუმრობით კვების რაციონ-
საც აბრალებს დონ კიხოტის საქციელს, მის გა-
გიჟებას, სიშლეგეს. სხვათა შორის, აქ საქონლის
ტანჯვა და ტკივილები კი არ იგულისხმება, გადა-
ჩეხვისას, არამედ პატრონის გრძნობები, როცა
ამ გადაჩეხილს აღმოაჩენს, ამ დანაკარგს.



აი როგორ უღერს უკვდავი დასაწყისი ბაჩანა ბრეგვაძის თარგმანში:

„უფრო ხშირად ძროხის ხორცის ოლასა ჭამდა, ვიდრე ცხვრისას, ვახშმად სალპიკონს შეეცეოდა, შაბათობით - ერბოკვერცხს, პარასკეობით - ოსპის შეჭამანდს, კვირა დღეს კი დამატებით მტრედის ტაბაკასაც გეახლებოდათ“.

ჩვენი 50-ს მიტანებული იდალგოს შემოსავლის სამი მეოთხედი სწორედ ამ საქმეს, ჭამას ხმარდებოდა თურმე, თანაც იგი ნადირობის დიდი ტრფიალიც იყო და შესაბამისად, ხანდახან ნადირევსაც დაიდგამდა ხოლმე სუფრაზე. ერბოკვერცხი და ოსპის შეჭამანდი გასაგებია, მაგრამ იმ ორ კერძს რაც შეეხება, ოლასა და სალპიკონს, მათ გამოცნობას დიდი დაგუგლვა და ქექვა არ უნდა, რადგან ბაჩანა ბრეგვაძისეულ თარგმანს მთარგმნელისვე დეტალური კომენტარებიც ახლავს, სადაც ორივე კერძია ახსნილი. თანაც არ უნდა დაგვაგინყდეს, რომ თურმე სერვანტესის დროს საქონლის ხორცი უფრო იაფი ღირებულა, ვიდრე ცხვრისა, და ოლაც და სალპიკონიც ამ შედარებით იაფიანი პროდუქტისგან მზადდებოდა - მარტივი შეჭამანდები, მარტივად შეკაზმული.

ზემოთ ორჯერ ვახსენეთ გმირის ასაკი, 50 წელი. ეს მნიშვნელოვანი სიახლეა, რადგან სხვა სარაინდო რომანებში, როგორც წესი, ბავშვობიდან ვადევნებთ თვალს რაინდის ზრდას და ჩამოყალიბებას. აქ არაფერი ვიცით დონ კიხოტის ყრმობის და ახალგაზრდობის შესახებ. ეს სიახლე ახალი რომანის ერთ-ერთი ნიშანიცაა. აქედან იწყება ევროპული რომანი, როგორც ნაბოკოვი უწოდებს თავის ლექციაში - მოშინაურებული ძუძუმწოვარა, რომელიც ეპიკური მონსტრიდან მოთვინიერებულ ცხოველად იქცა. ამ მოთვინიერებაში კონკრეტულობასთან გაშინაურებაც იგულისხმება, ის, რაც შემდეგ XVIII-XIX საუკუნის რომანში ნამყვან ძალად იქცევა. ეს ცვლილებების გზა, რამდენიმე სხვა ავტორთან ერთად, „დონ კიხოტზეც“ გადის, მის გასტრონომიულ კონტექსტზე. თურმე ამ კონტექსტიდან, ამ ნახევსებებიდან თუ ნადიმებიდანაც შეიძლება იშვას ახალი ჟანრი.

ასეთია ამ თემის ლიტერატურათმცოდნეობითი მხარე, მაგრამ მას, რა თქმა უნდა, სხვა მხარეებიც აქვს, რადგანაც ამ სუფრის სცენებით კულინარიის ისტორიკოსებიც დაინტერესდნენ დიდი ხანია. [pinterest.com](https://www.pinterest.com/pin/1000000000000000000/)-ზე ასეთი გვერდიცაა - [La gastronomia de Don Quijote de la Mancha](https://www.pinterest.com/pin/1000000000000000000/). ბევრ საიტს იპოვით რომანში ნახსენები კერძების რეცეპტებით, არქაულიდან - თანამედროვე ვერსიებამდე.

როგორც ვიცით, ნიგნს ორი მთავარი გმირი ჰყავს. დონ კიხოტი, რომელიც ყველაფრის მიუხედავად ასოციალური პერსონაჟია. და სანჩო პანსა. ერთი შემოილია - პასუხისმგებლობის გარეშე, მეორე კი ღორმუცელა - წეროს ფეხებით. თავ-

ქარიანი, გიჟური კეთილშობილების რაინდი და კაი პურისმჭამელი გლეხი.

დონ კიხოტი სარაინდო რომანებით ინტერესდება, გაყიდის პურის ყანას და წიგნებს ყიდულობს. მოგვიანებით კი ამ რაინდობის ალორძინებაზე ოცნებას იწყებს და შემდეგ ოცნების აღსრულებასაც გადაწყვეტს. ასე იბადება მაშინდელი ლიტერატურისთვის ძალიან უცხო და უცნაური თემა - მოხეტიალე რაინდობის ალორძინება, რომელსაც არც ფოლკლორული და არც მნივნობრული წყაროები არა ჰქონდა. იგი მთლიანად ძველ რომანებს ეყრდნობოდა, მაგრამ ასეთი მიზანი, გნებავთ სიუჟეტი, აქამდე არასდროს ყოფილა. აქ ყველაფერი სერვანტესის ინტუიციიდან და თხრობის უნარებზე იყო დამოკიდებული.

სათაურში დონ კინ კიხოტს მახვილგონიერი (Ingenioso) ჰქვია, რასაც არაფერი აქვს საერთო ლიტერატურიდან ნაცნობი ბევრი პერსონაჟის მახვილგონიერებასთან, მაგ. ოდისევსთან. აქ, როგორც მეცნიერები ამბობენ, უფრო წარმოსახვა იგულისხმება, დონ კიხოტის ფანტაზია, რომელსაც ყველაფრის წარმოდგენა, გარდასახვა შეუძლია, მათ შორის საკვებისაც.

ერთ-ერთ პირველ ფუნდუკში, სადაც იგი გაჩერდება, არაფერი აქვთ თევზის გარდა. ქართულში ჭიჭყინას უწოდებს მთარგმნელი ამ თევზს, ხანაც წვრილკალმახას, ავტორი კი გვეუბნება: თევზი, რომელსაც „კასტილიაში აბადებო (abadejo) ეძახიან, ანდალუსიაში - ბაკალიაოს (bacallao), დანარჩენ მხარეებში - კურადილიოს (curadillo), ზოგან კი ტრუჩუელას (truchuela)“. ალბათ ვირთევზა იგულისხმება, ოღონდ წვრილი და ცუდად მომზადებული ვირთევზა.

დონ კიხოტს სუფრა ფუნდუკის ჭიშკართან, სუფთა ჰაერზე გაუშალეს და ცუდად მოხარშული და საშინლად შეკაზმული ეს ვირთევზა მოუტანეს. თან მოაყოლეს „ფარ-ხმალივით შავი და დაობებული პური“ და დონ კიხოტიც ჭამას შეუდგება, ოღონდ ისე, რომ ჩაჩქანს არც იხდის, რის გამოც ლუკმის ჩადება ძალიან გაუჭირდება - სალტესავით შემოჭერილი საყბური უშლის. იგი ერთ ლუკმასაც ვერ გასინჯავდა უცნობი ქალი რომ არ დახმარებოდა, ღვინის დაღევაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო, თუმცა აქ უკვე მეფუნდუკემ ივაჟკაცა, რაინდს პირში ღერწმის ღეროს ერთი ბოლო ჩაუდო და მეორეში კი ღვინის ჩასხმა დაიწყო. არადა როგორ შიოდა საბრალო იდალგოს, თავის კლასიფიკაციებსაც კი აყალიბებდა ამ უგემური ვირთევზას შეჭამდე, რომ ციკანი თხაზე გემრიელია, ხბო კი ძროხაზე - თანაც იმედი ჰქონდა, რომ ეს წვრილი ვირთევზა ნამდვილ ვირთევზასაც აჯობებდა. ტახისმკოდავი გლეხის სტვირის ხმა სულ მთლად წამოშლის დონ კიხოტის წარმოსახვას და ილუზიებში გადაისვრის. ეს ხმა საბოლოოდ დაარწმუნებს მას, რომ მართლა დიდებულ ციხე-კოშკში იმყოფება და რომ მუსიკა



მხოლოდ მისთვის ჟღერს, ეს წვრილი თევზი ნამდვილი ვირთეზაა, შავი პური კი სპეტაკი და გამტკიცული ფქვილისგან გამომცხვარი პური.

ახლა დონ კიხოტის ჭამის „ფილოსოფიაზე“ ვთქვათ ორი სიტყვა, რომელიც სარაინდო რომანების გამოცდილებას ეყრდნობა, თუმცა წინააღმდეგობებსაც შეიცავს. იგი ხან იტყვის, ამსიმიძი მე აბჯრის ტარებას ისე ვერ შესძლებს კაცი, თუ კუჭი მაძლარი არ ექნაო, ხან კი საუზმეზე ამბობს უარს, რადგანაც გადაწყვეტილი აქვს, რომ მხოლოდ ტკბილი ოცნებებით ირჩინოს თავი. ზოგჯერ მეუდაბნოე ბერივითაა, ზოგჯერ კი ერთ კარგ პურის ყუას და ზედაც ორ ცალ სარდინს ნატრულობს. იგი შეიძლება მტკიცე უარზე დადგეს, არაფერი ჭამოს, თუმცა შეიძლება უცებ საუზმე, სამხარი და ვახშამი („მიცვალებულის ჭირისუფალთა ნუზლი“) მაღიანად შთანთქას. ერთხელ სანჩოს ერთი თავი ხახვი, ცოტაოდენი ყველი და ორიოდ ნატეხი გამხმარი პური აღმოაჩნდება და პატრონს ეუბნება, ეს ღარიბული სუფრა როგორ შემოგკადროთო, რაზეც დონ კიხოტი გრძელი

სიტყვით პასუხობს, სადაც იგი ყველა წაკითხულ წიგნს იხსენებს და ამბობს, „ერთშიაც ვერ მივაკვლიე სარწმუნო ცნობას, რომ მოგზაური რაინდები რაიმეს ჭამდნენ“-ო. ისინი დიდ პატივად თვლიან მთელი თვე უჭმელად ყოფნას, მათ კვებას უფრო „ნაციცქვნა“ ჰქვია, თუმცა არსებობს გამონაკლისებიც, როდესაც ამ რაინდების პატივსაცემად „მეფეები და მთავრები დიდებულ ნადიმებს მართავდნენ“.

რა თქმა უნდა, რაინდები უდაბნოებსა და ტყეებში თან ვერ იახლებდნენ მზარეულებს, ამიტომ სავარაუდოდ ისეთსავე უხეშ საკვებზე გადადიოდნენ, რასაც იმ წამს „მოკრძალებული“ სანჩო სთავაზობდა. ეს უკვე მინიშნებაა, რომ სანჩოს ხახვსა და პურზეც კარგად მოილხენს მთელი ესპანეთის სარკე და ღირსება.

სანჩო აღიარებს, რომ არც ერთი წიგნი არა აქვს წაკითხული, არ ფლობს ასეთ ინფორმაციას, ამიტომ მისი ლოგიკა მარტივია - რადგან რაინდს ასე უყვარს მწირი საკვები, მისთვის ჩირს გადაინახავს საჭურველმტვირთველი, თავისთვის კი

„ცოტა უფრო ნუგბარ სასუსნავს მოიმარაგებს“.

დისპუტი გრძელდება, ამჯერად დონ კიხოტი მიუგებს ჩანთიან მოპურმარჩილს. მისი პასუხი სალალბოდ რომ მოვთარგმნოთ, ასეთია: „არა ჩირითა ხოლო ცხოვნიდების რაინდი“ და ჩამოთვლის სხვა მისატანებელსა და ბალახეულობასაც, რასაც რაინდები გზადაგზა არჩევდნენ. ბოლოს კი ამბობს, ისინი „ბალახ-ბულახის ცნობაში ჩემზე არანაკლებ დახელოვნებულნი იყვნენ“-ო.

სანჩო აღფრთოვანებულია, რომ მოლაშქრეთა სხივცისკროვანი მნათობის, დიდი რაინდის ეს ცოდნა კიდევ არაერთხელ გამოადგებათ.

ამით სრულდება დიალოგი და ყველაფერს იმ მწირი საგზლის განადგურება აგვირგვინებს.

ეს ორი მოხეტიალე სხვაგანაც არაერთგან იყოფს საზრდელს. ღამეში, უდაბნოში, ხის ქვეშ, ან მწვანე მდელოზე წამოწევიან და სხვა თუ არაფერი, რკოსა და შინდს მაინც ჩაახრამუნებენ. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ სანჩო გაცილებით მეტ რკოსა და შინდს მიირთმევს.

დონ კიხოტზე კი ვილაპარაკე ამდენი, მაგრამ წყალი არ გაუვა (თუ ღვინო არ გაუვა?), ჭამის მთავარი, კვების გუბერნატორი და ღმურძელის მეფეთ-მეფე ამ რომანში სანჩოა. სხვა ხასიათზე რომ ვყოფილიყავი, ამ თავს შეიძლებოდა სანჩოს ჩანთაც კი რქმეოდა.

სანჩოს მშვიდობა უყვარს. მშვიდობა და დროსტარება. მას ვერ წარმოუდგენია, როგორ შეიძლება ეჩხუბო ან ორთაბრძოლაში გამოიწვიო ადამიანი, ვისთან ერთადაც პური გაგიტეხავს და ღვინო დაგიღვებია.

თავის სახედარზე ამხედრებული სანჩო ისე მადიანად ილუკმება და დროდადრო ისეთი სიამოვნებით მოიყუდებს ხოლმე თავის ტიკჭორას, რომ „მალაგის ყველაზე ყოჩაღ მიკიტანსაც კი შეშურდებოდა“. ხანდახან მიეაღერება ამ თავის ტიკჭორას, ხანდახან შეუძახებს, ხანაც ეღლაბუცება. გული წყდება, რომ გუშინდელზე უფრო დაჩუტულია და დამწუხრებული აგრძელებს გზას, რადგან იცის, რომ ახლო მომავალში მას ვერსად შეავსებს.

იგი მჭამელიცაა, მსმელიც და ამავდროულად შრომის გამოცდილებაც აქვს. მისი ერთ-ერთი სიბრძნეა: „ხალხის მოსრვა ღმერთმა მაშოროს, ჩემი საქმე ვაზის მოსარევაა“.

ასეთი სცენაა, სამსონ კარასკოსთან საუბრისას სანჩო კუჭში საშინელ სისუსტეს გრძნობს და ამბობს, ორიოდე ჭიქა ძველი ღვინო თუ არ მივაშველე, ნაფოტივით გავხმებიო და სახლში გარბის, სადაც „კაი გვარიანი ღვინო“ აქვს და ოჯახიც მოუთმენლად მიელის. რჩებიან ბაკალავრი კარასკო და დონ კიხოტი, რომლებიც ორიოდე მტრედის ტაბაკას გეახლებიან (საერთოდ, ეს მტრედის ტაბაკა რამდენიმეჯერაა რომანში ნახსენები), მაშინ როცა სანჩო თავის გემოზე ღვინობს.

საერთოდ სანჩოს ყველაფერი თავის გემოზე

უყვარს. ამის სანიმუშოდ ერთ შემთხვევას გავიხსენებ, როცა ჩაგრულთა მწე და მეოხი და მისი საჭურველმტვირთველი თხის მწყემსებთან ჩამოხდებიან, გაიშლება პურ-მარილი, სანჩო ხან ზურგს უკან აეტუზება მერიქიფედ პატრონს და ღვინით სავსე ყანებს აწვდის ხშირ-ხშირად, ხანაც მასთან ერთად მიირთმევს ღვინოს. სწორედ ამაზე ამბობს დონ კიხოტი - „მინდა ამ პატიოსან ხალხში გვერდით მოგისვა, რომ მე და შენ, პატრონი და ყმა, ერთმანეთის სწორნი შევიქნეთ, ერთი ჯამიდან ვჭამოთ და ერთი ყანითა ვსვათ...“. სანჩოს ამაზე თავისი ბრძნული პასუხი აქვს გამზადებული, რომ თუ მუცლის საძლომი იქნა, იმპერატორის გვერდით ჯდომას, ცალკე, თავისთვის, ზეზეულად ჭამა ურჩევნია. კიდევ უკეთესია, როცა სახლში, საკუთარ ჭერქვეშ მოუღებენ, „სადაც არც თავპატიჟი მჭირდება და არც დიდი მანჭვარება, ცეცხლს მიფიცებულსა თუ კუთხეში მყოფროდ მიყუჟულს ხახვი და ხმელი პური უფრო შემერგება, ვიდრე კაი მსუქანი ინდაური - სტუმრად; თუ ლუკმას ჩემებურად ვერ მოვუქნიე ყბა და ვერც ჩემს გემოზე ვსვი, წამდაუნუმ ხელსახოცით ვინმინდე ტუჩ-პირი, ვერც დახველება გავბედე, ვერც ცხვირის დაცემინება და დამთქნარება, როცა ამისი ჟინი მომივლის, ვერც ესა ვქენი და ვერც ის, რასაც, მართო რომ ვყოფილიყავი, არც დავერიდებოდი და არც დაგიდევდით, - თქვენვე მიბრძანეთ, ამ ჭამას ჭამა ეთქმის?“

თხის მწყემსები ყურს არ იბერტყავენ ამ ლაქლაქზე და ხმის ამოუღებლად ვახშობენ, ხანდახან კი გაშტერებული მისჩერებიან სტუმრებს, რომლებიც უკვე მადიან ჭამაზე არიან გადასული და მუშტისოდენა ლუკმებს იტენიან პირში. ხორცის შემდეგ დესერტსაც დაყრიან მწყემსები, ტკბილ რკოს, რასაც ნახევარ თავ ქვასავით მაგარ ყველსაც მიუდგამენ გვერდით. სმა არ წყდება, ყანნი ხელიდან ხელში გადადის, მწყემსების ორი ტიკიდან ერთი უკვე დაიცალა, დონ კიხოტი კი შეუჩერებლად ლაპარაკობს „ოქროს საუკუნეზე“. მეორე ტიკი ხეზეა ჩამოკიდებული, გასაციებლად, რომელსაც მალმალ აკითხავს სანჩო, მოსვამს და რკოსაც მიაცოლებს ხოლმე, რა თქმა უნდა, თავის გემოზე.

„შინ თუ პურის ყუა გიდევს, გარეთ ხაჭაპურს ნუ დაეძებო“ - ესეც სანჩოს სიტყვებია.

სანჩო და ღვინო რომანის ერთ-ერთი მთავარი ხაზია. სანჩო ღვინოში და ღვინოსთან აცნობიერებს თავს. იგი აკავშირებს მას მინასთანაც და ცასთანაც, თუკი მზე ვაზის ზრდის მთავარი წინაპირობაა, ღვინის სმისას უკვე ვარსკვლავები ერთვებიან საქმეში. აი ნახეთ:

ერთხელ სანჩო სხვა საჭურველმტვირთველს გაიცნობს, ტყის რაინდისას და ტკბილი მუსაიფის შემდეგ ეს ორნი ღვინის ტიკჭორასაც დაენაფებიან, ზედაც კურდღლის ღვეზელს აყოლებენ, რომელიც სანჩოს თხის ან ციკნისა ეგონა თავიდან.

კარგად რომ გამოძღვებიან, საკვებზე საუბარს იწყებენ. სანჩო წუნუნებს, ერთი ნატეხი გაქვავებული ყველი მიგდია, თქვენსავით გულადი და პურადი კი არა ვარო. ჰა და ჰა, ცოტაოდენი ჩირი, თხილი და კაკალი გაჩნდეს ჩემს ჩანთაშიო. დონ კიხოტსაც გადანვდება, მხოლოდ ჩირით და ბალახბულახით გააქვს თავიო და ამ დროს ტყის რაინდის მესაჭურველე ეტყვის, ჩემს კუჭს არც პანტის მონელება შეუძლია, არც ძირხვევნების და ყლორტებისო, მე ცივად მოხარშულ ხორცს და სავსე ტიკჭორას ვერაფრით შეველევიო.

საჭურველმტვირთველები ისევ დაენაფებიან ტიკჭორებს, მოიყუდებს სანჩო ტიკჭორას და 15 წუთის განმავლობაში არ მოიხსნის პირიდან: „მოიყუდა და სულ მცირე, მეოთხედი საათი ვარსკვლავებს მიშტერებოდა. სმას რომ მორჩა, თავი ჩაქინდრა და ნეტარებით ამოიხვნეშა: - უჰ, შე ბოზიშვილო, ნამდვილი კათოლიკე ღვინო ხარ რაღა!“ (სანჩოს ასეთი აღმატებული თუ სალანძღავი მიმართვები, აღშფოთებითა თუ აღფრთოვანებით სავსე, კიდეც არაერთგან გვხვდება „დონ კიხოტში“. მაგ. „ოჰ, შე დონ ვირთევზის შაშხო, ქვის გულო, ინდის ხურმის კურკავ!“ და სხვ.)

სხვათა შორის, ამ სცენაში გამოჩნდება სანჩოს კიდეც ერთი ნიჭი, ღვინის გამოცნობის ნიჭი. ჩვენი „სომელი“ ღვინის პატრონს ჰკითხავს, ეს ღვინო სიუდად რეალისა ხომ არ არისო და გაოცებული თანამეინახე პასუხობს: „ჭაშნაგირი ვარო თქვენ უნდა თქვათ! სიუდად რეალის ღვინოა და თანაც საკმაოდ ძველი“. სანჩო კი აგრძელებს თავის გამოჩენას და საკუთარ წინაპრებს თუ მოგვარეებსაც გადასწვდება, ამ საქმის დიდოსტატებს, ნამდვილ ჭაშნაგირებს. ეს ამბავი ცნობილია, მერე ბევრჯერ გადააკეთეს, ფრანგებმაც, იტალიელებმაც და მემგონი ქართველებმაც კი. ერთხელ თურმე ამ ორი პროფესიონალისთვის ღვინის გასინჯვა უთხოვიათ, კასრიდან. ერთმა რკინის გემო დაკრავსო, მეორემ - ტყავის სუნი უდისო. პატრონი შორს დაიჭერს, გამორიცხულიაო, მაგრამ როცა კასრი დაიცლება, აღმოაჩენენ, რომ შიგნით თასმაზე შებმული გასაღები აგდია.

კიდეც ერთი ღია ცისქვეშ გამართული ნადიმია აღწერილი მეორე ნიგნის LIV თავში. ამ უცნაურ სუფრაზე ჯერ ღორის ნარჩენ, გამოხრულ ძვლებს ამოალაგებენ. ამას მოჰყვება ყველის ნატეხები, კაკალი, თევზის ქვირითისგან დამზადებული და წყურვილის მომგვრელი, კუპრით შავი შეჭამანდი, სახელად „კაბილი“, „გამხმარ-განენებული და შეუკაზმავ-შეუნელებელი, მაგრამ მაინც გემრიელი და მადის აღმძვრელი ზეთისხილი“. ღვინოც ძალიან ბევრი აქვთ, ექვსი თუ შვიდი ტიკჭორა. ნელ-ნელა ილუკმებიან, გემო რომ კარგად ჩაატანონ, სიფრიფანა ნაჭრებს თლიან, დანის წვერით მიაქვთ პირთან და ტიკჭორებს როცა მოიყუდებენ, ღვინის დასაღვავად, აქაც თავს უკან გადააგდებენ და ზეცას აშტერდებიან. სმისას ეს ზე-

ცას მიშტერება სერვანტესთან გარკვეულ ნორმად თუ ენო-პოეტურ გაელვებად იქცევა.

აქვე უნდა დავიმოწმო სანჩოს უკვდავი სიტყვები მეორე ნიგნის XXIII თავიდან. ეს მისი კრედოა, მთავარი მცნება, რომელიც ასევე ღვინოს უკავშირდება: „ჩემს სიცოცხლეში არ დამიღვია მხოლოდ იმიტომ, რომ დამელია. ისე კი, რა ვქნა, როცა მწყუროდა, ვსვამდი და ხანდახან, როცა არ მწყუროდა - მაშინაც. ვსვამ იმიტომ, რომ პირფერობის არა მცხია რა; ვსვამ იმიტომ, რომ არ მინდა ხალხს ვათქმევინო, ე, რა თავპატიჟს იღებს, ან რა ხეპრე და უზრდელიაო. ძმაკაცი რომ გადღეგრძელებს, ქვის გული უნდა გქონდეს, რომ ჭიქა არ მიუჭახუნო. მაგრამ მე ჩემი ზომა ვიცი და ზღვარს არასოდეს გადავალ, მით უმეტეს, რომ მოგზაურ რაინდთა საჭურველმტვირთველნი მეტწილად წყალს გეახლებიან, რადგანაც ერთთავად ველ-მინდვრად დანანწალებენ, ან კიდეც უღრან ტყეებში, მთის კალთებზე და კლდეებსა თუ ღრეში დაეთრევიან, ხოლო ამ უდაბურებაში წყურვილის მოსაკლავად თვალიც რომ გაიმეტო, წვეთ ღვინოს ვერსად იშოვი“.

ღვინის მონაკვეთს ღვინის და ყველის შეხამების ამბით დავასრულებ. ერთგან სანჩო და შიკრიკი მათარიდან საუცხოო ღვინოს სვამენ და ტონჩონულ ყველს აყოლებენ, რომელიც ისეთი სურნელოვანია, რომ წერილსაც კი მისის სუნი უდის, წერილს, რომელიც შიკრიკს მიაქვს ბარსელონაში, მეფისნაცვალთან.

ცალკე გასტრონომიულ-ეთნოგრაფიული კვლევა დაინერება კამაჩოს ქორწილის შესახებ, რომელიც მეორე ნიგნის XX თავშია მოთხრობილი. თავი ასე იწყება: ახლად გაღვიძებულ გმირებს უცებ ცვრიანი მწვადის სურნელი მოსდით და რას ხედავენ, თელის უზარმაზარ შამფურზე მთლიანი მოზვერი იწვება. იქვე ექვსი ხალამი დგას, თითოეული ქვევრის ხელა იყო, რომლებშიც დაკლული ცხვრები მტრედებივით ცვივიან. ხის ტოტებზე გატყავებული კურდღლები და დაპუტული ქათმების ურიცხვი სიმრავლეა, გასაშრობადაა გაფენილი ნაირნაირი ნანადირევი თუ შინაური ფრინველი: „სანჩომ სამოცზე მეტი ტიკი დათვალა, როგორც შემდეგ გამოირკვა, საუცხოო ღვინით სავსე: თითოში ორ-ორი არობა (დაახლ. ფუტის უდრის) მაინც ჩავიდოდა. თოვლივით თეთრი პური ზვინებად დაეხვავებინათ, როგორც ხორბალი - კალოზე, ყველი კი აგურებივით ერთმანეთზე დაეწყოთ და მთელი გალავანი აღემართათ“.

ორ დიდ ქვაბში ზეთი თუხთუხებს და შიგ ტკბილეული იბრანება, რომელსაც ჩოგნებით კიარა, ნიჩბებით იღებენ და შემდეგ გამლვალ თაფლში ყრიან. ქურასთან 50-ზე მეტი მზარეული ქალი თუ კაცი ტრიალებს, თეთრი ქათქათა ხალათებით. ყველა მხიარულადაა, ილიმიან, იცინიან, გეგონება შესანწავად შემოდგმულ მოზვერსაც უხა-

რია, რომლის განიერ ფაშვში თორმეტი ძუძუთა გოჭია ჩანყოფილი. იქვე გორებად ყრია სუნელ-სანელებლები. სანჩო გონებას კარგავს, ნერწყვში იხრჩობა და ბოლოს გაბედავს და ერთ სხარტ მზარეულთან მივა, ქვაბში ერთი ნაჭერი პური ჩამანებინეო, რაზეც სანატრელ პასუხს მიიღებს: „ვირიდან ჩამოხტით, ქაფქირი მოძებნეთ, ორიოდე ქათამი ქაფივით მოხადეთ და ღმერთმა შეგარგოთ!“-ო. სანჩოს სამი ქათამი და ორი ბატი შეხვდება, სიტყვებით: „ჯერ ამ ქაფით გაიხსნილეთ და სადილობის დროც მალე მოვა“-ო.

ამ ქორწილში მოგეხსენებათ, მდიდარი კამაჩოსა და ღარიბი ბასილიოს დაპირისპირების ამბავია მოთხრობილი, რაშიც სანჩო, რა თქმა უნდა, კამაჩოს გულმხურვალე მხარდამჭერის როლს თამაშობს, რადგან „კამაჩოს ქვაბებს შეიძლება ქათმების, ბატების, კურდღლებისა და ბაჭიების დიდებული ქაფი მოჰხადო, ბასილიოს ფსკერგამოფხეილი ქვაბებიდან კი რას გადმოსწურავ, თუ არა მთხლესა და დურდოს“. ბოლოს ყველაფერი ისე სრულდება, რომ ქალს ბასილიო წაიყვანს და დონ კიხოტის გამო სანჩოც მათ ამაღლაში აღმოჩნდება, მოწყვნილი და კამაჩოს „ეგვიპტურ ქვაბებზე“ (იხ. ძველ აღთქმაში, ნიგნი გამოსლვათა, XVI, 3) გულდათუთქული: „მათი სანუკვარი ხატება გულით მიჰქონდა, მათთვის მოხდილი ქაფი კი - კარდლით, რომელიც თითქმის მთლიანად დაეცარიელებინა და ან უკვე გარდასული სიუხვისა და ნეტარების უზადრუკ ნაშთადლა ეჩვენებოდა. ასე, თავის ლურჯაზე ამხედრებული მიჩაქჩაქებდა როსინანტის კვალდაკვალ, დაღვრემილ-დაძმარებული და ყურებჩამოყრილი, თუმცა მუცელამოვსებული“.

ამ ამბავს სანჩო შემდეგაც არაერთხელ გაიხსენებს, მოგონებებით აცრემლებული: „ჰაი გიდი, კამაჩოს ქორწილო და დონ დიეგოს დოვლათით სავსე სახლო, რა ხშირ-ხშირად გამახსენდებოთ!“

სანჩოს ამ ოცნებით სავსე გამონათქვამზე კიდევ ერთი სცენა გამახსენდა და სანამ მასზე მოვყვები, ორი სიტყვით დულისინეას ლანდის კულინარიულ უნარებზეც შევჩერდეთ. არ მინდა გამოგვრჩეს. საქმე ისაა, რომ დონ კიხოტის გულის-სწორის ერთ-ერთ მთავარ ღირსებად ის მიიჩნევა რომანში, რომ იგი თურმე საუცხოოდ ამარილებს ღორის ხორცს და ამ საქმეში მას ბადალი არა ჰყოლია მთელს ლამანჩაში.


და კიდევ ერთი ფაქტი, რომელსაც რომანიდან ვიგებთ. თურმე სოფელი, სადაც მოგზაური რაინდობის შნო და ლაზათის გულის მურაზი, დულისინეა ცხოვრობდა, განთქმული ყოფილა ქვევრების წარმოებით. ერთხელაც ჭირთათმენაში უებრო ჩვენი რაინდი დონ დიეგო დე მირანდას კარმიდამოს მიადგება სანჩოსთან ერთად, სადაც ეზოს ერთ კუთხეში მარანია გამართული. მარნის გარშემო კი უზარმაზარი ქვევრები აწყვია (tinajas). მთხრობელი გვეუბნება, რომ სწორედ ასეთ ქვევ-

რებს აკეთებდნენ ტობოსოში და დონ კიხოტს მაშინვე თავისი დულისინეა ახსენდება და აქ წარმოთქვამს იგი მგზნებარებით: „ოჰ, ტობოსორო ქვევრებო, ჩემი ენით უთქმელი სიმწრის უტკბილესი საუნჯე რომ მომაგონეთ!“

ახლა მოდით, დონ კიხოტის რჩევა-დარიგებებს გადავხედოთ, სანჩოს რომ მისცა კუნძულზე გუბერნატორად წასვლის წინ. მათ შორის ენოგასტრონომიულ ეტიკეტსაც შევხვდებით, რჩევებს იმის შესახებ, რომ ნიორსა და ხახვს არ უნდა მიეძალოს, რათა არავინ თქვას, რომ გუბერნატორი გლეხუჭაა. სადილად ცოტა უნდა ჭამოს, ვახშმად კიდევ უფრო ნაკლები, რადგანაც „ჩვენი სხეულის ჯანმრთელობა ჩვენივე კუჭის სამჭედლოში იწრთობა და იჭედება“. დონ კიხოტი მოუწოდებს სანჩოს ზომიერად სვას, ლუკმა ერთბაშად ორივე ყბით არ ლეჭოს, არ დააბოყინოს (დონ კიხოტი ლათინურ სიტყვას იყენებს - ერუტაციას).

და აი, ლამანჩისა და მთელი ქვეყნის ჯავარი-სა და შარავანდის, დონ კიხოტის ახლადგამოცხვარი მონაფის გამოცდის დროც მალე დგება. სანჩოს დიდებულ სასახლეში წაიყვანენ, სადაც უზარმაზარ დარბაზში მეფური სუფრაა გაშლილი. დაჯდება სანჩო სუფრის თავში და უცებ მის გვერდით ვიღაც უცნობი კაცი დაეყუდება ვეშაპის უღვაშის წკეპლით ხელში. როგორც გაირკვევა, ეს კაცი ექიმაა, რომელიც სანჩოს მადას აკონტროლებს. მოუტანენ სინით კერძს, გაიწვეს სანჩო და ეს ექიმი მაშინვე წკეპლას დაჰკრავს. ასე განმეორდა რამდენიმეჯერ. ეს ექიმი ვითომ მხოლოდ სასარგებლოს ჭამის ნებას აძლევს გუბერნატორს, არც ხილს აკარებს, არც ცხარეს და სანელებლებიანს, შემწვარ კაკებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ასევე არ შეიძლება თურმე კურდღელი, არც ხბოს ხორცი, არც ოლია პოდრიდა და სხვა რამეები. რალა დარჩა? მხოლოდ ორცხობილა და კომპის რამდენიმე თხელი ნაჭერი. სანჩო მალე გამოერკვევა და ლამისაა თავზე გადაამტვრიოს ყველაფერი ამ ექიმს. გრძელი, რისხით სავსე სიტყვის შემდეგ ჭამას დააპირებს, მაგრამ ამ დროს შიკრიკი შემოვარდება და წერილს მოუტანს, სადაც ჰერცოგი წერს, რომ კუნძულზე გუბერნატორის მოსაკვალავად არიან შეპარულეები და პირი არაფერს დააკაროს, ემანდ მონამლული არ იყოსო.

აი, ასეთ დღეში ჩააგდეს ჩვენი მსუნაგი სანჩო, რომელიც იხვენება, ერთი ნატეხი პური და ყურძენი მაინც მაჭამეთო. მოგვიანებით ხახვში მოშუშულ ძროხის ხორცსა და მოზვრის მოხარშულ თავ-ფეხსაც მიირთმევს, მაგრამ მაინც ჩაილაპარაკებს, თუნდაც დამპალი ბოსტნეულის ოლია პოდრიდა მომიტანონ, მაინც გემრიელად შევჭამო. რაც უფრო დამპალია, მით უკეთესი სუნი ასდისო. მთავარია იჭმებოდეს და სულერთია, რითი იქნება შეკაზმულიო.



საერთოდ, სანჩო ყოვლისმჭამელია, არაფერს წუნობს და ცხვირს არაფერზე იბზუებს, ყველსა და პურს ისე შეჭამს, გეგონება „მილანური როჭობით, რომაული ხობხებით, სორენტოული ხბოს ხორცით, მორონული კაკბებითა და ლავახოსური ბატებით ისადილა“.

თქვენ წარმოიდგინეთ, „გუბერნატორი“ სანჩო ლვინის კანონზეც კი ზრუნავს. ჯერ ერთი დადგენილებით იგი სასტიკად აკრძალავს სურსათ-სანოვავის ზედმეტ ფასებში გაყიდვას და მეორეც, ნებას რთავს საიდანაც უნდათ იქიდან შემოიტანონ კუნძულზე ლვინო, ოღონდ იმ პირობით, რომ აუცილებლად უნდა მიუთითონ ლვინის სადაურობა და ფასიც ლვინის ხარისხის, გემოს და ფერის მიხედვით უნდა დაედგინათ. ლვინოში წყლის გარევისა და გაყალბებისთვის სიკვდილით დასჯა დაანესა. ასეთი იყო სანჩო პანსას სჯულისდების უმთავრესი პუნქტები.

სანჩოს გუბერნატორობა დიდხანს არ გრძელდება და მალე ისევ ბრუნდება ძველი ცხოვრება, ხეტიალი და ფუნდუკები. რომანის ბოლოსკენ დონ კიხოტი და სანჩო ერთ ფუნდუკში ჩამოხდებიან, სადაც ლამის გასათევის გარდა საუცხოო სუფრასაც დაპირდებიან: ისეთ სუფრას გაგიშლით, თვით სარაგოსაშიც რომ ვერ გაგიშლიდნენო. რასაც მეტყვით, იმას მოგართმევთ სადილადო, ამბობს მეფუნდუკე - ნანადირევი, შინაური ფრინველი, თევზი „თუ რა ვიცი, რაო“. და აი აქ იწყება ტანჯვა. სანჩო ვარიებს მოითხოვს, მეფუნდუკემ - ძერამ მომტაცაო. მაშინ ქათამი შეგვინვიო, საჭურველმტვირთველმა - სულ ქალაქში გავგზავნე გასაყიდადო, ციკნის ან ხბოს ხორცზე რას იტყვიო - ვაი, რომ არც ერთი მაქვს და არც მორეო. ლორი და კვერცხები მაინც ხომ მოგეძებნებათო? - აბა

საიდან კვერცხი, ხომ გითხარით უკვე ქათამზე და ვარიებზეო. და სანჩოს ამოასხამს: თქვენ თვითონ მითხარით, რა ჯანდაბა და დოზანა გაქვთო და ამით მოვათავოთო. ბოლოს გაირკვევა, რომ მეფუნდუკეს მხოლოდ ძროხის ფეხები აქვს, „ისეთი ნაზი, რომ ხბოსი გეგონებათ... მუხუდოსთან ერთად ღორის ქონში მოხარშული და ნივრით შეკაზმული“.

„სულ ჩვენ მოგვართვით! ხელი არავინ ახლოს!“ - უღრენს სანჩო.

ამ დროს ეს ორი გმირი უკვე ძალიან პოპულარულია, მათი ამბავი ბევრს აქვს წაკითხული, მათ ცნობენ, მათსავე ჩვეულებებზე ესაუბრებიან, ამბებს აზუსტებენ, მიმბაძველებს აკრიტიკებენ. ერთგან სანჩოს თავის დაცვა მოუწევს, არც ისეთი მსუნაგი და ღორმუცელ ვარ, თქვენ რომ გგონიათო. მე უფრო სუფთა და ფაქიზი ვარო, რაზეც დონ კიხოტი დასძენს - გუბერნატორობისას ყურძენსა და ბროწეულის მარცვლებსაც კი სულ ჩანგლით გეახლებოდათო.

ფუნდუკის ამ სცენას წინ უძღვის დონ კიხოტის დასკვნითი სიტყვები, რომელიც სათაურშიც გამოვიტანე და ეს თავიც ამით მინდა დავასრულო. ნაცემ-ნაგვემი დონ კიხოტი და მისი საჭურველმტვირთველი წყაროსთან გაჩერდებიან. რაინდის გულს ჯავრი არ ასვენებს, მადა დაჰკარგვია, სანჩო კი დამშეულია და როცა მიხვდება, რომ პატრონი კიდეც კაი ხანს ველარ მობრუნდება, პურს და ყველს ეცემა და ღმურძვლას იწყებს. დონ კიხოტს ეს არ გამოეპარება და ასე ეტყვის: „ჭამე, ძამიკო, სანჩო, ჭამე! მომაგრდი, მომჯობინდი, მოლონიერდი. სიცოცხლე შენ უფრო გჭირდება, ვიდრე მე... ჩემი სიცოცხლე უწყვეტი კვდომაა, სანჩო, შენი კი - უწყვეტი სმა-ჭამა“.

ზაზა ფირალიშვილი

ბოგანო



ამ რამდენიმე წლის წინ სამსახურში მიმავალს, თითქმის ყოველდღე, გზად ერთი მათხოვარი მხედებოდა - საშუალო ტანის, მსხვილი, მოკლეფეხება და შავგვრემანი, ალბათ, 40-ს გადაცილებული ქალი. უზომო მწუხარებისა და ტანჯვის გამოსახატავად სახეს უცნაურად მოიქცევდა ხოლმე, თან დამცინავი და ეშმაკური ნაპერწკალი უკიანებდა მზერაში. ის, რითაც მისი თავი უკავშირდებოდა მხრებს, ძნელად თუ იწოდებოდა კისრად. საერთოდაც, მთელი მისი სხეული თითქოს ვიღაც უმეცარის თუ ავის მზრახველის მიერ სახელდახელოდ იყო შეკონინებული; თითქოს, ვიღაც ავსული ჩაერეულიყოს იმის გროტესკის შესაქმნელად, რასაც ადამიანის სხეული ჰქვია.

ერთხანს მხარმოშიშვლებული იჯდა მინაზე გაშლილ ქსოვილზე, გამვლელ-გამომვლელს ამოგდებულ მარჯვენა ბეჭს უშვერდა და ლამის დაუფარავი ირონიით გამოხატავდა აუტანელ ტკივილებს, ტანჯვას მძიმე ბედის გამო - მოკლედ, ყველაფერ იმას, რასაც გამვლელ-გამომვლელში

მოწყალების გაღების სურვილი უნდა აღედგრა. აშკარა იყო, გატაცებით თამაშობდა. შეიძლება გეფიქრა, ასეთი აშკარა თვალთმაქცობისა და ყალბი, უცრემლო ტირილის გარეშე რომ „ემუშავა“, მეტ თანამგრძნობს მოიპოვებდაო, მაგრამ არა. მას საშოვართან ერთად კიდევ რაღაც სხვაც უნდოდა. თითქოს გეუბნებოდა, - აი, ხომ ხედავ, ვთაღლითობ და თუ შეგიძლია, ისე ჩამიარე, რომ შენი გულგრილობის გამო სინანული არ გაგყვესო. გამვლელთა თანაგრძნობის მოპოვებაზე მეტად თითქოს მათი ჯობნება სურდა. უმალ, ეთამაშებოდა გამვლელებს, ვიდრე სთხოვდა. ისე აშკარად ეტყობოდა ჯობნების ეს სურვილი, რომ, უმალ, თავიდან მოსაშორებლად ვაძლევდი ხურდას, თუმცა, ვხედავდი, რომ მაბითურებდა. ხელისგულზე ხურდას დავუგდებდი და კიდევ ერთხელ გამიელვებდა მისი პირველი ნახვისთანავე საიდანაც გაჩენილი ფიქრი, ნეტავ, როგორია თავის მარტოობაში-მეთქი.

ეს იყო და ეს. მეტი - თითქოს არც არაფერი. ამ

ქალბატონის ხანგამოშვებით ხილვა გახლდათ ერთ-ერთი მეორე თუ მესამე რიგის შთაბეჭდილება, რომელთა მსგავსიც მეხსიერების საწყობებში ყოველდღიურად გროვდება და მნიშვნელობათა იერარქიაში ადგილს მისნაირთა შორის იკავებს - არც განუხებს და არც გახარებს, არც გახსენებას გაურბიხარ და არც მონატრებას გრძნობ. უბრალოდ, არის და ეგაა. რალაც მიზეზის გამო შეიძლება წამოტივტივდეს და ისევ გაქრეს.

ერთ საღამოს იმასაც შევესწარი, როგორ წამოდგა, გამვლულებისკენ ზურგით უხეიროდ მოხრილმა სკამი დაკეცა, ილიაში ამოიძო, ეჭვიანი და მკაცრი მზერით მიმოიხედა და სწორედ იმ ვითომ ამოგდებული მკლავის საქმიანი, ღონიერი ქნევით წამოვიდა ჩემკენ. სქელ ფეხებს ძალას ატანდა. განურჩეველი მზერით იყურებოდა. ქმენით ჩამიარა და ასაკის, სიმსუქნისა და ოფლის სუნი დატოვა. კარგახანს ვადევნებდი თვალს, როგორ მიჰქონდა მოტორტმანე სხეული. უცნაური სხეული იყო - სულის მახინჯი და თავისი სიმახინჯით დამთრგუნველი სატუსალო, შენივთებული და უღმობელი ბედისწერა: მოკლე ფეხები, წინ წამოგდებული მუცელი, მსხვილნაკვეთა სახე და მორგევივით კისერი. თითქოს იმასაც ვხვდებოდი, თუ რა ვალისა თუ მოვალეობის გამო ვაძლევდი ხურდას. ვალის განცდას, როგორც ჩანს, სწორედ ამ ცხიმითა და ოფლით გაჯერებული სხეული-სატუსალოს ხილვა მიჩენდა.

ჩანს, მისი არსებობა ამ ციკლში იყო ჩაკეტილი: სადღაც თავშესაფარი, დილით ხელის ღონიერი და საქმიანი ქნევით ასფალტის კუთვნილ მონაკვეთამდე მისვლა, მეზობელ საქმოსნებთან მისალმება, ქუჩაში მთელი დღის გატარება და უკან დაბრუნება. ალბათ, ასეთი ციკლებია, შანსს რომ არ გვაძლევს, შევჩერდეთ და გარედან შევხედოთ საკუთარ თავსაც და იმ გზასაც, რომელსაც კვლავ და კვლავ გავდივართ, იმ მოძრაობებს, რომლებსაც წმინდა ვიტეს როკვაში ჩაჭერილებივით ლამის უნებურად ვიმეორებთ და ასე ნამცეც-ნამცეც გაგვყავს დრო - ტვირთი, რომელიც სადღაც და ოდესღაც მხრებზე დაგვადებს. თუ არა ციკლების ეს ნარკოტიკი, დროის რომელიღაც წამი ჩავვიჭრდა და თავის უსასრულობაში ჩავვითრევდა - იქ სადაც ჩვენი უსასრულო სიშიშველ და მარტოობა და კიდევ ზღვრული სიცხადეა ჩვენივე თავის შესახებ, ის სიცხადე, რომელსაც ისევ და ისევ ამ ციკლების მეშვეობით გავურბივართ იმ იმედით, რომ დასაწყისსა და დასასრულს შორის რალაც ისეთი შემოგვხვდება, მყისიერად რომ შეცვლის ყველაფერს და იმ ბედნიერებას მოგვგვრის, ჩვენს დიდ მარტოობაში რომ გვეგულება. მანამ კი ბეჯითი მონაფეხივით ულუფა-ულუფა ვხარჯავთ მხრებზე აკიდებულ ტვირთს - დროს. საღამოს საწოლთან მიხვალ და აღმოაჩენ, რომ ეს დღეც ჩაგიღვია, რომ დრო უღმობელი გარდუვალობით იხარჯება ისე, რომ არაფრად გაგდებს და შენს დიდ მარტოობაში დაგულებული ხატება ისევ მის გარეთ დარჩა.

ჩამოჯდები საწოლზე და გაიფიქრებ, რომ ხვალ ამ დროს ზუსტად ასევე მოხვალ აქ და ზუსტად ასევე იგრძნობ ლოგინის სიგრილეს და კიდევ საიდანლაც შემოპარულ შიშს იმისა, რომ უძილობა შეიძლება მოგეპაროს და მთელი ღამე ძილ-ბურანში გაგატარებინოს: თან ცხადში რომ ხარ და თან სიზმარში და ვერც იქით გასხლტომიხარ და ვერც - აქეთ. ახლა უკვე რალაც განკარგულებაში ხარ და ის განაგებს, რაც შენს თავს ხდება.

მეორე დილიდან კი ისევ ახალი ციკლი, შანსს რომ გაძლევს, როგორმე გაექცე აქ და ახლა ყოფნის ძრწოლას იმის გამო, რომ უკვე დახარჯული დროის მიუხედავად დიდი მარტოობის წიაღში დაგულებული არსებობის სისასვე და სიხარული არ გიგრძნია. მხოლოდ იმედებითა და ილუზიებით თუ მოგიტყუებია თავი, რომ ამ ციკლებში რალაც ყოვლად მნიშვნელოვანი და ყველასათვის საჭირო იგულისხმება და ერთხელაც იქნება, აღმოაჩენ მას.

და მაინც, უცნაურად დამათრობელია ეს ციკლები თუ ციკლი. ესეც საღამოს ხვნეშით წამოდება თავისი სხეულის სიმძიმით მორყეული სკამიდან, ტანისამოსს გაისწორებს, თანდათან გათავისუფლდება იმ ნიღბისაგან, რომელიც ასობით ადამიანის ყურადღების მისაპყრობად ჰქონდა აკრული, ჩამოფერთხავს არტისტულ თვალთმაქცობას და გარემომცველების მიმართ გულგრილი დაიძრება სახლისაკენ საიმისოდ, რომ დილიდანვე ხელახლა შეუდგეს საქმეს. შიგადაშიგ მზესუმზირის გამყიდველისათვის პროცენტით მიცემულ ვალსაც მოიკითხავს, ეგებ, ისინიც მონახულოს, ვინც მისგან ელოდება ორიოდე კაპიკს; ალბათ, იმ გალოთებულ კაცსაც მიაკითხავს, ოდესღაც რომ მიენება, ფულს რომ ძალავს და დროდადრო ვნებიანად მოინეწვს მისკენ. კარგად იცის, რომ ამის გარეშე ვერც ვერაფერს ეღირსება და ფულს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს, თუ მის ქალურ ღირსებებს აღიარებს. ისე ესეც ხომ შურისძიებაა?! იმ მავანსაც მიხედავს, მისთანებისაგან რომ კრეფს ფულს და ბრიგადირს ეძახიან. მერე კვლავ მოვა საღამო და კიდევ ერთხელ გაიფიქრებს, რომ ეს დღეც ჩამთავრდა ისე, რომ ლოგინის სიგრილის ერთი შეგრძნებიდან მეორემდე არც არაფერი მომხდარა და თუ დაჰყვა ამ ფიქრით მოგვრილ შიშს, მერე აღარც უწერია ძილი. თუმცა, ეგებ, ამ შიშს იოლადაც გაურბის. ის ხომ უკვე ისეთი მოთამაშეა, რომელსაც ძალიშს, ამ შიშსაც გაექცეს თამაშ-თამაშით და თავის ბედისწერასაც თვალში ჩაუკრას. ეს შიშები ჩემისთანების წილია, ვინც ჯერაც თავის სოციალურ ღირსებას ეფერება და თავის თვალთმაქცობაზე თვალს ხუჭავს. უნდა ვაღიარო, ამით მაჯობა მეც და ჩემისთანებსაც და ახლა ნიშნის მოგებით გვეთამაშება ჩვენი, ასეთ სერიოზულებს და საკუთარ ღირსებებში შეყვარებულებს. გაგვაბითურებს და, ხომ კარგი! ვერ გაგვაბითურებს და კისერიც გვიმტკრევია. სხვა ასეულებთან ერთად ჩავივლით და ეგაა.

მაინც რისი თქმა უნდოდათ ამ სხეულის მეშვეობით, როდესაც მას ქმნიდნენ? ვინ იყო ის ულმობელი, რომელმაც თან ვიტრუვიუსის ყველა პროპორცია დაიცვა და თან ეს შემოგვთავაზა? ესეც ხომ, თუ ფეხებს გაშლიდა იმგვარად, რომ ტანის სიმაღლე ერთი მეთოთხმეტედით შეემცირებინა, ხოლო მკლავებს - ისე, რომ შუა თითებით შეხებოდა თავის ყველაზე მაღალ წერტილს, მაშინ ჭიპი აღმოჩნდებოდა იმ წრეხაზის ცენტრში, გაშლილი კიდურების ბოლოებით რომ შეიქმნებოდა და წვივებს შორის სივრცე ტოლფერდა სამკუთხედად მოგვევლინებოდა. მის გაშლილ მკლავებს შორის მოქცეული მანძილი მისივე სიმაღლის, ხოლო საქოჩრიდან ნიკაპის ყველაზე დაბალ წერტილამდე მანძილი მისი სიმაღლის მეთაღი იქნებოდა. ასე და ასე (ისევე ვიტრუვიუსს თუ მივეყვებით) მის სხეულში წრიულ მოხაზულობასაც აღმოვაჩენდით და კვადრატისასაც („თუ ადამიანს გავზომავთ თავიდან ფეხებამდე და ამ ზომას შევადარებთ მისი გაშლილი ხელებით შექმნილ ხაზს, სიგანე სიმაღლის ტოლი აღმოჩნდება“). როგორ მოხერხდა, რომ ამ პროპორციებსა და თანაზომადობაში ტკივილი და უსასობა ჩაბუდებულიყო. ამ სხეულის სიტლანქე და სიმძიმე თითქოს სხვა არაფერი იყო, თუ არა გამოუვალობისა და უსასობის სიმძიმე.

ალბათ, სიუშნოვეშიც არის თავისი კანონზომიერება. მოკლე ფეხები, წინ გადმოგდებული მუცელი, და დაბერილ თვალებში გაყინული დადარაჯებული მზერა თანხმობაში იყო, ოღონდ ისეთ თანხმობაში, რომლის მიღებაც გვიჭირს. არადა, სწორედ სხეული გამოთქვამს იმას, რასაც ადამიანის ხვედრი ჰქვია. სწორედ გარდუვალ პროპორციებში მოქცეული ნაკვთების რაგვარობაში ჩანს ის გზა, რომელიც მისმა პატრონმა უნდა განელოს, ან, სხვაგვარად, ის გზა, რომელთანაც ის თავის თავს გააიგივებს და განჩინებულს ნებით თუ უნებურად აღასრულებს. ასეც ვიტყვით: ამ სხეულში ის ისევე იმოძრაავებს, როგორც - მწერი მეზიუსის სიბრტყეზე. ამ სხეულის სუბსტანციით აიგება მისი ცხოვრებაც, გრძნობებიცა და ფიქრებიც.

ჰო, როგორც ჩანს, სწორედ ეს სხეული იყო, მკრთალი ჭიატით რომ დაძვრებოდა ჩემს მეხსიერებაში და ელოდა, მისთვის როდის მოვიცლიდი. ამ მცირე, მუდმივი, თითქოს ეფემერული ჭიატის წინაშე მარტო ხარ და სრულ მარტოობაშივე უნდა სცადო მისი მოხელვა. სხვებს მხოლოდ ის შეუძლიათ, მიგანიშნონ, როგორ არ უნდა მოექცე ამ ძახილს, ხოლო ის, თუ როგორ უნდა მოექცე, მთლიანად შენი გონების, გულისა და ნების წყალობით იბადება, იქვე იკარგება, რადგან, როგორც წესი, აღმოჩნდება ხოლმე, რომ ის გაგება, რომელიც მასთან ერთად დაიბადა, მხოლოდ ნილაბი ყოფილა იმისა, რაც უნდა დაბადებულიყო, რათა კიდევ უფრო მეტი ძალისხმევით ხარჯზე, ძველ ნილაბთან აღსრულებული მრავალი მაგიური ოპერაციის შემდეგ ახალი ნილაბით

მომვლინებოდა და თანაც იქედან, საიდანაც არც ველოდი. თურმე, კვლავ კარიბჭესთან დარჩენილხარ და ყველაზე მეტი, რაც შეიძლება ინატრო, სწორედ ნილაბთა კარნავალის აღქმა და არა მეხსიერების სანყობში განთავსებული რომელიმე ნილაბის ისტერიული და არქისერიოზული ერთგულება. რომ ეს კარნავალია სწორედ ის, რასაც მდინარის პირას ქვიშაში მოთამაშე ბავშვი მიეცემა მას შემდეგ, რაც ნილაბთა სიმძიმესა და შეუვალობას გაერიდება, შესცინებს და სადღაც და ოდესღაც აკიდებული ტვირთისგანაც გათავისუფლდება.

ამ ვითარებაში სხვა რა შემიძლია, თუ არა ის, რომ კვლავ და კვლავ მივუბრუნდე მას იმის იმედით, რომ კიდევ ერთხელ ვიგრძნო გაგების კარიბჭესთან ყოფნის, რაღაც უსასრულოდ ნაცნობთან შეხვედრის მტკივნეული ხიბლი და შემდეგ კვლავ დავშორდე მას. თავად კარიბჭესთან ყოფნის ჰიპნოზურობაა ის, რაც შეიძლება მეძახოდეს, თუ შეიძლება ითქვას - კარიბჭესთან ყოფნის მტკივნეული ყოვლადსისავსე. კარიბჭემდე კი ეს სხეულია, ჩემს მეხსიერებაში ადგილი რომ მოუპოვებია და სხვას არაფერს უშვებს თავისთან.

მცირე ხანში ეს ქალბატონი მხარსაც აღარ იგდებდა და, უბრალოდ, შებლაოდა გამვლელებს. თვალებს მოჭუტავდა, სახეს მოიქცევდა და ისე წამოიძახებდა ხოლმე დაუკავშირებელ სიტყვებსა და ფრაზებს. მაინც არავინ დაუგდებდა ყურს. მთავარია, გამვლელის წამიერი ყურადღებისათვის უსაზღვრო გაჭირვება და სასონარკვეთა შეფეთებინა და კიდევ რამდენიმე მოწყალების გაღების სურვილის აღმძვრელი ფრაზა: „ჩემი საბრალო ცხოვრება“, „უბედურება თან დამდეგს“, „ღმერთი გიშველით“ და მსგავსნი. ზოგჯერ ცოტა ხნით შეჩერდებოდა, რომელიმე მეზობელს რაღაცას გადაულაპარაკებდა და მერე ისევ წამოიბლავლებდა.

მაღე ასფალტზეც აღარ ჯდებოდა. პატარა დასაკეც სკამზე განთავსდებოდა, მოკლე, სქელ ფეხებს ულაზათოდ გაშლიდა და ხმაჩახლეჩილი ისე ისროდა სიტყვებს, ერთდროულად სიმღერაც გეგონებოდა და ტირილიც. ხშირად მხოლოდ ხმას გამოსცემდა, რაღაც ხმადაბალი ბლავილის მსგავსს და გადარაჯებული მზერით უცქერდა გამვლელებს.

უჩვეულო ხმას გამოსცემდა - აი, ისეთს, თითქმის რომ არ ეტყობა, მის პატრონს ოდესმე მის დახვეწაზე ეზრუნოს. უბრალოდ, ხმას გამოსცემდა და ეგ იყო. რომელიღაც ცხოველისა თუ ფრინველის ხმა ჰქონდა. ასეთი ხმები, ალბათ, ჩვენს შორეულ წინაპრებს ჰქონდათ, ვისთვისაც მეტყველება, უმაღლესი, გრძნობების გაზვიადებული გამოხატვის საშუალება იყო, ვიდრე აზრისა ან, უბრალოდ, განწყობისა. ეს უფრო საკუთარი არსებობის შესახებ განცხადება იყო. ასეთ ხმას, თითქოს რომელიღაც ჩემთვის უცნობი ფრინველი უნდა გამოსცემდეს, ერთ-ერთი იმათგანი, უფალმა ადამიანის შექმნამდე რომ გააჩინა, როგორც

მისი ერთ-ერთი პირველსახე სხვა პირველსახე-თა შორის. სხეულთან ერთად ხომ ხმაც იხვეწებოდა, რადგან ეს ყველაზე გვიან შექმნილი არსება ყველაზე ახლოს უნდა ყოფილიყო უფალთან, იმდენად ახლოს, რომ ხანგამოშვებით მისი მოდგმის რომელიღაც წარმომადგენელს თავის შემოქმედთან მიბრუნება უნდა მოეხერხებინა სხეულთან ერთად ხმის დათრგუნვით - შესაბამისად, მარხვასა და მღუმარებაში. მართალია, სხეულსა და მის მიერ გამოცემულ ხმას შორის არ არსებობს მკაცრად განსაზღვრული, ცალსახა კავშირი და მშვენიერი სხეული ჯერ კიდევ არ ნიშნავს მშვენიერ ხმას, მაგრამ ამ სხეულისაგან სხვაგვარი ხმა მაინც ვერ წარმომედგინა. გამომეტყველება, რომლითაც ის იცქირებოდა, უბრალოდ, სხვა ხმად ვერ გამჟღავნდებოდა. მისი სხეულიც მხოლოდ ამგვარს თუ შეითავსებდა, მხოლოდ ასე თუ გამოხატავდა ხმის გამომცემ ასოთა ვიბრაციებად გარდაქმნილ გრძნობებს და შეიძლება, შევმკრთალიყავი კიდეც, ქალის რბილი, შემპარავი და, თუ შეიძლება ითქვას, ჰიპნოტური ხმა რომ გამეგო.

და ასე, ამ ლამის დაუფარავი დაცინვით, ყალბი თეატრალური პათეტიკით გათამაშებული წარმოდგენით გვაიძულებდა, ქრისტიანული სათნოების თუ მოწყალების ნიღბები მოგვემარჯვებინა. ცხადია, ხურდის მიმცემთა შორის გულწრფელად წეწხებულებიც იყვნენ, მაგრამ მისთვის ასეთები, ალბათ, არც იყვნენ საინტერესო. უფრო მეტიც, ასეთები, ალბათ, მასვე აწუხებდნენ - ისევე, როგორც უმანკოების შერყვნა ან ვინმე გულუბრყვილო ნდობის გამოყენება აწუხებს თუნდაც გამოუსწორებელ თაღლითს. გაცილებით უფრო საინტერესოები იყვნენ ისინი, ვინც გრძნობდა, რომ აბითურებდნენ, მაგრამ პასუხად ზერელე თანაგრძნობის მომარჯვების მეტს ვერაფერს ახერხებდა და უნებურად ამ წარმოდგენის მონაწილე ხდებოდა. მთავარი, ალბათ, ძალაუფლების მოპოვების ეს აქტი იყო და არა მხოლოდ ფულის შოვნა და ქუჩაშიც დიდნილად, ალბათ, ის ამ უცნაური წარმოდგენის გამართვის სურვილს, ძალაუფლების ამგვარი უცნაური წესით მოპოვების იმედს გამოჰყავდა.

მოკლედ, ეს ქალბატონი თითქმის არც მალავდა, რომ თვალთმაქცი იყო და, როგორც ვთქვი, დროდადრო მომეძალებოდა ხოლმე სურვილი, არ დავყოლოდი ამ დაუფარავ გაბითურებას. მას კი გუნებაში მხოლოდ თუ გაეცინებოდა ამაზე. ჯერ ერთი, ის ხომ არასოდეს „მუშაობდა“ რომელიმე კონკრეტულ გამგელზე. მხედველობაში ყველა, ან, უფრო სწორად, ის აბსტრაქტული გამგელის ჰყავდა, იოლად რომ ემორჩილება პირობითობებსა და თამაშის წესებს. ასეთები კაცობრიობის ყველა უბედურების წყარო, სწორედ ასეთებს ეყრდნობიან ათასი ჯურის დემაგოგები და ავანტიურისტები. როგორც ჩანს, არსებობს ყოველ ჩვენგანში განაბული პატარა იდიოტი, სულის კოლ-

ბებში სათუთად ნაზარდი და ზერელე პირობითობებით გამოწვევები ბრიყვი ჰომუნკულუსი, რომლისთვისაც არ არსებობს განსხვავება მოწყალებასა და უფლის თუ საკუთარი თავის წინაშე თავის მოწონების წადილს შორის და ვისაც ამ ქალბატონის დანახვა სინამდვილეში იმიტომ გაუხარდებოდა, რომ საკუთარი სოციალური ღირსების შეგრძნების შანსი ეძლეოდა.

ჰოდა, მეც ხომ ერთი ვიყავი მსგავს მრავალ-თა შორის. ისიცაა, ვთქვათ, გავჯიუტებულიყავი და მისთვის ყურადღება არ მიმექცია. მხოლოდ თუ გაეცინებოდა, რადგან იცოდა, რომ მისთვის ფულის მიცემით ერთხელ მაინც მოვსინჯე საკუთარი ღირსების, უფლისთვის თავის მოწონებისა და ყოველივე ამის თანამდევი სინანულისა თუ გაორების გემო, უკვე ჩათრეული ვყავდი თამაშში. რომ მომეხერხებინა კიდეც, სულ მალე დამდღი-და ჩემი გაჯიუტება და სიავე - სიავეც ხომ გლლის ადამიანს - და ისევე მორჩილად მოვჩხრიკავდი ჯიბეში წვრილ ფულს. ბოლოს და ბოლოს, ეს გაორებული ფიქრებისაგან თავის დაღწევაშიც მშველოდა. მან ეს ყველაფერი იცოდა. ასეთებმა ყოველთვის ჩვენზე კარგად იციან ყველა ჩვენი სისუსტე და ეჭვი, იციან, რა ვნებიანად შეიძლება გავხვიოთ გაორებულ და გასამებულ ფიქრებსა და ხატებებში და ისიც იციან, რომ შედეგი ყოველთვის ჩვენი დანებება იქნება.

მაინც, როგორი იყო თავის დიდ მარტოობაში-მეთქი, სულის იმ იდუმალ კუნჭულში, სადაც წამიერად მაინც გათავისუფლდებოდა, რაც ხვედრით განეჩინა და საიდანაც პირობითსავით გარედან შეეძლო დაეთვალიერებინა - თანაც, ვინძლო, უკვე კეთილი მზერით - თავისი სხეული და ამ სხეულის თანაზომადი ფიქრები და ვნებები? ჩვენ ხომ იმთავითვე გვეგულება რალაც უალრესად საკუთრივი ადგილი ჩვენი ყოფნისა, ჩვენი იდუმალი მარტოობა, რალაც მაღლად რომ მოგვცემია და სადაც თავს უფლისწულებად ვგრძნობთ. ხოლო ის, რაც ჩვენი სხეულის, ფიქრებისა და ვნებების ცოცხალი კავშირითა და სხვების კარნახით იბადება, მხოლოდ გზაა, რომელსაც ჩვენივე იდუმალი მარტოობა გადის და ამ უკანასკნელს სხვაგვარად ხვედრს თუ ბედისწერაც ვუწოდებთ. ჰოდა, სწორედ ეს აზრი გამიბრუნდა ხოლმე, ნეტავ როგორია ამ თავისი ხვედრის გარეშე-მეთქი? პირველ რიგში სწორედ მას სჭირდებოდა თავისი დიდი მარტოობა, შვებით რომ შეაფარებდა თავს. ან, ეგებ, ისე ჩაიკეტა სხეულის ტყვეობაში, რომ მის გარეშე არსებობა აღარც ეგულებოდა და თუკი რაიმე დარჩა, მხოლოდ ამ სხეულის მიღმა არსებული უცხო და უღმობელი სამყაროა? თუ მისთვის ეს მხოლოდ ასეა, ალბათ, თავადვე გაურბის თავის დიდ მარტოობას და ისევე გადარაჯებული მზერი-სა და თაღლითის თვითკმაყოფილების ნიღბით ამჯობინებს არსებობას. თავისი დიდი მარტოობით კი არ იცავს თავს, არამედ ნიღბით, რომლის გარეშეც მხოლოდ განდევნის ტკივილია თუ შერ-

ჩება ხელთ, იმდენად დიდი ტკივილი, რაღაც ზღვრის შემდეგ ღირსებადაც რომ აღიქმება და ტანჯვით ტკბობად გადაიქცევა. ეგებ, მის სხეულშიც, როგორც პრიზმაში გამოტარებული აზრიც მხოლოდ ველურ პრაგმატიზმად და ასეთივე ველურ და მდაბიო ცინიზმად ითარგმნება და კიდევ - მთელ სამყაროზე შურისძიების სურვილად? ეგებ, მთელი მისი არსებობა მთლიანად იკითხება ქერომატიკით, ფრენოლოგიითა და მსგავსი ოკულტური მეცნიერებებით, რომლებიც სხეულს კითხულობენ და ცდილობენ გაარკვიონ, თუ მთელი ვარსკვლავიერი ცა თავისი მნათობებითა და თანავარსკვლავედებით, თავისი ცთომილებითა და თანამგზავრებით როგორ გამჟღავნებულა ადამიანის სხეულსა და სულში?

ალბათ, მის ჩვილობაშიც ისეთი დროც იყო, როდესაც მოხიბლული და გაოცებული თრთოლით ითვლიერებდა თითებს და გრძნობდა, სადღაც წიაღიდან როგორ ამოდიოდა სიხარული: ეს მე ვარ. შემდეგ კი გაჩნდა ჭია, რომელმაც ამ სიხარულისაგან აღარაფერი დატოვა. გახსოვთ რიჩარდი გლოსტერი?

„მე კი არა ვარ გაჩენილი ლაღობისათვის... და არც სარკის წინ კოხტაობა შემეფერება. მე, დაგვაჯული, კუზიანი, დამარცხებული მუხანათი ბუნების მიერ, ნაადრევი გამოგდებული დედის საშოდან, რომელსაც ეზოს ძაღლებიც კი შიშით მყეფენ, გვერდს რომ ჩავუვლი... როდემდე ვიდგე ამ ცის მზვარეში და შევყურებდე ჩემსავე ჩრდილს, დედამინაზე მახინჯად ფენილს?“ ხოლო ხურდის მიღების შემდეგ კი კმაყოფილი და გადარაჯებული მზერით გამაცილებდა და კვლავ რაღაც გლოსტერისეულს გაივლებდა გულში: „უარშიყნია ვინმეს ასე საოცრად? ვინმეს თუ მოუხიბლავს ასე საოცრად მავანის გული? მერედა როდის? ინყევლებოდა, ცრემლად იღვრებოდა, მაფურთხებდა. მასთან იყო ღმერთი, სინდისი და მართლმსაჯულება. ცა და მიწა მას ედგა მხარში! და მაინც მოვინადირე მისი გული“. ჰოდა, მეც ამ სახიობის მსხვერპლი, გაორებული და დაბნეული გავცვლებოდი და სასწრაფოდ მივივინყებდი მეორე დილაზე, სანამ სამსახურში მიმავალი მასთან ერთად კიდევ ერთხელ ლამის უნებურად არ გავითამაშებდი მონყალების გაღების რიტუალს.

ცხადია, ყველაფერ ამას სხვა სიტყვებით, სულაც სულ ორიოდ სიტყვით, ან, უბრალოდ, განწყობით გამოხატავდა, მაგრამ ამით მისი სასონარკვეთა ნაკლები სულაც არ იქნებოდა. ერთხელაც აღიარებდა, რომ ვერასოდეს ვერავისთვის იქნებოდა სასურველი, რომ არავის არასოდეს დაინტერესებდა მისი დიდი მარტოობა და რომ მისი სხეული იყო მისი სამარადისოდ მისჯილი საკანი; ასე უნდა ევლო ამ უცნაურ და განდევნილ ანთროპოლოგიურ ნაშთად და არც ღმერთი ეგულებოდა საიმისოდ, რომ ხსნის მთელი წყურვილი მისკენ მიემართა. ერთადერთი, რაც დარჩენოდა, ის იყო, რომ ამავე პრიზმიდან შეეხედა სამყაროსათვის და ასე ეძია მასზე შური. ეს სხეული თავი-

სი სუნით, ხმითა და ფორმებით, იქნებ, წამიერადაც არ აძლევდა დიდი მარტოობის შანსს?!

ჰო, სუნიც. ესეც ხომ ფიქრებისა და გრძნობების არაჩვეულებრივად ზუსტი ეკვივალენტია, თითქოს შეგრძნებებში მოცემული სამშენიველია და მეტყველია იმდენად, რამდენადაც კი შეგრძნება შეიძლება იყოს მეტყველი. ამიტომაც არის, რომ ადამიანის სუნის შეგრძნება მასთან შეხვედრის ძალზე მკვეთრად გამოხატული შემთხვევაა და ამიტომ არის, რომ ადამიანს ყველაზე ნათლად მისი სუნი გვახსენებს.

ცხადია, ჩვენს სხეულთან მხოლოდ ის არ გვაკავშირებს, რომ ის ჩვენია და რომ კუთვნების ზღვრულ შემთხვევას წარმოადგენს. ეს კუთვნება იმდენად ცხადია, რომ ძნელი წარმოსადგენია უფრო მეტი სიცხადე. თითქოს ის პირველი განცდა - ეს მე ვარ - ოდესღაც ჩვილობაში რომ გაჩენია საკუთარი თავის თვალთვლებისას წლების განმავლობაში შენი თანამდევია და ხანგამოშვებით და კვლავ და კვლავ გიბრუნდება ისეთივე ბავშვური უშუალობითა და სიხარულით თუ უკიდურესი ნაცობობის ტკივილით: ეს მე ვარ! ალბათ, ამ განცდით მოგვრილი ჰიპნოზური ხიბლის გამოა, რომ ყველაზე უშნო სხეულიც კი მისი პატრონისათვის არა მხოლოდ მისაღები და საკუთარია, არამედ თითქოს მთელს სამყაროს მოუყრია თავი საიმისოდ, რომ მისით ამეტყველებულიყო.

ისევ და ისევ: თუკი რაიმე გამოხატავს ადამიანის ბედს მთელი სიცხადითა და უშუალობით, სწორედ - სხეული. მისი უსასრულოდ ნაცნობი კონტურები თითქოს თვითობის ყოვლისმომცველ განცდაში მატყვევებენ - იქ სადაც მთელი ჩემი არსებობაა შედედებული, მთელი მისი კავშირი კოსმიურ სხეულებთან თუ ასტროლოგიურ მიმართებებთან, ელემენტთა მთელს პერიოდულ სისტემასთან თუ სიცოცხლის ნებისმიერ ფორმასთან, მოკლედ, მთელს იმ ჰარმონიასა და ნესრიგთან, რომელსაც კოსმოსს ვუწოდებთ. ამ უკანასკნელს ერთ კონტურში მოუყრია თავი, რათა ჩემი თვითობა-სხეული შეექმნა. ცხადია, გადის წლები და სხეული ცვეთას ინყებს - არა მხოლოდ სხეული, არამედ - მთელი თვითობა. სხეული, უბრალოდ, ცხადად ასახავს ამ ცვეთას. ცნობიერების ცვეთაც ისაა, რომ იგი თანდათან პოულობს მასსა და სხეულს შორის არსებულ ბზარებს და გრძნობს ამ ბზარების უცნაურ მიმზიდველობას, სადღაც მოუხელთებელ, ძენონისეულ ნერტილში დაგულებული „მინისაკენ“ რომ მოუწოდებენ. დგება მომენტი, როდესაც სხეული აღარ არის ჩემი ნების ინსტრუმენტი და ადამიანიც თავის იდუმალ ფიქრებში ცდილობს გაარკვიოს, თუ რაღა იქნება მისი თვითობა დროსა და სივრცეში განსაზღვრულობის გარეშე. სურს თუ არა, კვლავ და კვლავ უბრუნდება ამ ფიქრს, თუმცა კი სულმოკლე ფორმულით „ასი წლის შემდეგ“ ცდილობდეს მისგან გაქცევას.

ჰო, ჩემი ბოგანოს ცქერამ გამახსენა, თუ სხეული, როგორც შენივთული თვითობა, იმთავითვე როგორ განსაზღვრავს ფიქრების, განცდებისა და ნებელობის ჰორიზონტს. მთელი ჩემი სხეულია აზროვნებისა და გრძნობის ორგანო და ნებელობის წყარო. ამიტომაც ჰგავს ადამიანი საკუთარ აზრებს და, პირიქით, აზრები ჰგვანან ადამიანს. მისი სხეულის კონტურებში თითქოს იმთავითვე შეიძლება მისი ფიქრებისა და განცდების მდინარეების ამოცნობა. ამიტომაცაა, რომ ბედისწერა არ არის მხოლოდ გარედან შემომთხვეული რამ, იგი, პირველ რიგში, ეს უსაკუთრივესი ნივთია, რომელიც, პირიქით, იქეთ განსაზღვრავს ჩემგან გამოშვალსაც და ჩემთან შემომთხვეულსაც. ამ ჩაკეტილი წრიდან თავის დაღწევა, ალბათ, მხოლოდ წმინდანებს თუ შეუძლიათ.

ამით, ჩვენი სხეული ის კომპრაჩიკოსის ქოთანია, რომლის ყალიბშიც ექცევა აღქმულიც და გამოთქმულიც. ერთი და იგივე ვარსკვლავიერი ცა თავისი იდუმალებით ვიღაცაში იდუმალ, მეტაფიზიკურ ძრწოლას აღძრავს და აიძულებს, დაუნჯებულმა, საკუთარი სულის ვიბრაციებში იდუმალი უწყება ამოიცნოს, ვიღაც კი ამავე იდუმალუბის შეგრძნებით ფრთაშესხმული რაიმე ბანალურ სისულელეს გააკეთებინებს, ან კიდევ ჩემი ბოგანოსავით იდუმალი მხნეობით ფრთაშესხმული დაანწყებინებს თავის სამუშაო დღეს. ნება და სხეული ერთიანად განსაზღვრავენ, თუ რა ენაზე ითარგმნება ეს იდუმალი მეტაფიზიკური თრთოლა.

სხეული თითქოს თავმოყრას მთელი იმ თავგადასავლებისა და ხდომილებებისა, რომლებიც უკვე გაგივლია, ან რომელთაც მომავალში გაივლი და ეს გზა მხოლოდ მის გაცვეთასთან ერთად თუ ჩამთავრდება. იგი ადამიანური ბედისწერის საიდუმლოს ინახავს და ხან რაღაც შენიღბული ფიქრების, ხან კიდევ ტკივილისა თუ ავადმყოფობის სახით აგზავნის უწყებას მის შესახებ.

რაც უფრო უახლოვდები შენი არსებობის ძენონისეულ წერტილს, მით უფრო ნათლად იაზრებ, რომ შენ და შენი სხეული ერთი არა ხარო. იგი თითქოს შენი ნაშთი ხდება, შენი წარსულის საწყობი, მთელი იმ გზისა, რომელიც შენ განვლე. შენი წარსულის ფიქრებსა და განცდებს შეუცვლიათ იგი, გაუცვეთიათ და დაუღლიათ. სწორედ რომ წარსულისა. სენი, რომელიც მის რომელიღაც წერტილში იწყებს ციალს და ნელ-ნელა ვრცელდება მთელს ხეულში, თითქოს სხვა არაფერია, თუ არა წარსულის მთავარი თავმოყრის წერტილი. იგი აქ არის, იმ მე-ნივთში, რომელიც თითქოს შენ გეკუთვნოდა, მაგრამ, თურმე, ამასთანავე შენი ბედისწერის საკუთრება იყო და შენ და შენი ბედისწერა ერთად ძერწავდი თმას. ჰოდა, სენიც აქ იზუდებს. იგი ისევეა „შენი“, როგორც სხეული. იგი უსაკუთრივესად შენია. რაღაც უცნაური წესით მე საკუთარი სენის შემოქმედი ვარ. ჩემი სენი ჩემივე კონცენტრირებული რაობაა, რომელსაც მანამდე მხოლოდ სხეულის კონტურებით, ხმითა და სუნით გამოვთქვამდი.

სხეულის ცვეთა დასტურია იმისა, რომ ჩემმა წარსულმა დაქანცა იგი, ხოლო აწმყოს მანათობელი წერტილი ველარ შეაქვს მასში. წარსულმა დახარჯა ის, რაც მაღლად მიეცა და სხვა გზა არ არის, ახლა სხვა საბინადრო უნდა ეძიოს. სიკვდილი სხვა საბინადროში გადასახლებაა და კიდევ თავის დაღწევა იმ ყროლისაგან, რომელიც წარსულმა დააყენა. სიკვდილი თავის დაღწევა საკუთარი წარსულისაგან, მაშინ, როდესაც სხვაგვარად ველარ დაგიღწევია თავი და უფალი გენვევა და გიხსნის. და სხვა არაფერი გრჩება, თუ არა სინანული და სირცხვილი საკუთარი სხეულის გამო, რომელსაც უკვე სიხარულით უთმობ ყოვლისდამტევ და ყოვლისმომცველ მინას. ისიც იწოვს მას და განაქარებს, თუმცა კი რჩება ერთი რამ, რომელიც არ უნდა განქარდეს და არ უნდა შეიმუხროს: შენი ძვალი, როგორც დასტური შენი ამქვეყნად ყოფნისა. სუნი და ხორცი ერთად იწოვება მინაში და რჩება შენი ძვალი, რომელიც არ უნდა შეიმუხროს.

ყველაფერი ეს, ალბათ, იმაზე მისანიშნებლად ვთქვი, თუ ამ ტლანქი და უფორმო სხეულის ფორმასა და სუნს, ამ დამცინავ მზერას და ისტორიადელი მტაცებელი ფრინველის ამ ხმას როგორ შეიძლებოდა ეშვა ეს ჰიპერტროფირებული არტისტიზმი. ამით იმაზეც მინდოდა მიმენიშნებინა, როგორ ჩნდებოდა ჩემი ქველმოქმედებაც, რა უცნაურია სამყარო და როგორ შეიძლება, ამ უცნაური არსებების ათასეულებიდან სოციალური დარვინიზმის გზით დიადი არტისტები იშვან, დიადი მსახიობები თუ თვალთმაქცები და რომ პირველსახე ამ დიადი ადამიანებისა, ისევე, როგორც ნებისმიერი იმისა, ვინც სანახაობისა და გართობის წარმოებით ცდილობს ლუკმა-პურის შოვნას, ამ ათასეულებშია, პირველებმა რომ სცადეს გამველელ-გამომველთა ყურადღების მიპყრობა, პირველებმა რომ სცადეს, მათში სიბრალული, თანაგრძნობა თუ, უბრალოდ, კეთილი განწყობა აღეძრათ - ამ საბრალო ათასეულებში, ვისთვისაც ცხოვრება დაუძლეველ ამოცანად იქცა და ახლა ლამის დაუფარავი ცინიზმით იძიებენ შურს მათზე, ვისაც ბედმა იოლი არსებობა არგუნა. ალბათ, სპონტანურად სწორედ ამ ბოგანო ათასეულებში ჩნდება არტისტული ოსტატობის პირველი ნიმუშები, რომლებიც შემდეგ უკვე სოციალური დარვინიზმის გზით ერთეულებს უკიდურეს დახვეწილობამდე მიჰყავთ და ამით აღასრულებენ ათასეულთათვის აღუსრულებელ ამოცანას - როგორმე სხვა ადამიანებივით განთავსდნენ არსებობაში. ან, იქნებ, არცა აქვთ ეს ამოცანა და თავისთავად ამ ბოგანო არსებობაშიც არის რაღაც ისეთი ხიბლი, რომელსაც რიგითი მოქალაქის ყოველდღიური არსებობა ვერ შეცვლის - სოციალურ პირობითობებსა და კონვენციებზე უარის თქმის, სოციალური ასოციაციებისაგან თავისუფლების, ტერმიტის მსგავსი სოციალიზაციისაგან უარის თქმის ხიბლი და, ვინძლო, ბედნიერებაც, ხოლო ისინი, ვინც

ზემონახსენები სოციალური დარვინიზმის შედეგად ჩნდებიან, უბრალოდ, უარყოფენ თავის წინამორბედთა ამ ძირეულ მისწრაფებას. ვინ იცის, იქნებ, ასედაც არის და მათი სიბრალოლე ისეთივე აბსურდულია, როგორიც მეძავისა თუ ბაცაცასი, რადგან არ შეიძლება გებრალეობედეს ადამიანი, ვინც თავისუფლების რაღაც, თუნდაც მარგინალური განზომილება მოიპოვა და ახლა ნარკოტიკული თრობით მისცემია მას.


ასე იყო თუ ისე, ამ ქალბატონმა რიტუალში ჩამოთრია. ჩვენი არსებობაც, ალბათ, ასეთი რიტუალური პირობითობებისაგან შედგება და სხვაგვარად ჩვენი თანაყოფნა ვერც აიგება. სოკრატეც ხომ იმიტომ არ განიდევნა, რომ რაიმე ალტერნატიულ თუ ზღვრულ ჭეშმარიტებას ატარებდა, არამედ, უბრალოდ, იმთავითვე უარი თქვა აზრის საყოველთაოდ მიღებულ რიტუალურ პირობითობებზე და მეტი არაფერი?! მას არც კი უფიქრია ახალი ცისა და ახალი ქვეყნის შესახებ ექადაგა და ერთადერთი, რაც ენადა, ის იყო, რომ რიტუალური პირობითობებით ნაგები კომპრაჩიკოსის ქოთანი ემხილებინა. უბრალოდ, ვერც მან და ვერც სხვა მისთანებმა ვერ გაითვალისწინეს, ამ პირობითობების მიზანია არა ჭეშმარიტება, არამედ კონტექსტის კომფორტი. ამგვარი კომფორტით თუ ვიოკებთ გონების იმ მშფოთვარე და მუდამ ჯანყისთვის გამზადებულ კუნჭულებს, მოსვენებას რომ არ გვაძლევენ და დღისით და ღამით თვალთმაქცობაში გვაშხელებენ - სულ მცირე ხნით, მაგრამ - მაინც. ჰოდა, ამ ქალბატონმაც იცოდა ეს და კატათავგობანას გვეთამაშებოდა. ამგვარებმა ყველაზე კარგად იციან, რა ფასი აქვს ჩვენს მცდელობას, გავთავისუფლდეთ და ისე მოვიქცეთ, როგორც ამას ჩვენგან ჩვენი სულის მშფოთვარე უბნები მოითხოვენ. ვითომც, გულდანყვეტილი დაგვადევნებს სევდიან მზერას, რომელშიც მსხვერპლის დანახვაზე განაბული წვრილი მტაცებლის ნაპერწკალი მოუხელთებლად დაქრის. თითქოს გვიშვებს და გვათავისუფლებს კიდეც, თუმცა იცის, რომ სულ მალე მომწყინდება გონების აჯანყებული კუნჭულების ჟრიაში, კონტექსტიდან გაქცევისთვის ბრძოლაც და ისევ მივუბრუნდები მას - სხვებთან რიტუალურ პირობითობებში თანაარსებობის კომფორტულ ნიალს. ჰოდა, რა ძალა ჰქონდა, ჩამჭიდებოდა და ასე გავეხადე იძულებული, ჯიბისკენ წამეღო ხელი? იმ წამს კი მიაღწევდა მიზანს, მაგრამ სამუდამოდ დამკარგავდა?! განა, არ ჯობდა, საკუთარი გულგრილობით შეძრული ჩემივე ნებით მივბრუნებოდი რიტუალს და შერიგების ნიშნად მცირედი ხარკიც გამეღო?! მოკლედ, ის გაცილებით ბრძენი იყო, ვიდრე შეიძლება გეფიქრა კაცს და მისი ყალბი არტისტიზმიც სალოსური ნილაბი იყო ამ სიბრძნისა, ოდესღაც და სადღაც სარკის წინ მყოფმა რომ მოიპოვა: დაიქცეს ის დღე, როცა მე გაეჩნდი, და ღამე, როცა ითქვა, კაცი ჩაისახაო! დაბნელდეს ის დღე, აღარ მოხედოს მას უფალმა ზეგარდამო, აღარ

ინათოს მასზე ნათელმა. მოიცვას წყვედიადმა და აჩრდილმა სიკვდილისა, ღრუბელი გადაეფაროს, თავზე და დღის სიშავემ შეაძრწუნოს... რომ საშოშივე არ ჩამიკეტა კარი და არ განმარიდა ამ სატანჯველსო!

ჰოდა, ეს რომ ვიცოდი, ამიტომაც იყო ამაო ჩემი ყველა მცდელობა, რიტუალს გავექცეოდი, რადგან ამ წამოძახილის წინაშე ისეთივე უძლური იყვნენ გონების მოჯანყე კუნჭულები, როგორც იობის მეგობრების დაუსრულებელი ბჭობა იმის შესახებ, თუ რატომ მოუვლინა უფალმა მას ასეთი ხვედრი. არის რაღაც, რის წინაშეც ხევდება ყოველივე: სალი აზრიც, თავისუფლების წყურვილიც, თვითკმაყოფილება იმის გამო, რომ არც ისე იოლი მოსატყუებელი ხარ და არის რაღაც, რის წინაშეც უძლურია თავისუფლებისა და სოციალური პირობითობებიდან საკუთარ თავთან დაბრუნების წყურვილიც.

ეს იყო მისი მთავარი არგუმენტი და მსურდა თუ არა, რიტუალს ვუბრუნდებოდი და დავუბრუნდებოდი თუ არა, მზერაში წამსვე დამახვედრებდა გამარჯვებული წვრილი მტაცებლის ნაპერწკალს. ეს იყო ის საბოლოო არგუმენტი, რომელსაც თავს ვერასოდეს დავაღწევდი, თუნდაც კარგად გამეაზრებინა, თუ რა უგვანად და უკეთურად იშველიებდნენ მას ჩემს წინააღმდეგ, რადგან ვიცოდი, რომ ის, ვინც მას იშველიებს, იმთავითვე მართალია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეს არგუმენტი მას მისმა ხვედრმა არგუნა და ოდესღაც, ალბათ, დიდი სიხარულითაც იტყოდა უარს მასზე. ახლა კი, ვინძლო უკვე გადასული იყო იმ ზღვარს, რომლის შემდეგაც ტანჯვით უგვანი ტკბობა იწყება? ეს ტკბობაც მას თავისმა ხვედრმა არგუნა, ტკბობაც, არტისტული თვალთმაქცობაც, მოწყალების გაღების რიტუალში ჩემი ჩათრევის აზარტიც, მოკლედ, მთელი მისი საჯაროდ გამოტანილი თვითობა.

ასე აღმოვჩნდი ჩვენ ორნი რიტუალური ქცევის ერთ წრეში მოქცეულები, თურმე, სწორედ ეს იყო მისი მიზანი და არა თავის შებრალება ან რაიმე სხვა მსგავსი. ეგებ, მის გულში ჯერაც ჭიატებდა უნიადაგო იმედი, თავისი ბედის მწერალთ დანახებს, რა მორჩილად და უდრტვინველად ალასრულა მათი განჩინება, ხოლო მე, მსურს თუ არა, გულის სიღრმეში მაინც გამიჩნდება კმაყოფილების გრძნობა გაღებული მოწყალებისა და ოდესმე მომავალში მოსალოდნელი კეთილი ნაცვალგების გამო. ერთიცა და მეორეც ჩვენს მომავალს საშენი მასალით უბრუნველვყოფდით და გულის სიღრმეში ორივეს ბავშვურად გვწამდა, ჩვენს დიდ მართობაში დაგულებული სინამდვილე დადგებოდა და ის შეუდარებლად უკეთესი იქნებოდა იმაზე, რომელშიც ვიყავით; რომ მთავარი ეს იყო, ამ ახალი სამყაროსათვის ადგილის გამზადების, მის გამო მუცლადლების მდგომარეობაში ვვყოფილიყავით მეც და ჩემი ბოგანოც და თუნდაც ყველაფერ ამას ათასი ეჭვი, დაცინვა, ერთმანეთის გამასხრება თუ ფარულ ზრახვათა სააშკარაოზე გამოტანა



ახლდა, მაინც კარგი იყო. მთავარია, ეს სასურველი მომავალი სწორედ მაშინ დადგეს, როდესაც მისი საშენი მასალა ბოლო მარცვლამდე გვექნება გამზადებული. ჰოდა, გვეთვალთმაქცა მე და ჩემს ბოგანოს, მერე რა?! მთავარია, თავი მაინც მოვითქუოთ, რომ ამით მომავალს ვეწმინთ.

მოკლედ, მეც ვთვალთმაქცობდი და იგიც. ეგებ, იგი უფრო გულწრფელიც იყო თავის თვალთმაქცობაში? თავისი ნამდვილი არსებობა, თავისი დიდი მარტოობა ხომ, ალბათ, სადღაც სხვაგან ეგულებოდა - ამ ნიღბისა და რიტუალის მიღმა. ნიღბით კი მხოლოდ თავს იცავს, მხოლოდ იმას ცდილობს, გადაურჩეს თავსდამტყდარ გარემოებებს, თავის გარეგნობას თუ გარემომცველთა გულგრილობას, დაღლილობას, რომელიც მისი ასაკისა და ბედის ადამიანს ყოველ უჯრედში უნდა ჰქონოდა გამჟღარო, ადამიანებს, რომლებიც ვერასოდეს შენიშნავდნენ დედოფალს მის სხეულში და მათზე შურს იძიებდა იმით, რომ ამ უცნაურ რიტუალში ითრევდა - თანაც ისე, რომ მისთვის წამიერი თვალის შევლების განმავლობაში ვერც კი ასწრებდნენ ამის გააზრებას - მაშინაც კი, როდესაც დაცივნის ნაპერწკალს შეამჩნევდნენ მზერაში, დაცივნას, ან კიდევ - უსასრულო გულგრილობას, სიძულვილში გადასულ შურს ან რაიმე მსგავსს. ჩვენ ყველანი მისთვის ხომ ლამის უსიცოცხლო საგნები ვიყავით, რომლისთვისაც ხელი უნდა ჩაევლო, ორიოდ წამის განმავლობაში თავის ჭკუაზე ეტარებინა და ისევ მიეშვა ისე, რომ აღარც მას და აღარც მის მსხვერპლს აღარ უნდა ხსომებოდა მომხდარი. ლამის შეუმჩნევლად შემოიტყუებდა და გაისტუმრებდა. მართალია, გამვლელთაგან მხოლოდ ნაწილი თუ დაჰყვებოდა მის ნებას და ჩაერთვებოდა ამ სახიობაში, მაგრამ სწორედ ამას ჰქონდა ფასი - იმ ერთეულებს, რომლებიც მისი ნებით ისე აღასრულებდნენ თავის როლს, რომ ვერც კი გაიაზრებდნენ ამას. სწორედ ეს ერთეულები - და მეც ხშირად მათ შორის - უდასტურებდნენ გამარჯვებას, მას, სოციალური სივრცის პერიფერიაზე თუ სოციალური პირამიდის ძირში გადასროლილ არსებას, სადღაც გარეთ რომ დარჩენილიყო სხვა თავისნაირებთან ერთად. ამ ამყად მავალ, საკუთარი ღირსების გრძნობით გაჯერე-

ბულ, კარგად გამოწყობილ გამვლელებს წამიერად მაინც ათამაშებდა თავის ჭკუაზე და მხოლოდ მან და მისნაირებმა თუ იცოდნენ, რა ფასი აქვს ასეთ გამარჯვებას.

ჩემი დიდი მარტოობიდან კი ისევ და ისევ გაისმის იმედიანი ხმა: ეგებ, მთავარი მაშინ ხდება, როდესაც შევძლებ და მეორე ადამიანში ამოვიცნობ იმ გზას, რომელსაც ის გადის: გზას საგნებისა, ადამიანებისა, მოვლენებისა, გზას საკუთარი სხეულისა, გადის იმ ბილიკებს, რომლებიც სადღაც და ოდესღაც მონიშნეს იოზმა, აჰასფერმა, რიჩარდ გლოსტერმა და თავად მაცხოვარმაც. ეგებ, მისი მეშვეობითაც ცდილობს ეს უკანასკნელი თავისი გზა განვლოს? ეგებ, ჩვენ ყველანი - გვსურს თუ არა - გავდივართ ამ გზას, ჩვენ ყველანი ერთ მშვენიერ წამს სასონარკვეთით შევძახებთ: მამავ, მამავ, რაიზედ დამიტევე მე და ისე მივინებდებით უღმობელ განჩინებას, რათა სწორედ იმ დროს, როდესაც ჩვენს გარშემო წყვდიადი სრული შთანთქმით გვემუქრება, ვილაცის მეშვეობით მოვლენილმა მაცხოვრის მზერამ გვიხსნას - ოღონდ ვილაცის სხეულის, ფიქრებისა და ცხოვრების ბილიკებით მომავალი მაცხოვრისამ. და მეც შევცქერი ამ სხვას და, ეგებ, ისიც მოვახერხო, აჰასფერივით უარი არ ვუთხრა თანალობაზე. ამით ყოველი ადამიანი, ვისაც კი ვხვდები, შანსია ჩემთვის, რომ მაცხოვრის მარადიული სვლის თანაზიარი ვიყო, შანსია იმისა, რომ თავი დავაღწიო ნამყო მყოფობის ტყვეობას და მომავლისკენ მივმართო საკუთარი თავი? ამავდროულად, ეს შანსია იმისა, რომ იმას, ვისაც უფალი მახვედრებს, ჩემი „ნათელი ჭეშმარიტის“ მეშვეობით შევუმსუბუქო ჯვარცმის ტკივილიცა და აღდგომა? აჰასფერი ის საფრთხეა, რომელსაც მე ჩემი გულგრილობითა და მონობით ვინახავ საკუთარ თავში და ხშირად რუდუნებითაც კი ვზრდი ჩემი სილაჩრისა და სინუნკის გამო. გზაზე, რომელსაც გავდივარ, უამრავი ადამიანი მხვდება აჰასფერად და უამრავ ადამიანს ვხვდები მე აჰასფერად, თუმცა კი მთავარი ის ერთი მცირე წამია, როდესაც შევძლებ და მაცხოვრის მზერით შევხედავ მას და ბორკილებს შევუხსნი..

გატაცებით, როგორც ხსნას, მივყვებოდი ამგვარ ფიქრებს. ვინ იცის, ეგებ, ამ ტლანქი კონტუ-



რებიდან და თაღლითურად მოჭუტული თვალე-
ბიდან ის მეთამაშება, ის ეშმაკობს, რათა მეც
თვალთმაქცობათა უსასრულო გზაზე დამყენოს
და მანამ მატრიალოს ამ კუნაპეტ მორევში, სანამ
მყისიერად ნათელი არ გახდება ჩემთვის, თუ რა-
ტომ მარგუნა ბედმა აპსაფერის გზის მოსინჯვა,
ეს დაუსრულებელი ხეტიალი საკუთარ ნიღბებს
შორის, ეს დაუსრულებელი მცდელობები იმისა,
რომ როგორმე რომელიმე ნიღაბს ექსტატურად
შევერწყა და მოვისვენო? ვინ იცის, იქნებ სწორედ
მაშინ, როდესაც ბოგანო თაღლითური ღრეჯით
მიშვერს ხელს და თან ცდილობს, რომ კარგად და-
ვინახო მისი ამოგდებული მხარი, სწორედ მაშინ,
როდესაც თვალეებში უკიაფებს დამცინავი ღიმი-
ლი იმ ასეულობით გულუბრყვილოს გამო, თამაშ-
ში რომ აპყლიან და ხურდა ჩაუყრიან მისთვის,
სწორედ მაშინ, როდესაც თვალს ვარიდებდი მის
უშნოდ გაშლილ დაბერებულ ბარძაყებს და მოღე-
ლილ ოფლიან და ქონმოდებულ მკერდს, სწორედ
მაშინ, როდესაც მისი ასაკმორეული და თაღლი-
თობას მორგებული სხეულის სუნი მეცემოდა, სწო-
რედ მაშინ, როდესაც დამცინავ ნაპერწკალს მოე-
ხელავდი კიდეც ერთი მოტყუებულის გამო, ამ ნიღ-
ბით სწორედ ის მეთამაშებოდა და მაიძულებდა,
საკუთარ ნიღბათა შორის ხეტიალის მთელი სა-
სონარმკვეთი უსასრულობა, ამ ნიღბებით ნაგებ
წრეზე სიარულისა და ნიღბების კალეიდოსკოპის
უსასოობა მეგრძნო და იმ წამის სიახლოვეც, რო-
დესაც **თავად** ჩამავლებდა ხელს და მთელი ამ მო-
რევისაგან გათავისუფლებულს უცნობ ბილიკებ-
ზე გამიძღვებოდა. ვინ იცის, იქნებ, ასეც იყო და
ამ ბოგანოს სახით მომევიდნა ის, ვინც უნდა გა-
მომცადოს - არა იმ აზრით, შემიძლია თუ არა გა-
ლება, არამედ შემიძლია თუ არა ამ გალების შემ-
დეგ ჩემი სულის მოზიზღიმიე უფსკრული ვიგრძნო,
ის ბზარი, რომელიც ადამის სამოთხიდან განდევ-
ნის შემდეგ დამყვა და რომელმაც კიდეც ერთხელ
შემახსენა თავი, როდესაც სადღაც და ოდესღაც,
ვინ იცის, მრავალჯერაც ჩემს სახლთან ჩავლილ-
სა და ადამიანთა მიერ განწირულს აპსაფერთან
ერთად ყორზე მიყუდების უფლება არ მივეცი.
ვინ იცის?! ჰოდა მომესაჯა ახლა მარადი სი-
ცოცხლე, უფრო კი მარადი ბრუნვა ჩემი სულის
კალეიდოსკოპისა და მარადი ცქერა იმ სახე-ნიღ-
ბებისა, რომლებშიც ოდესმე გავნივთებულვარ.

დიდხანს ვერ გრძელდებოდა ეს მხსნელი ფიქ-
რები. ამ ქალბატონის დადარაჯებული მხერა გან-
დევნიდა ხოლმე მათ და ჯიუტად მარწმუნებდა,
რომ ეს იყო მხოლოდ წარმოდგენა, მხოლოდ და
მხოლოდ ერთგვარი სახიობა, რომელშიც ორი
თვალთმაქცი ვმონანილობდით, მარტივი ტექნო-
ლოგიით რომ ვცდილობდით ჩვენი მიზნების მიღ-
წევას და სხვა არაფერი. უფრო მეტიც, სხვა რაი-
მე, აქედან თავის დაღწევის მიმტანი, არც შეიძ-
ლებოდა ყოფილიყო. ჩვენ ხომ ჩვენი დროის შვი-
ლები ვართ - ტექნოლოგიების ეპოქისა. თუკი წმინ-
და ისააკ ასური საკუთარი სულის ჯოჯოხეთის-

კენ მიიმართებოდა, რათა მის წიაღში, თავისი სუ-
ლის უღრმეს შრეებში ნათლის ციალი წამიერად
მოეხელა, რაღაც გამოუთქმელის კარიბჭესთან მი-
სულიყო, ჩვენივეს ეს ტექნოლოგიები თვითლი-
რებული. ჩვენი ეპოქა ახერხებს, ხსნის მთელი ვნე-
ბიანი შინაარსი კომფორტის ტექნოლოგიებად და
ალგორითმებად დაანაწილოს. ის, რასაც ოდეს-
ღაც სულის ხსნას უწოდებდნენ, ახლა კომფორ-
ტია თავისი განშუალებული და წუხილის მინიმუმ-
ზე დაყვანილი არსებობით. ჰოდა, ეს ქალბატო-
ნიც სხვას რას აკეთებდა? უბრალოდ, საკუთარ
თავს გვთავაზობდა საიმისოდ, რომ გაჭირვებუ-
ლისათვის მოწყალების გალების ალგორითმში მოე-
ქცეულიყავით, თან ისე, რომ ამაზე ბევრი დრო,
ფიქრი და ძალისხმევა არ დაგვეხარჯა, მერე კი
კეთილი საქმის აღსრულებით კმაყოფილებს გზა
განგვეგრძო.

ჩვენი ეპოქა რაციონალური კომუნიკაციებისა
და საკომუნიკაციო რაციონალიზმის ეპოქაა. კო-
მუნიკაციათა და ალგორითმთა გამართულობა მას-
ში ჭეშმარიტებისაკენ ვნებიან სვლას ცვლის, რო-
დესაც სასონარკვეთა და ტკივილი მუდმივად თან
დაგდევს და მუდმივად ჩაგდახის, რომ რაღაც არ
არის წესრიგში და რომ შენი სვლის გზები კიდეც
და კიდეც უნდა გადასინჯო. ჩვენს დროში მთავა-
რია, კომუნიკაციათა ტექნოლოგიებს დაეუფლო
და ისე განთავსდე იმ გიგანტურ ეგალიტარულ
მატრიცაში, გლობალური სამყარო რომ ჰქვია. ამ
უკანასკნელს მხოლოდ ზღვრამდე ფორმალიზე-
ბული კომუნიკაციებითა და ზღვრამდე დახვეწი-
ლი ალგორითმებით შეუძლია არსებობა. თუ ვერ
მოექცევი ამ ქსელის კონტექსტში და ის განგდე-
ნის, როგორც უცხო სხეულს, როგორც იმგვარ მა-
ვანს, რომელიც ვერ დაეუფლა მის ენასა და რიტმს
და ყოველ ნაბიჯზე ბორძიკობს, ჩერდება, აკვირ-
დება, სწავლობს და ამით სხვებსაც ხელს უშლის;
მის არქაულ აზროვნებას ჯერაც ვერ გადაულა-
ხავს ჭეშმარიტების ილუზია, ვერ გაუგია, რომ
მთავარი ამოცანაა, კომუნიკაციათა ერთიან მნიშ-
ვნელზე დაყვანილი პარადიგმების ათვისება და
არა ეჭვი, შიში, ირაციონალური მოლოდინები, სინ-
დისის ქენჯნა, მეორე ადამიანის აღმოჩენით მოგ-
ვრილი სიხარული, დანაშაულის ირაციონალური
გრძნობა, სიკვდილის ხსოვნა და ათასი სხვა რამ-
ყველაფერი, რაც ხელს უშლის კომფორტს, რო-
გორც ხსნას. ამ უკანასკნელს ყოველივე ამის გან-
კურნება თუ არა, დაამება მაინც ძალუძს, ან მათი
დავიწყება და საკომუნიკაციო მატრიცის ორეუ-
ლებით ჩანაცვლება. ასე დაიძლევა სიკვდილის ში-
ში კლონირებით, სიყვარული - სექსით, სულის მო-
ულოდნელად აჟღერებული მეტაფიზიკური ბზა-
რები - ფსიქოანალიტიკური სეანსებით, ხოლო თუ
საქმეს ამანაც ვერ უშველა, თუ მეტაფიზიკური
ბზარები მოსვენებას არ გვაძლევენ, არსებობს თა-
ნამედროვე სამყაროს კიდეც ერთი უნივერსალუ-
რი პროდუქტი - ე.წ. „რელიგიური მომსახურეო-
ბა“, რომლის შეძენაც ისევე შეიძლება, როგორც
კომიქსისა თუ დეტექტივისა.

ეს ქალბატონი სწორედ ამას მთავაზობდა. ამით იგი გლობალური სამყაროს ერთგვარი მისიონერიც კი იყო, თუმცა კი თავად ამის შესახებ არაფერი გაეგებოდა. უბრალოდ, იგი ეპოქის შვილი იყო და სულის ხსნის მარტივ და იოლად აღსასრულებელ ტექნოლოგიას მთავაზობდა ისევე, როგორც ამას მისი წინამორბედები ათასობით წლის განმავლობაში აკეთებდნენ. უბრალოდ, გლობალურმა სამყარომ დღეს თავის სამსახურში ჩააყენა მისი საქმიანობა, თავისი ელფერი მისცა და თავისი იმპერატივებით დაავალდებულა. მის მიერ გამართულმა სახიობამაც ახლა უკვე ეს გლობალისტური ელფერი შეიძინა და მეც, ცხადია, ხანგამოშვებით წინააღმდეგობას კი ვუწევდი, მაგრამ შემდეგ ეპოქის კონტექსტი ისევ თავისკენ გამიტყუებდა ხოლმე. ისევ ჩავიყოფდი ხელს ჯიბეში და გასაღებებსა და ასანთს შორის თითებით ხურდას გამოვარჩევდი.

მოკლედ, ამ ისტორიაში ორნი ემონანილობდით. ჩვენ ორნი და კიდევ იყო ის დრო-სივრცე, რომელიც გვაკავშირებდა. ან, ეგებ, ეს დრო-სივრცითი კონტინუუმიც იმის წყალობით იყო, რომ ვიყავით ჩვენ და ჩვენი შეხვედრის წყალობით ეძლეოდა არსებობა, როგორც სარკეს, რომელშიც (ახლა უკვე ჩემს დიდ მარტოობაში არ მეშვება იმედი, რომ) ის თავის ანარეკლებს განათავსებს და ამით დასტურს აძლევს თავის არსებობას, თანაც ამ დასტურის უსასრულო და გარდუვალი ვნებით გადმოღვრის თავს მათში. ყოველგვარი არსებობა ხომ ვნებაა და რაოდენ უსასრულო უნდა იყოს ეს ვნება ანარეკლებისათვის სულის ჩაბერვის მეტაფიზიკურ ვითარებებში. ჩვენც ჩვენი შეხვედრით ვადასტურებდით **მის** ქმედით ვნებას. სწორედ რომ შეხვედრით, რადგან თავადვე ხომ ამბობს, რომ ჭეშმარიტების მატარებელი მხოლოდ ეს შეხვედრა შეიძლება იყოსო: რამეთუ სადაცა იყვნენ ორნი გინა სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათვის, მუნ ვარ მე შორის მათსა. ან ვადასტურებდით და ამით **მისი** პირველადი სიტყვის დაძაბულობაში ვიყავით ჩართულნი, ან, უბრალოდ, ვცდილობდით ამას, ან, უფრო ხშირად, რამდენადაც თავისუფლება მოგვეცა, უბრალოდ, თავს ვიკატუნებდით, ვადასტურებთო. თუმცა რა?! ეს თავის მოკატუნება, ეგებ, ირიბად ადასტურებდა იმას, რისთვისაც ის ამ სარკულ ანარეკლებში მთელს თავის არსებას გაიღებდა. თუნდაც, უარი გვეთქვა ამ დასტურზე, ამით ირიბად მაინც დავადასტურებდით იმ კოსმიურ ისტორიას, რომელშიც გაგჩნდით, ან, უფრო სწორად, რომლის შესაქმნელადაც ჩვენ გაგვაჩინეს. ერთადერთი, რითაც ამ ისტორიის შეწყვეტა შეგვეძლო, თუკი თავს გლობალურ მატრიცას - ლავდიკიის ნელ-თბილ ეკლესიას შევავარებდით და **ისიც** აღმოგვაგებდა პირისაგან მისისა. გახსოვთ? და ანგელოზსა ლავდიკიისა ეკლესიისასა მიუწერე, ვითარმედ: ამას იტყვის ამენ, მონამე იგი სარწმუნოა და ჭეშმარიტი, დასაბამი დაბადებულთა ღმრთისათაჲ:

ვიცნო საქმენი შენნი, რამეთუ არცა გრილი ხარ და არცა ტფილი. ჯერ-იყო, რაითამცა ანუ გრილი იყავ, ანუ ტფილი. არამედ ესრეთ ნელ-ტფილი ხარ და არც აგრილი, არცა ტფილი. მეგულების აღმოგდებაჲ შენი პირისაგან ჩემისა. ხოლო სანამ უკიდურეს სიცხესა და უკიდურეს სიცივეს შორის მიმოვიქცეოდით, ჯერ კიდევ გვრჩებოდა შესაძლებლობა, რომ მარადიული სასუფეველის რომელიმე სივრცეში აღმოვჩენილიყავით - ან - სამოთხეში, ან კიდევ - ჯოჯოხეთში და ლავდიკიის ეკლესიას - სამუდამოდ ჯოჯოხეთის ჯარიბჭესთან მქროლავ სხვა გულგრილთა სულებს არ შევერთებოდით.

ასე იყო თუ ისე, ერთმანეთს ვეთამაშებით ორი ბოგანო და ორი თაღლითი. ასე თვალთვამაქცობდით საკუთარი პატივმოყვარეობისა და (ჩემს დიდ მარტოობა მანვდის იმედებს) **მის** წინაშე. და ასე ვასრულებთ რიტუალს და (იმედი მქონდა), რომ მიუხედავად ჩვენი გაბნეული და მრავალშრიანი მისწრაფებებისა, შედეგად მისი თანაყოფნა ექნებოდა. ერთხელაც შევძლებდი, რომ აჰასფერის გულგრილობით ცოტაოდენი ხურდით კი არ მომეშორებინა თავიდან, არამედ, როგორც უკვე ვთქვი, მისი გზა, მისი ხვედრი გამეტარებინა ჩემს გულში, ხოლო მას, ალბათ, იმედი ჰქონდა, რომ ერთხელაც მის ხვედრს ბზარები გაუჩნდებოდა და ამ ბზარებიდან შვება შემოეყრებოდა - შვება და ნაცვალგება ათწლეულების განმავლობაში განცდილის გამო. ესაა, ალბათ ყოველგვარი რიტუალის საზრისი. რიტუალი ხომ იწყება იქ, სადაც მე და მას არ ხელგვეწიფება საკუთარ თავში მიგნება იმ მყარი რაობისა, სადაც მის მიერ ბოძებული „ნათელი ჭეშმარიტი“ დაივანებდა, სადაც უმწეოა ჩვენი გონება, ნება და გული, სადაც ერთიც, მეორეცა და მესამეც თავისი უძირო შრეების ხილვით შეძრწუნებული ხევდებიან და რიტუალითა ახერხებენ, თავი დააღწიონ უსასრულო ვარდნას, უსასრულო დაშვებას სადღაც იმგვარ მღვიმეებში სულისა, სადაც აღარაფერი რჩება არც გონებისა, არც ნებისა და არც გულისა. ეგებ, აქედანაა გარდუვალობა იმ რიტუალისა, რომელსაც მე და იგი ვასრულებთ საკუთარი მეტაფიზიკური ღირსებისა თუ მნიშვნელობის შეგრძნებით მთვრალი მავანი მღვდლის ხელმძღვანელობით, თუ - მის გარეშე. აქედანაა ის ფარული იმედი, რომელიც დაგვდევენ მასაც და მეც. რადგან თუ არა **მისი** თვალი, რომელიც, ამავედროულად **მისი** შემომქმედი ხელია, მებიუსის სიბრტყეზე სახეტილოდ ვიქნებოდით განწირულები. რიტუალი ჩემი და ამ ქალბატონის გარდუვალი უმწეობის თანამდევი რამ არის, ისაა, რაც არსებობას გვინარჩუნებს და უფსკრულში ჩაშვების საშუალებას არ გვაძლევს, თორემ მხოლოდ ჩვენი გონება, ნება და გრძნობა რომ იყოს, რუბენისის რომაელი ჯარისკაცივით წავუძღვებოდით **მას** გოლგოთისაკენ, ან, ბოსხისეული მღვდელივით, ჯვარცმას ღვთისმსახურებად წარმოვიდგენდით და სხვებსაც მოვუწოდებდით. თუმცა, რა?! ჩვენ, მე და ის ხომ მუდმივად ან ერთს

ვაკეთებთ ან - მეორეს, და მისი ეშმაკობის წყალობით ერთიცა და მეორეც ჯვარცმისა და აღდგომის იდუმალ რიტუალად და მისტერიად იქცევა. და ასე გამოდის, რომ იგი მაინც მიგვიძღვის წინ, რათა ჩვენი სიავის წყალობით მაინც აღასრულოს კეთილი საქმე, შემდეგ ამ კეთილ საქმეში დაგვაგვანოს და კიდევ ერთი საყრდენი მოგვცეს, რათა საკუთარი სულის რომელიღაც მღვიმეში არ მივიკარგოთ. ჭეშმარიტი ბოგანო და უსახლკარო სწორედ იგია, უსასრულოდ დახეტილობს ჩემსა და ბოგანოს შორის, არა აქუს, თავი სადა მიიყუდოს და ორი აპასფერის მიერ აღსრულებული სიქველისა თუ თავის დამცრობის რიტუალით ცდილობს, თავისი თავშესაფარი მოქსოვოს.

ვუცქერდი ამ სხეულს და ვფიქრობდი იმ ბილიკებზე, რომელიც უნდა განვლოს მარადიულმა ჭაბუკმა, სანამ მიაგნებდეს ამ სხეულში მიმალულ თექვსმეტ ოქროს კვეთას, სანამ მიაგნებდეს იმ წერტილს, საიდანაც ფაბონაჩის სპირალზე მისი სვლა დაიწყება, სანამ გზას გაიგნებდეს ამ სხეულის მიერ ნაშობ ფანტომურ იმედებსა და ანგარიშებს შორის, სანამ შეძლებს და გააღწევს იმ უკუნში მიმალულ ავსულებს, რომლებიც ამ სხეულში კეტავენ ჩემს ბოგანოს. ხომ თავად სხეულშია მოსაძებნი მისგან თავის დაღწევის მეტაფიზიკური ბზარები?! თავად ამ სხეულშია მოსახელი ფაბონაჩის სპირალი და ზეციურ სხეულთა მუსიკის ანარეკლი. აქ არის საძიებელი ის, რისთვისაც იგი უფალმა შექმნა და მოავლინა ამქვეყნად, რათა საკუთარი უკუნის ზღვრამდე მისულიყო და შვევით ამოესუნთქა იმ წამს, რა წამსაც მეტაფიზიკური ბზარის არსებობას დალანდავდა და ამით მოინიშნავდა იმას, იმ მთავარ იმედს, რომელიც, მის ფანტომურ იმედთა მიუხედავად, მასში ყოფილა. ჰოდა, მშვიდი და ღიმილიანი მარადი ჭაბუკი ელის, როდის ამოწურავს უკუნი საკუთარ თავს, როდის დაიღლება იგი თავისი უსაზრისო დაძაბულობით და როდის გაუთავისუფლებს მას სავალ ბილიკებს, უსასოდ დამსხვრეულ იმედებსა და ოცნებებს, ყველას და ყველაფრის წინააღმდეგ ბრძოლაში უსაზრისოდ გაბნეულ წლებს შორის და როდის მოიმარჯვებს მისი ცხოვრების ფრამენტებს, რათა მათი მეშვეობით აავოს ის ბილიკი, რომელიც სულს მთვარის მატყუარა ბილიკებიდან მზის სხივისკენ გაუძღვება, თუნდაც ეს ბილიკი სენის, ტანჯვისა და სასონარკვეთის ნიღბით იყოს შემოსილი. ეს სამეული ხომ მარადი ჭაბუკის საბოლოო იარაღია. რომლითაც ამსხვრევს ფანტომური ფიქრებისა და იმედების ყრუ კედელს და თავისუფლებას გვანიჭებს.

ამიტომაც არის (ისევ და ისევ, ჩემი დიდი მარტოობის იმედებისათვის) მარადი ჭაბუკი ყოველთვის გამარჯვებული. მისი მშვიდი ღიმილი ნიშანია იმისა, რომ ოდესღაც და სადღაც პალესტინაში გაკვალულა ის გზა, რომელსაც ყოველი სული გაივლის, თუნდაც თავისი მინიერი არსებობის განმავლობაში ავსულებს შორის ერთადერთხელ ჰქონდეს შორეულად მაინც მონიშნული სიკეთის, მშვე-

ნიერებისა და ჭეშმარიტების ციალი, მონიშნული და თუნდაც, ერთი შეხედვით, უიმედოდ დაძირული სულის წყვდიადში. ამას ვერაფერი დაუდგება წინ - ვერც ამ ზონზოროხა სხეულში დატყვევებული ფიქრები, ვერც სული, რომლის მოძრაობის მთელს ჰორიზონტსაც, ერთი შეხედვით, ეს სხეული ქმნის, ვერც ის პატარ-პატარა გამარჯვებები და შურისძიებები იმის გამო, რომ მისი ბედისწერა სხვა არაფერია, თუ არა საგნებად, მოვლენებად და ადამიანებად განფენილი ეს სხეული და რომ თავს ვერსად დააღწევს ამას. მარადი ჭაბუკი მუდამ გამარჯვებულია, რადგან მის ხელშია ის უზენაესი ჩანაფიქრი, რომელიც ამ სხეულშია ჩამალული, თუმცა კი ჩემთვისვე მოულოდნელად გამოიჭიატებს ხოლმე და მოულოდნელ სიხარულს მაგრძნობინებს ამ ჩანაფიქრის გამო.

ასეა, რიტუალების ჩაკეტილ და თავისი თავის იგივე საკომუნიკაციო მატრიცაში მას არა არა აქუს, თავი სადა მიიყუდოს. ეს აპასფერის საუფლოა, დაუსრულებლად რომ მოძრაობს სრულიად ამ ერთგვაროვან სივრცეზე და რამდენადაც ის ერთგვაროვანია, მას დასასრულიც არა აქვს და, მაშასადამე, არც აპასფერს უწერია სიკვდილი. უსასრულოდ დაეხეტება ეს საშუალო-ყოველდღიური, ჰაიდეგერისეული ლაყობით, ცნობის-მოყვარეობითა და ორაზროვნებით დასნეულებული არსება იმის იმედით, რომ სადღაც მაინც წაანყდება იმ ბზარს, საიდანაც თავს დააღწევს ამ ყოვლისმომცველ საკომუნიკაციო საპყრობილეს. ასეთი წერტილი არ ჩანს, მირაყივით სულ სადღაც ეგულება და მიიწევს იქეთ.

ჰოდა, როგორც ვთქვი, ვიყავით ასე სიცივესა და სიცხეს შორის მოქცეული ორი არსება. გულგრილობით თუ ვითავისუფლებდით თავს შეხვედრის ამ დაძაბულობისაგან, მაგრამ მე, ჩემდათავად, ფარვანასავით კვლავ და კვლავ მივბრუნებოდი უკიდურეს სიციხესა და უკიდურეს სიცივეს, სცილასა და ქარიბდას შორის გამავალ ბილიკებს. არავინ მაიძულებდა ამას. უბრალოდ, გულგრილობა ისევე მღლიდა, როგორც სიაცე. თუკი მისთვის ჩვენ ორის შეხვედრა იყო სარკე, რომელშიც ვნების სისრულით გადაჰქონდა თავი, ჩემთვის ოდესღაც და სადღაც მიღებული ხვედრი იყო იგივე, სადაც ვნებიანად - სიცივით ან სიციხით - უნდა გადამეღვარა ჩემი არსებობა. ლავდიკის ეკლესია კი მუდამ იქნებოდა და იქნება სადღაც გვერდით, როგორც ფარული, ცოდვიანი, ნუნკი და სულმოკლე ოცნება.

მანამ კი, სანამ ჩემი და მისი დიდი მარტოობა აღსრულდება, უნდა განვაგრძოთ ეს უგვანი რიტუალური სახიობა - მან თავისი არტისტულად მოქცეული სახითა და თვალბეჭდვით ჩაბუდებული გაიძვერა ნაპერწკლით, ხოლო მე - მონყალეების გულგრილი და ქედმაღალი გალებით, განვაგრძოთ და თან ფარულად ვატაროთ სათუთად შენახული იმედები.

კობა ცხაკაია

ყველაფერი ტყუილია



გრიშა (გრიგოლ) ა. იყო მაღალი, ათლეტური ალ-
ნაგობის, ორმოცს მიტანებული მამაკაცი. ხშირი წარ-
ბების ქვეშ კეხიანი ცხვირით და ღრმად ჩასმული
მომწვანო-მოყავისფრო თვალებით.

მისი უზარმაზარი ტორები და დაკუნთული კი-
სერი ნახვისთანავე იპყრობდა ყურადღებას. ხელის
ჩამოართმევისას გრიშას თითები ვაზის ფოთლები-
ვით შემოეხვეოდნენ მისასაღებლად გამოშვერილ
გაღეულ ხელს, და მოსაუბრეს იმავე წამს ნეტარი
სიმყუდროვე და სიმშვიდე ეუფლებოდა.

აი, ასეთი ჰარმონიული და გადამდები აურის მა-
ტარებელი იყო ეს კაცი.

რატომ ვყვები მასზე?

მოგახსენებთ: გრიშა უნიკალური იყო, რადგან
ფიზიკურად და მორალურად ვერ იტანდა გაზაფხულს.

კარგი კაცი კი იყო, დოვლათიანი, ბარაქიანი და
სტუმართმოყვარე. წარმატებული კარიერაში... სა-
მეგობროს სული და გული. ოთხი შვილის მამა და
მოსიყვარულე მეუღლე... თითქოს ყველაფერი სა-
ოცრად სტაბილური, აღმატებული და განსაზღვრუ-
ლი ჰქონდა...

მაგრამ, დგებოდა მარტის თვე... სამზარეულოს
კედელზე ჩამოკიდებულ კალენდარს ხელის ცახცა-
ხით ჩამოგლეჯდა და გაზაფხულის მცირედი სუს-
ხით გაჟღენთილ ჰაერს ზიზლით, უფრო სწორად კი,

ზიზღში გადაზრდილი პანიკური შიშით ჩაისუნთქავდა და ამოიოხრავდა:

– “მოვიდა, ისევ მოვიდა ეს...”

საქმე ისაა, რომ ამ დროს, ანუ მარტის პირველ-სავე დღეებში, გრიშას კვირტები ამოსდიოდა. და-კუნთულკისრიან, მიქელანჯელოს „მოსესავით“ გამოკვეთილ თავზე ა მ ო ს დ ი ო დ ა ...

დიახ, მაშინ, როცა მთელი ბუნება იღვიძებდა, სამყარო ხარობდა, ასე ვთქვათ, იზმორებოდა ზამთრის ხანგრძლივი და ღრმა ძილისგან გამოფხიზლებული და მზის სხივებს ნეტარებით შესცივინებდა, ერთადერთი არსება, სულიერი, ადამიანი, კაცი, რომელიც ასეთ ჟრიაშულს სხვაგვარად ხვდებოდა, იყო გრიშა ა.

საერთოდ, მას ძალიან უყვარდა ძილი, რადგან დღის მანძილზე უამრავ სამუშაოს ასრულებდა. სალამოს კი, საამაყო შვილიკოებთან და მოსიყვარულე მეუღლესთან ურთიერთობის შემდეგ, ნასიამოვნები, კმაყოფილი, დაქანცულ - დამშვიდებული და შესრულებული ვალდებულებებისგან გასავათებული, მონყვევით ეცემოდა სანოლზე და სიზმრების სამყაროში იძირებოდა.

დილაზე ფეხსაც არ გაანძრევდა, მხარსაც კი არ იცვლიდა, თვალსაც კი არ გაახელდა... ასე იყო ზაფხულში, ასე იყო შემოდგომაზე, ასე იყო ზამთარში...

მაგრამ საკმარისი იყო თებერვლის ბოლოს, ამ წუმპიანი ზამთარ-გაზაფხულის თვის, უკანასკნელ დღეს ჩაეთვლიდა, ან უბრალოდ თვალი მიეღულა, რომ იმწუთასვე ერთი და იგივე საზარელი ხილვა აფორიაქებდა, ცივ ოფლში გაღვითქულს ეღვიძებოდა - „გრანიტის ბურთი აგუგუნდებოდა გრიგოლის სიზმარში. ეს ბურთი ნელ-ნელა იზარებოდა და... თვალისმომჭრელი სინათლე, გამანადგურებელი სიმხურვალის კაშკაშა ნათება ამოიფრქვეოდა კუშტი, ცივი შიგთავსიდან“... ეს ზმანება ა.-ს არ აძლევდა ძილის ბურუსში ჩაძირვის საშუალებას... ელდანაკრავივით წამოხტებოდა, შიშით ათრთოლებული მიმოიხედავდა... ამ დროს ვინმეს რომ დაენახა, ეგონებოდა, გადმოკარკლული თვალები ეს-ესაა ბუდეებიდან გადმოსცივდება და იატაკზე პინგ-პონგის ბურთებივით გაგორდებიანო.

დღმეც! - კბილებში გამისცრავდა განამებული გრიშა, - დღმგტყნ! - დაამატებდა და კოპებით დაფარულ თავზე ფრთხილად გადაისვამდა ხელს.

არა, ის არ იყო უზრდელი კაცი.

გრიგოლს არ უყვარდა გინება, მაგრამ იმ ღამეს თავს ვალდებულად თვლიდა, ასეთი უნმანური გამონათქვამებით წაებოდა უმნიშვნელო და ყველასთან მაღალინტელიგენტური საკუთარი მეტყველება.

ჩვენში დარჩეს, ეს ავადსახსენებელი „საკოკორე კოპები“, თვალში საცემიც არ იყო... ისინი პაპნანკინტელა ბორცვიკოებად მოედებოდნენ გრიშას „უბედურ“ თავზე, უფრო სწორად კეფაზე, საფეთქლებსა

და კინკრიბოზე, ანუ იმ სივრცეზე, რომელიც თმით ჰქონდა დაფარული. აქედან გამომდინარე, „საშველი მაინც არსებობდა“ - ხუჭუჭა თმების წყალობით, გრიშა ადვილად მალავდა კვირტებს.

„გაჭირვება მანახე და გაქცევას განახებო!.. ემანდ, რომელიმე დალაქმა არ წამოაყრანტალოს ჩემი „აყვავების“ ამბავი და ხალხში თავი არ მომეჭრასო“, საცოდავი გირგოლი, სკოლიდან მოყოლებული, თმებს საკუთარი ხელით იჭრიდა... და საკმაოდ დახელოვნდა კიდეც ამ საქმეში.

რაკი თავზე ამოსული კვირტები სირცხვილად მიაჩნდა, თავს იმით ინუგეშებდა, - „კიდე კაი, კვირტებია და არა რქები, ან უფრო უარესიო!“.. და ცდილობდა ეცხოვრა ისე, თითქოს არც არაფერი ხდებოდა. სამსახური, მეგობრები, მოვალეობები, მეუღლე, შვილები, სპორტი, ინტერვიუები და ა.შ.. საბედნიეროდ, ვერავინ ამჩნევდა გრიშას თავს მიმდინარე ცვილებებს.

„კიდე კაი, კვირტებია და არა რქები, ან უფრო უარესიო!“..

დიახ, როგორც ხედავთ, მის შელახულ „კაცურ სიამაყეს“ ეს სიტყვებიც მალამოსავით ედებოდა, მაგრამ სულიერ ტკივილს დიდხანს მაინც ვერ უყუჩებდა და ტყეში მარტოსულად ხეტილით, სირბილით ან ღრიალით, იამებდა საგაზაფხულოდ მოვლენილ ტანჯვას.

თუმცა იყო ამ ყვავილობაში სასიამოვნო და ფერად-ნეტარი მომენტებიც. გრიშას ნუგეში ის იყო, რომ ასეთი მშფოთვარე მდგომარეობა, მხოლოდ ორი-სამი დღე გრძელდებოდა, მანამ, სანამ საკოკრე კოპები ტკაცატკუცს დაიწყებდნენ, ამოიყლორტებდნენ და პატარ-პატარა bouton-ებად გაიშლებოდნენ.

ეს „ტკაცატკუცის“ ხმა, მხოლოდ გრიშას ესმოდა, და თითოეული ბგერა, ზუსტად ეუბნებოდა სად, როდის, რა ფერის, რა ფორმის და რა სურნელის კვირტი გასკდებოდა და იყვავილებდა მის „გოგრაზე“.

არ შეიძლება ყურადღების გარეშე დავტოვოთ ეს ხმა, ანუ ე.წ. „ტკაცატკუცი“.

საქმე ის გახლავთ, რომ ეს „ტკაცატკუცი“ კი არ იყო, არამედ რეალურ მელოდიად ჟღერდა, რომელიც ერთი-ერთში ემთხვეოდა შოპენის „Mariage d'Amour“-ს, ანუ გაზაფხულის ვალსს.

ამ მელოდიის დიდი მოყვარული იყო გრიშაც. უბედურება ისაა, თუკი ადრე ეს მელოდია მხოლოდ სამი-ოთხი, ან ათი ნოტი გაიჟღერებდა მის თავზე თუ თავში, ახლა მთელი 5 წუთი და 11 წამი გრძელდებოდა, რაც კვირტების რაოდენობის ყოველწლიური ზრდით იყო გამოწვეული.

„ეს რომ სიმფონიად იქცევა, მერე ნახე გრიშაი, შე აყვავებული უბედურო!“ - მწარედ ჩაუტინებდა საკუთარ თავს და გული „Vivace“-ს ტემპში აუბაგიბუგდებოდა.

საქმეს ისიც ართულებდა, რომ ეს „გაზაფხულის ვალსი“, „ამოკვირტვა-აყვავილების“ შემდგომ უფრო და უფრო ხშირად მეორდებოდა. საკმარისი იყო, ა.-ს თავზე ხელი გადაესვა, ან ნიავს გადაერბინა მის ხუჭუჭა, მაგრამ აკურატულად შეჭრილ თმაში, რომ

„Mariage d'Amour“ ეგრევე აულერდებოდა.

„ლა-ლა - ლალალა - ლა-ლალა“ - ესმოდა ქუჩაში თუ კაბინეტში, საპირფარეოში თუ გასვენებაში, თათბირზე თუ ბუნების ნიაღში... „ლა-ლა - ლალალა - ლა-ლალა“ მარტო ყოფნისას, თუ ხალხით გადატენილ დარბაზში. „ლა-ლა - ლალალა - ლა-ლალა“ ინტიმურ-რომანტიკული ურთიერთობის დროს, თუ ცხარე კამათისას „ლა-ლა - ლალალა - ლა-ლალა“...

კარგი ის იყო, რომ ამ „Mariage d'Amour“-ს, ვიღაც უზომოდ ნიჭიერი ხან როიალზე, ხან კლარნეტზე, ხან ვიოლინოზე, ხან ვიოლონჩელოზე, ხან სალამურზე, ხან ფლეიტაზე ასრულებდა. თუმცა მოხდა ერთი-ორჯერ ისეთი „არაორდინალური“ შემთხვევა, როცა მელიოდა სასულე ინსტრუმენტების ორკესტრმა შეასრულა და მესხიერებაში ესეც ფრიად კარგ მოგონებად დარჩა. ამიტომ ეს ჰარმონიული შედეგის მოსაბეზრებელი კი არ ხდებოდა, არამედ პირიქით, რაც დრო გადიოდა, გრიმასთვის სულ უფრო ღრმა, უკიდევანო სულიერ ჰორიზონტებში ჩამწვდომი ხდებოდა... თუმცა კი, ხელს უშლიდა ყოველდღიურ ცხოვრებასა და ნორმალურ ფუნქციონირებაში. ჰანგები ყველაფერს ფარავდნენ... მათი გაგონებისას გრიმა შეშდებოდა, მისი დაძაბული სხეული და განამებული სული ივსებოდა ღვთაებრივი ჰარმონიით, ბეგრათა მშვენიერებით, და ეზმანებოდა, თუ როგორ იზრდებოდნენ მისი კვირტები უზარმაზარ ტყედ, დედამინა კი ათასფერა ყვავილთა და ფრინველ-ცხოველთა სამყაროდ იქცეოდა.

„ლა-ლალა-ლალალა-ლა!“

გრიმა ვერ იტანდა სიტყვა „ხისთავიანს“, ყველაზე დიდ შეურაცხყოფად აღიქვამდა მას.

„ნეტა ყველა ხისთავიანი იყოს, რათა ამ ფლორის საოცარ ქმნილებათა შინაგან, მდიდარ ბუნებას და სიბრძნეს ჩასწვდნენო!“

მეგობრები მხრებს იჩეჩდნენ და მისთვის გული რომ არ ეტკინათ, ამ სიტყვის მაგივრად სხვა ალტერნატივას „მიადგებოდნენ“, მაგ.:

„პიტალოთავიანს“, ან „თაქვას“.

გრიმას ეს ვარიანტიც არ მოსწონდა, მაგრამ რა უნდა ექნა? მეგობრობა მსხვერპლს მოითხოვდა და ისიც „მსხვერპლად ეწირებოდა“, პატიობდა სამეგობროს ამ სინონიმს.

კიდევ კარგი, დროზე გამახსენდა: რამდენიმე წლის წინ გრიმა ა.-ს მდგომარეობას კიდევ ერთი უსიამოვნო, მაგრამ საკმაოდ ნიშანდობლივი ფაქტორი დაემატა:

მის დაკვირვულ-დაყვავილებულ თავს ფუტკრები დააცხრნენ.

სადმე ისეთ ადგილას თუ აღმოჩნდებოდა, სადაც ნაბლის ან ცაცხვის ხეები, ან მცენარეთა მრავალფეროვნებით მოფენილი მიწა, ან ქოთნის ყვავილებიანი აივანი იყო, ფუტკრები ყველას და ყველაფერს გაეცლებოდნენ და გრიმას თავისკენ მიილტვოდნენ.

რომ ვთქვათ, „მას არ მოსწონდა ეს ამბავი“, ნამდვილად ტყუილი იქნება.

ფუტკრების ბზუილი და მათი ბუსუსებიანი საცეცების ხუჭუჭა ქოჩორში ფუსფუსი, გრიმას სხე-

ულს ღვთიურ ჟრუანტელად დაუვლიდა და სიამოვნებას ჰგვრიდა, რომელიც საბოლოოდ ნეტარების ტალღებად ალივლივდებოდნენ მის დიდ და კეთილ გულში.

თუმცა აბეზარ ხალხს, ნაცნობ-უცნობებს, ან უბრალოდ, გამვლელებს, ყურადღება რომ არ მიექციათ მისთვის და ზედმეტი შეკითხვებით თავი არ მოეხერხებინათ, ქუჩაში გასვლის წინ, ყოველთვის იხურავდა ქუდს და ამით ფუტკრებს დროებით მაინც უკეტავდა ყვავილოვანი თავისკენ მისასვლელ გზას.

მეუღლე ვერ ხვდებოდა, რატომ წუხდა გრიმა მაინცდამაინც მარტის თვეში. თან იმ დროს, როცა გაზაფხულის მოსვლა ყველას იმედითა და ბედნიერებით ავსებდა.

მას ვერც კი წარმოედგინა, რა დარდი და კაეშანი ღრღნიდა გაზაფხულობით მის ქმარს - „სიყვარულით, სიბოთით და მამაკაცური სიძლიერით აღსავსე მეუღლეს“.

გრიმასგან განსხვავებით, ის ფუტკრების უცნაურ შემოსევას უსაზღვრო ბედნიერების მანიშნებლად თვლიდა და ვნებების მოზღვაების ჟამს, თავჩაქინდრულ მეუღლეს მუხლებზე შემოუსკუპდებოდა, კისერზე ხელებს მოხვევდა, ჩარგავდა მის სურნელოვან თმაში ცხვირს და ჩასჩურჩულებდა:

„გრიმიკო, თაფლივით ტკბილი რომ ხარ, იმიტომ გახვევიან ფუტკრები!“

მამაკაცი გაიღიმებდა და ვნებამორეული ბიჭუნასავით წამოწითლდებოდა კიდეც.

მან კარგად იცოდა, ამ სიტყვებს როგორი ბობოქარი ღამე მოჰყვებოდა და ამიტომ დროებით ივიწყებდა თავის კვირტიანობას.

ჰოო, აღსანიშნია ერთი უცნაური შემთხვევა, რომელშიც გრიმა უნებლიე „დამანაშავის“ როლში აღმოჩნდა, თუმცა ამის შესახებ თვითონაც ტელევიზიიდან შეიტყო.

თურმე მის მეზობელს, სამსახურიდან „საკუთარი სურვილით“ გამოგდებულ ვაზგენ კუტუბიძეს, ამ ცოტა ხნის წინ გადაეწყვიტა, მეფუტკრეობას დაუფლებოდა, ამ მიზნით ერთი სკაც შეუძენია და უადგილობის გამო სახლის სახურავზე დაუმონტაჟებია.

გრიმას, რომელმაც არაფერი იცოდა ამის შესახებ და ტრადიციულად, ყოველ დილას აივანზე სავარჯიშოდ გამოდიოდა, შეამჩნია საიდანაც გაჩენილი ფუტკრების დიდი გუნდი, რომლებიც, როგორც ხვდებით, თავს დასტრიალებდა და შესაბამისად, აყვავებულ კვირტებს ეტანებოდა.

ნეტარების მეცხრე ცაზე მყოფი გრიმა არ იყო წინააღმდეგი, პირიქით, მწერების ღვთიური ზუზუნის მის გამასაჯანსაღებელ ტანვარჯიშს უფრო ხალისიანს და ენერგიის მომცემს ხდიდა.

ასე გაგრძელდა რამდენიმე კვირა.

ჰოდა, როცა საინფორმაციო გამოშვების ყურებისას ჩვენმა გრიგოლ ა.-მ მოისმინა:

„საოცარი არომატის და ჯანმრთელობისათვის სასარგებლო თაფლი მოიყვანა ძირძველმა ქალაქელმა კაცმა თავის სახლის სახურავზეო...“, და მერე ეკრანზე მეფუტკრის სამოსში გამოწყობილი ვაზგენაც გამოჩნდა, რომელიც „სხაპასხუპით სხლავდა“:

„ამ თაფლმა ვიღაცებს დიაბეტი მოუარჩინა, კიბოს სტადიები შეუჩერა, პროსტატა განუკურნა, მელოტებს თავზე თმა ამოუყვანა, პოტენცია აღუდგინა, უშვილობას უმკურნალა, შიდსიანები მოარჩინა, დაუნის სინდრომით დაავადებულებს ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე ჩააბარებინა, მკვლევები ლეთისნიერ ხალხად აცია, უსინდისოებს კი სინდისი დაუბრუნაო“... ამ ინფორმაციისა თუ სენსაციისგან გრიშა თავიდან დაიბნა, მერე გახალისდა, მერე კი ამ სენსაციაში შეტანილმა საკუთარმა წვლილმა ცოტა არ იყოს და დააფიქრა...

გაახსენდა მეზობლის მიერ ძღვნად მორთმეული 100 გრამი თაფლი და დაჭყეტილი თვალებითა და აღმაშენებლის ძეგლივით ზეაღმართული ხელით წარმოთქმული სიტყვები:

„ბატონო გრიშა! გაოცდებით, ეს რა თაფლი მაქვს! ნამდვილად გაოცდებით! რაც ამის ჭამა დეინყეს ჩემმა დებოლმა შვილებმა, „წინგნს“ ვერ გააგდებინებ ხელიდან! სულ „ატლოინიკები“ გახდნენ! მეშინია არ გამოჩურჩულდნენ! ფრანგულს სწავლობენ, ინგლისური და ჩინური უკვე ქე იციან ამ ხისთავიანებმა! ჰოდა, მინდა ეს პანანინა ძღვენი თქვენ მოგაწოდოთ! განა რამის გულობიზა, გულით მინდა რომე გასინჯოთ! კაი კაცი ხართ, თაფლივით კაცი!“.

თაფლი ქვევრის ფორმის მინის პატარა ქილაში ესხა. ხრახნიანი, ოდნავ შეღახული სახურავი ეხურა, ფლომასტერით მიჯლანნილი წარწერა ამშვენებდა:

„ინ მეღლის ვერიტას!“...

- თაფლშია ჭეშმარიტება! - ლათინურიდან თარგმნა გრიშამ და ქილა თაროზე შეაგდო.

გრიშას უნდოდა, მეუღლისთვის და ბავშვებისთვისაც მოეყოლა თავის „განსაკუთრებულობის“ შესახებ და გათავისუფლებულიყო იმ ერთადერთი საიდუმლოსგან, რომელიც ნეტარებასაც ჰგვრიდა და მძიმე ტვირთადაც აწვა, მაგრამ როგორც კი წარმოიდგენდა „აღსარების“ ამ სცენას, სხეული ეყინებოდა, გული უჩერდებოდა და უხმოდ იწყებდა ბღავილს.

აცხაცახებული, თვალნათლივ ხედავდა, როგორ იდგა ზორბა, წარმოსადგეგი მამაკაცი მეუღლისა და შვილების წინ და ამბობდა... არა, კი არ ამბობდა, არამედ მღეროდა, დიას „რიგოლეტოს“ მოტივებზე მღეროდა. მისი ბარიტონი ისე მსუყედ ჟღერდა, რომ თაროებზე, მინებიცა და ჭურჭელიც ზანზარებდა:

ჩემო საყვარლებო, ჩემო ძვირფასებო! უნდა გაგიმხილოთ ერთი საიდუმლო, რომელიც დიდი ხანია მღრღნის და მსპობს, მაგრამ მეშინია თქვენი დაკარგვის და ამიტომ ვერ გიმხელთ!

მაინც, რა არის ასეთი გრიშოკო? - შესციცინებდა მეუღლის მეცო სოპრანო და ცდილობდა ჩახუტებოდა, მაგრამ გრიშა მას იცილებდა და აგრძელებდა:

მე ვყვავი!

რაა? - კითხულობდა გაოგნებული მეუღლე.

გაზაფხულობით კვირტები ამომდის და ვყვავი... ამომდის და ვყვავილობ! - აცხადებდა გრიშა და თვალეში შეჰყურებდა ოჯახის წევრებს. შეჰყურებდა და ვაი, რომ ამჩნევდა ტრაგიკულ ცვლილებებს. ჯერ მეუღლის სახე ფითრდება, მერე ბავშვებს უწყლიანდებათ თვალები.

რას ნიშნავს ეს ყვავი თუ ყვავილობ? - უნდობლად კითხულობდა ცოლი, - გაზაფხულზე ყველაფერი ყვავის და შენც ისევე ყვავი, როგორც ყველა ჩვენგანი, მე, შენი შვილები, სამყარო!...

არა! - აწყვეტინებდა გრიშა, - მე ნამდვილად ვყვავი! ვყვავი როგორც ნუში, ალუბალი, ია, ენძელა, ყოჩივარდა! მე ვყვავი კვირტებით და ყლორტებით!

რაა? მამა გაგიჟდი? - პირველი უფროსი გოგონას სოპრანო აჟღერდებოდა, წამოხტებოდა აფორიაქებული და მივარდებოდა მამას, - გაგიჟდი მამა? გაგიჟდი?

არა! - მაღალ ნოტას უპრობლემოდ იღებდა გრიშა, - მე ნამდვილად ვყვავი! აი, შეხედეთ, აი ნახეთ! - ის ეცემოდა მუხლებზე და აიძულებდა მეუღლეს, ხელით შეხებოდა მის „კოკრებს“, ჩაეხედა, დაკვირვებოდა მის თმებს. იმიტომ არის ჩვენს სახლში გამუდმებით ყვავილების სუნი! იმიტომ ამდის გამუდმებით ეს არაკაცური არომატი! გაიგეთ? მიხვდით? დაინახეთ?

ასრულებდა თავის ტრაგიკულ არიას და ძალაგამოცლილი შეჰყურებდა ოჯახის წევრებს.

პირველი მეუღლე ჰკრავდა ხელს და გუგუნებდა მისი მეცო:

ყოველთვის ვგრძნობდი, რაღაც არ იყო შენში ნამდვილი! დედაჩემიც ამას მეუბნებოდა!...და აი, კაცი კი არა, თურმე ხე ყოფილხარ!

ხე რომ იყოს, კიდეც რა უჭირს! - ატირდება უფროსი გოგო სევდიანი სოპრანოთი, - დედა, გაახილე თვალები, ეს ხე კი არა, ყვავილებია! ყვავილები! სირცხვილით თავს ვერ გამოვყოფ, ველარ გამოვყოფ! ცოლად ვინ მომიყვანს?! ვის მოუნდება ყვავილის, ან ხის შვილი?! „დიუმოვოჩკა“ - „ნამცეცა“ კი არა ვარ! ადამიანი ვარ, ჩვეულებრივი ადამიანიიიიიი!...

უფროსს უმცროსებიც აჰყვებოდნენ და საოცარი სირთულით საკვარტეტო არიას ბრწყინვალედ ასრულებდნენ. თან ოთხივე ბავშვი ზიზლით შეჰყურებდა აქამდე სათაყვანებელ მამას. მეუღლის დამცინავი მზერა და ბავშვებთან ერთად დაგვირგვინებული ბოლო ნოტები კი ყველანაირ იმედს მოუსპობს.

ნუ გეშინიათ და სასოწარკვეთილებაში ნუ ვარდებით, ბავშვებო! - მღეროდა ქალი, - მე ვიცი, რასაც გავაკეთებ. მოვიტან სპეციალურ წამალს და თავზე წავუსვამთ მამათქვენს. ეს ქიმიია და ყველაფერს გაახმობს... გაახმობს და ვერავინ ვერაფერს გაიგებს!

კი მაგრამ, მამაც რომ გახმეს?! - დარდობდა უმცროსი წკრიალა ხმით.

ჯობია გახმეს, ვიდრე ასე ყვაოდეს! - პასუხობდა უფროსი შვილი.

ჯობია გახმეს, ვიდრე ასე ყვაოდეს! - იმეორებდა მეუღლე.

ჯობია გაეხმე, ვიდრე ასე ვყვაოდე! - აკენესდებოდა გრიშა... და ოპერაც, ასეთ ტრაგიკულ ნოტაზე მთავრდებოდა.

ჰოდა, ამიტომ ასეთი მწარე სიმართლის გამხელას სხვა, ანუ ზემოთ აღწერილი ხილვიდან ნაკარნახევი სასტიკი მეთოდი შეარჩია.

...თუმცა ყველაფერი მაინც ტყუილია და...

ნიკა ლაშხია

მეგობარს, რომელიც მოკვდა

წუხელ მესიზმრა ჩემთვის ძალიან ახლო ადამიანი,
რომელსაც ათი წლის წინ მივაყარეთ მიწა.
ერთხანს ხშირად დავდიოდი მის საფლავზე,
მერე დროდადრო,
ბოლოს იშვიათად.
სიზმრებიც კი გაგვიწყდა,
ერთხანს ხშირად მოდიოდა,
მერე დროდადრო,
ბოლოს იშვიათად..
ხოლო წუხელ, მართლა დიდი ხნის უნახავი იყო.
რამდენიმე დღის გარდაცვლილს გავდა.
ქვიშისფერი ქონდა სახე, ტუჩები ყავისფერი,
თმა არ ქონდა, რადგან მეტასტაზებთან ომს შეენირა,
მისი გრძელი, ტალღოვანი თმები.
ძალიან თბილად მოვიკითხეთ ერთმანეთი,
მე თითქოს ვგრძნობდი მის სიკვდილს,
მაგრამ არ ვიმჩნევდი, გული არა დაწყდესთქო.
ის კი აშკარად გრძნობდა ჩემს სიცოცხლეს
და ბავშვივით უხაროდა.
ჩვენს შორის არაფერი დარჩენილა შეუმჩნეველი,
მას არაფერზე დაწყდომია გული.
ერთი რამ ვერ ვკითხე,
მისი თაფლისფერი თვალები,
როგორ გადაიქცნენ ცისფერ თვალებად.
სიკვდილი თვალებში ცის ჩადგომას ნიშნავს?!
ვერ ვკითხე, რადგან მეუხერხულა სიკვდილზე საუბარი.



დახუჭობანა

ძალიან ადვილი იყო ამის თამაში, სახალისოც კი.
ერთი დაიხუჭებოდა და დანარჩენები ვიმალებოდით.

ზოგჯერ, ძალიან რთულდებოდა ჩვენი მოძებნა,
მაგრამ როგორც კი მოგვძებნიდნენ,
იმ წამსვე დახუჭულის სადგომისკენ მივრბოდით,
რომ კედელზე ხელის დადება დაგვესწრო
და ხმამალა გვეთქვა ჯადოსნური სიტყვა - „სტუკა“,
რაც, ფაქტობრივად, გამარჯვებას ნიშნავდა.
ყოველი დღე ასე იყო: ვასწრებდით ან გვასწრებდნენ.
გავიზარდეთ,
ზოგი ქვეყანას დაემალა,
ზოგი ხალხს დაემალა.
ზოგი ამხილეს.
ზოგმაც მოასწრო დახუჭვა და ალბათ, იქ,
სადღაც შორიდან გვითვალთვალებენ და არ ჩქარობენ,
რომ დაგვასტუკონ.
ჩვენ კი ვდგავართ ცალ-ცალკე,
თითქოს, არაფერს ვემალებით,
თითქოს, ძალიან გავამძაფრეთ სინამდვილე,
თითქოს, აღარც გვითვალთვალებენ..

ლექსის თარგმნა

სიტყვები ითარგმნა.
განწყობა იგივე დარჩა, როგორც ორიგინალში.
ლექსს არ შეუცვლია საერთო სურათი.
(პოეზია კარგად ესმის მთარგმნელს)
მეკითხებოდა თითოეულ სიტყვას,
რას ვგულისხმობდი,
რა ნაღმი იყო ჩადებული ბნკარებს შორის.
სად შეიძლებოდა ამოსუნთქვა,
სად გაშეშება.
ასე, კითხვა პასუხებში ითარგმნებოდა ლექსი.
არაფერი უკითხავს სასვენ ნიშნებზე,
საერთოდ არაფერი...
წერტილები, წერტილებად დარჩნენ,
მძიმეები, მძიმეებად, როგორც ცხოვრებაში.
პოეზიაც ასეა,
იცის, როდის ამოიღოს ხმა.

დანიშნულება

დილით ერთი კოვზი მზე.
ერთი კოვზი მზე დაისისას.
ღამე ერთი აბი ვარსკვლავი.
დროდადრო სიზმრები, ღრუბლებისას.

პოეზია

არ მახსოვს როდის აგვიკიდე,
მაგრამ ხშირად მიწევს მარტოობა.
ყოველთვის მარტო ვარ,
როცა ჩავდივარ სიტყვებს
თითქმის გაცვეთილებს,
თითქმის გარდაცვლილებს,
თითქმის სპონტანურებს.
დღემდე ბავშვივით მჯერა,
რომ მართლა შეგიძლია, რალაცის შეცვლა,
რომ ერთ დღეს ყველაში მოიყრი თავს
და თვალებით იმეტყველებ,
ხოლო ყველას, ვინც ამ დღის დადგომას შეეხაროდით
მოგვეტევება მარტოობა, რომელმაც გაგვხრა,
რომელმაც წაგვართვა სიტყვები და აჰა, ნისლივით აორთქლდა
მეტაფორების ძიებაში,
თითქოს ხელი დავიბანე
და ჯვარცმულთა სიზმრებს მზე შევაპარე.

* * *

შენ ზიხარ ოთახში,
სადაც დღის ამბები გროვდება.
მთელ დღეს აკვირდები.
დღე კი ზოგჯერ ძალიან იწელება
და გინდა, რომ მალე ამოიწეროს.
ზოგჯერ იმდენად მოკლეა, რომ არ გინდა დასრულდეს.
ხელიდან არ უშვებ სიახლეებს.



ამბებს, რომლებსაც შეუძლიათ აღელვება.
 ამბებს, რომლებსაც შეუძლიათ ცრემლები.
 ამბებს, რომლებსაც შეუძლით ღიმილი.
 დღის მზვერავი ხარ, რომელსაც ხმა იზიდავს.
 მე შემოდგომა ვარ!
 გამოიხედე ჩემკენ, ნახე, რა ლამაზად მცვივა ფოთლები,
 თითქოს ქარი მომაცარეს და ცდილობენ შემცვალონ.
 დანერე ჩემზე ეს დაუჯერებელი ამბავი.
 თქვი, რომ მოულოდნელი იყო ყველაფერი,
 რომ შეიძლება ნებისმიერ ადამიანში დადგეს შემოდგომა
 და დავიცალოთ.
 რომ შეიძლება
 ერთ მშვენიერ დღეს ამოგვიკითხონ ფოთლებში,
 ასე ცალ-ცალკე, ასე დაუნდობლად.
 დანერე, რომ ცხადია ყველაფერი.
 დანერე ფოთლები, რომლებსაც მოიხელთებ
 და მომიყევი რას გიყვებიან,
 სანამ ჯერ კიდევ შენში ვარ, სანამ არ გამხდი საჯაროს.

დაბრუნება

შემოიღამა, რომ ენახა,
 როგორ ბრუნდებიან ვარსკვლავები,
 ასე ცალ-ცალკე გაჭრილი გზებით.
 დახედა სხეულს, მძიმე იყო ყოველი ხსოვნა,
 რაც დაიშანთა, რაც მოიგო, რამაც გახედნა.
 სიკვდილი იქვე ლოგინთან მდგარი
 ილუკმებოდა მის ნარჩენებს,
 მის მოძრაობას და ამზადებდა უძრაობისთვის.
 შემოიღამა, ეს შემორჩა ბოლო დღის ხსოვნად.
 ყველა დაბრუნდა, ვინც შორს იყო,
 ვინც გზის იქიდან იხედებოდა,
 ყველამ დახედა.
 დაბრუნდნენ ვარსკვლავებიც
 და მის თვალებში აიმღვრა ზეცა.

* * *


სიზმრის საჩუქარი:
 - აჰა, სული გამძვრებათქო
 და მელვიძება.

* * *

ქარს გავეკიდე,
 უკან წვიმასთან ერთად მოვბრუნდი.

* * *

ყოფილ ლექსებს
 თავი ვერ დავაღწიე.



პაპუნა გიორგაძე

პამიდვრის გამყიდველი

დასვრილი სახით,
მამის გამონაცვალის სპორტული სამოსით,
თვალეში ჩადებული მუქი ფერის ლინზებით,
ყოველ დილით გავდივარ სახლიდან და პამიდვრს ვყიდი.
საუბედუროდ, ჭილოფის ქუდი ძალზედ უხდება ჩემს ხორბლისფერ თმებს,
ჩემს ხორბლისფერ თმებს მზეზე გახუნებაც უხდება,
ამის გამო ორი ზომით დიდი კეპი მახურავს,
ნიუ-იორკის ინიციალებით,
და შიგ შეკეცილი ჩემი თმების გადმოცვენის ყოველდღე მეშინია.
ასე ჩაცმული, ყოველ დილით გავდივარ სახლიდან,
მივდივარ ბაზარში, დახლს ვაღებ და პამიდვრს ვყიდი.
ფუფრთხი ნაცნობებთან საუბარს,
ვცდილობ მალე მოვიშორო ყველა თავიდან და იაფად ვაძლევ პამიდვრს,
მახარებს უცხოებთან ურთიერთობა,
რადგან არასდროს უკითხავთ ჩემი მისამართი,
არ გამოუთქვამთ შინ გაცილების სურვილი,
და არასოდეს აღუნიშნავთ
რომ ისე ლამაზი ვარ, პამიდვრს კი არ უნდა ვყიდდე,
შინ უნდა ვიჯდე და ველოდო ისეთ ქმარს,
რომელიც ჩემს ცხოვრებას უზუნველყოფს.
სხვა გოგოების მამები თუ ლამაზად ჩაცმას უშლიან შვილებს,
მე მამაჩემი მეუბნება, რომ უფრო გამომწვევად ჩავიცვა.
მეუბნება რომ მოვიცილო პროვინციული კილო,
რომელიც პამიდვრის გაყიდვის დროს ავიკვიატე,
მეუბნება რომ ვიყო უფრო თავაზიანი,
განსაკუთრებით ჩემი ტოლი, და ცოტა დიდი ბიჭების მიმართ,
თითქოს ის ხურდა ვიყო, რომელიც პირველ მუშტარს ვერ დავუბრუნე
და გვერდით მყოფი გამყიდველისაგან ვინათხოვრე დილით,
თითქოს ის ყუთი ვიყო, რომელსაც პამიდვრით სავსეს ვატან მუშტარს,
ის კი სანაცვლოდ უპამიდვროს მიტოვებს,
თითქოს ის სპორტული ზედა ვიყო, მამაჩემისგან რომ ვნათხოვრობ ყოველდღიურად,
არადა, ბევრი ოცნებაც კი არ გამაჩნია,
მართლა მინდა რომ დავიხურო ჭილოფის ქუდი,
ჩავიცვა ჩემი ასფალტისფერი კაბა,
ვიყურებოდე ჩემი ცისფერი თვალებით და ღიმილს ვჩუქნიდე ყველა მუშტარს,
და ამ ყველაფერს ვაკეთებდე შიშის გარეშე,
შიშის, რომელიც წყევლასავით გვტანჯავს გოგოებს,
შიშის, რომელიც აგზნებული თვალებიდან მოდის,
შიშის, რომლის საბაბი სულაც არ არის უსაფუძვლო,
სწორედ ამიტომ, ყოველ დილით, დასვრილი სახით,
მამის გამონაცვალის სპორტულებით და ორი ზომით დიდი კეპით,
გავდივარ სახლიდან, ვაღებ დახლს და პამიდვრს ვყიდი.



დღემდე მოსვლა

წარსულიდან ბევრს ვერაფერს ვიხსენებ,
არ მახსოვს რას მღეროდა დედა, ანდა, მღეროდა თუ არა საერთოდ,
არ მახსოვს როგორი ხმა ჰქონდა მამას,
და ჩემი სახლიც აღარ მახსოვს უკვე ჩემს სახლად.
აი ის დღე კი, როცა ოდნავ დიდი პიჯაკით
და მხარზე გადაკიდებული ხელჩანთით მივდიოდი დილით ქუჩაში,
არასოდეს დამავინწყებდა.
სულ ოთხნი იყვნენ, თეთრი, რუსული ვოლგის გარშემო,
ანუ სულ ხუთნი ვიყავით იმ ვოლგაში რამდენიმე წუთის მერე,
მტკიოდა შუბლი, რომელიც მანქანას მივარტყი, როცა შიგ მტენიდნენ,
მენვოდა წელი, რომელზეც ხელი მომიჭირეს როცა მანქანაში მტენიდნენ.
შუა გზაში თქვეს, მოგვდევენო,

მამა მოგვდედა, ჩემი მამა, ჩემი იმედი,
და მაშინ, როცა ეს იმედი მამის სახით ჩემს მუცელში გაჩნდა,
სახეზე ამაფარეს მძაფრი სითხით დასველებული ცხვირსახოცი
და მანამდე დავკარგე გონება, სანამ ფეხებს შორის მდულარე შანთით
არ გამომიწვა მთელი სხეული მან, ვინც ამბობდა რომ ვუყვარდი.
თვალები რომ გავახილე, ვოლგის ფანჯრიდან დავინახე ხელებანული მამა,
რომელიც ამბობდა რომ უკვე მას აღარ ვეკუთვნოდი,
და ულოცავდა თავის „სიძეს“ ბედნიერებას.
სოფელში მისულს დამხვდა ქალი, რომელიც მიყვებოდა,
რომ ისიც ჩემსავით მოიტაცეს, საბოლოოდ კი ყველაფერი ისე კარგად აენყო...
მიმტკიცებდა რომ შევეჩვეოდი, შევიყვარებდი,
მით უმეტეს, თუ „მოსახდენი მომხდარი იყო“.
მე ვუსმენდი და ერთ რამეზე ვოცნებობდი,
რომ ეს პირველი და უკანასკნელი სქესობრივი აქტი მასთან
არ გამხდარიყო მიზეზი ჩემი ფეხმძიმობისა,
რადგან აბორტის ფულს ვერსად ვიშოვიდი,
დარჩენაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო,
არც დავრჩენილვარ,
სამდლიანმა ისტერიულმა კივილმა შედეგი გამოიღო და გამომიშვეს.
მამამ აღარ მიმიღო, რადგან თურმე ჩემში მხოლოდ გაუხეველი აპკი უყვარდა მამას,
დედამ აღარ მიმიღო, რადგან დედას ეშინოდა და ერიდებოდა მამის,
და უცებ ყველაფერი გაქრა,
ისე გაქრა რომ ამ გაქრობიდან ოცი წელი გავიდა უკვე და ყველაფერი კვლავ გამქრალია,
არ მახსოვს რას მღეროდა დედა, ანდა, მღეროდა თუ არა საერთოდ,
არ მახსოვს როგორი ხმა ჰქონდა მამას,
და აღარც მინდა რომ მახსოვდეს, რაც მთავარია!


დემოკრატია

დემოკრატია. ნერვების თოკვა,
ქშენით,
დემოკრატია. შიმშილი, შიმშილი, შიმშილი,
დემოკრატია, ანალის ლოკვა,
ენით.
და ქვეყნის ხელში თვალს და ხელს შუა იშლები.

დგას ოკუპანტი პატრიარქივით მყარად,
დგას მინის წილი დემოკრატია, დემო,
დემო ვერსია, დემოკრატია, მარად
დემოკრატიულ დემოკრატიის გემო,
დემონსტრირებენ ბაობაბები რწმენით
და გურუ მათი თუ ლოკაციას იდგენს
დრო არის ხალხი მომარჯვებული ენით
ლოკავდეს მწარე ბაობაბების დინდგელს.
სხეულს კი არჩენს მხოლოდ ლოკვა და ლოკვა
და ქვედა ტუჩზე მადლის დუჟების თქეში,
და გულისრევის ნერვების ძალით თოკვა
შენი ნერვები - დემოკრატიის ხელში.

ხშირად სიზმრებში საკუთარ კისერს ახრჩობ,
სახლში მთვრალივით ამოიტანე ძრწოლა
შენი შვილები - დემოკრატიის ჩარჩო,
შოვინისტური მელანქოლია - ცოლად.
ეს როლი ყველას, ვინც სხვანაირად როშავს,
მადლიერი ხარ წრეზე გატარებს რუკა
და ვერაფრით ვერ ჩამოიცილე დროშა
რომელიც ხედავ - ჩრდილში მოგყვება უკან.


ლამე ცივი და შენი საბანი - თხელი
ხალხის მზერაში - შენი სტატუსი - მგოსნის
აი იხილე ხელისუფალის ხელი
და რელიგიის წინამძღვარივით კოცნე!



რომ ვინმემ სადმე არ შეადაროს დემონს,
ყოველ სხვა სიტყვას გაჭრი სხვა მასტის კარტით
დემოკრატია, დემოკრატია, დემო
დემოკრატია, კრატია, დემო, კრათი.

სოციალური მანიფესტი

ვისი სირცხვილია სექსუალური ძალადობა,
რომელიც მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკში დაფიქსირდა,
გაუპატიურებულის თუ გამაუპატიურებელის?
სად ყოიხართ ამ დროს პოეტებო და რა ჯანდაბაზე წერთ?
იმ გოგოს თქვენი ლექსის გარეშეც ლამაზი თვალები ექნება,
სხვათა შორის თქვენს ლექსზე ლამაზი!
დღეს სხვა რამეზე უნდა წერთ,
თუნდაც იმაზე, რომ მეძავის გაუპატიურება კანონით არ ისჯება,
რადგან გაუპატიურება ეს არის ნამუსის ახდა,
ხოლო კონსტიტუციის მიხედვით, მეძავს არ აქვს ნამუსი.
მინდა შემეძლოს ხმამაღალი ლაპარაკი,
რომ მსოფლიოში გავავრცელო ხმა ჩემი ქვეყნის შესახებ,
იგი პოეტური ფლირტით არის დაკავშირებული მშვიერ შვილებთან
და დღემდე დუმს.
მას პასუხები არ გააჩნია,
ისევე როგორც სხვებს, ვისთვისაც იესოს პირველსახეობა
სავიზიტო ბარათად იქცა.
ბარათად, რომლის მეშვეობითაც დაუშვებელიც დაშვებული ხდება,
ისინი მრავლდებიან ყოველდღიურად, უარყოფენ მომავალს
სიტყვა რომანტიზმის განმარტების გარეშე,
იგუდებიან წარსულის სუნში
და კლავენ იესოს სახელით,
სექსუალურად ძალადობენ იესოს სახელით,
იპარავენ იესოს სახელით,
სცემენ იესოს სახელით,
სასჯელს იხდიან იესოს სახელით,
ამნისტია ეხებათ, რასაც, ცხადია, იესოს სახელს უკავშირებენ და იწყება თავიდან,
იქმნება ცირკულაცია, ამ სიტყვის მნიშვნელობის ცოდნის გარეშე,
შემდგომში იქცევიან გმირებად, შაბლონებად, უჩნდებათ უხილავი ბომონი,
იმკვიდრებენ სახელს და ქმნიან წარსულის იდენტურ მომავალს.
უმნიშვნელოა, მართლა იყო თუ არა მეძავი
მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკში გაუპატიურებული ქალი?
თუმცა ის კი ცხადია, რომ მან ვერ იპოვა სამართალი,
გულდამძიმებულმა თავი ჩამოიხრჩო,
ხოლო ყველა, ვისაც უნდა ეყვირა, დადუმდა,
და ასე გრძელდება დუმილი,
და ასე გაგრძელდება მარად,
სახელითა მამისათა და ძისათა და წმინდისა სულისა,
ან და მარადის და უკუნიითი უკუნისამდე!
ოღონდ ამინ - არა,
ყოველი შემთხვევისთვის, ჩემი პირიდან ვერ მოისმენთ ამას!



მასობრივი დისკრიმინაცია

იგი არ იდგა მარტო,
თუმცა ის, ვინც მის გვერდით იდგა თვლიდა რომ იდგა მარტო,
ხოლო მათ წინაშე ხალხი იწყებდა მოძრაობას.
- ეს შეუსაბამოა ჩვენი მენტალიტეტისთვის -
ამბობდა დანინაურებული, რომელსაც მხარს უბამდა
ქუჩაში საგანგებოდ შეგროვილი მასა,
ხოლო სამართალდამცავი, რომელსაც სიკვდილის სუნი სცემდა, უმოძრაოდ იდგა.
ტელევიზიები გადმოსცემდნენ რეპორტაჟებს,
ხოლო ტელეეკრანებთან მოკალათებული ბავშვების შაბლონები
იყვნენ იქ გამოჩენილი გმირები, რომლებიც
ეროვნული ღირებულებების გადასარჩენად იბრძოდნენ.

სწორედ ეს არის სახელმწიფო, სადაც შესაძლებელი არის წერა, საზოგადოება, რომელიც არსებობის იმიტაციას ქმნის მავალდებულებს ჩემი სახელის სწორად გამოყენებას. სტრუქტურა დუმს, როცა საზოგადოებრივი კანონით ისჯება განსხვავებული პოზიცია. სტრუქტურა დუმს, როცა საზოგადოებრივი კანონი ეწინააღმდეგება სამართლებრივ კანონს. სტრუქტურა დუმს როცა საზოგადოებრივ კანონს სასულიერო მოღვაწეები წერენ.

იგი კი ამ დროს არ დგას მარტო, ხოლო მისი გვერდით მდგომი თვლის რომ დგას მარტო, უკანასკნელი შანსი არის გაქცევა საკუთარი თავიდან, და მაშინ, როდესაც საკუთარ თავს გაქცევა არ შეუძლია, მას მოსდის სისხლი, ხოლო კეთილშობილი სამართალდამცავი დუმს, რადგან საზოგადოებრივ კანონს, ეთიკურ კოდექსს, ეთნიკურ ღირებულებებსა და ყოველგვარ კონსტიტუციურ ვალდებულებებს ქმნის ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალი - სასულიერო პირი.

ტელეეკრანებიდან იწყება ფსიქოლოგიური ომი გარდაცვლილის დედასა და გარდამცვლელის დედას შორის, ტელეეკრანებიდან მოდის კამათი უფლება დაცულებსა და უფლების დამცველებს შორის. ტელეეკრანებში ჩანს ომი პიროვნულ სენტემენტებსა და არსებობის ისტორიებს შორის. ქუჩებში მიმდინარეობს ფსიქოლოგიური ჩაგვრა გამარჯვებულების მიერ, დამარცხებულთა მსგავსი ვიზუალის მქონე პირებისა, დაღლილი დედები ლოცავენ გამარჯვებულებს, და სწორედ ეს არის სამოქალაქო ომი.



სად არის აქ სახელმწიფო, რომლის ვალია აღმოფხვრას ყოველგვარი ინციდენტი, რომელიც ფსიქიკურ ჩაგვრას განაპირობებს, სად არის აქ ისტორია, ანმეოს უარყოფელი და წარსულის მეხოტბე რომანტიკოსი, სად არის აქ მინა, რომელიც საარსებო მინიმუმის სანაცვლოდ მსხვერპლს ითხოვს ჩემგან. სად არიან ამ დროს პოეტები, რომლებიც გამუდმებით დაკარგულ ტერიტორიებზე ჭყავიან დაუმთავრებელი, უნიჭოდ გართიმული ჰიმნოგრაფიებით. სად არიან ამ დროს სამართალდამცავები, და რამდენი მათგანი ეტევა სასულიერო პირის უკანალში. სად არიან ამ დროს პოლიტიკოსები, რომლებიც საზოგადოებრივი კანონის წინააღმდეგ წასვლას ვერ ბედავენ უფლებამოსილების დაკარგვის შიშით. სად არიან სწორედ ისინი, რომლებიც სრულყოფილ რასას ქმნიან, ვინ არის მათი შაბლონი, ან რა განაპირობებს მსგავს დეგრადაციას, რატომ არის დუმილი და რატომ დგას მძაფრი შიშის სუნი. რატომ მეშინია წერის და ვინ დაიცავს ჩემს უფლებებს, როდესაც ამ ყველაფერს გააშინაარსებს ვინმე, ახალწავიშარი გუბესავით სავსე ეროვნული პათოსით. რომელსაც რელიგია მოუწოდებს ომისკენ, სამოქალაქო ომისკენ, და არ იქნება მის მუცელში ეთიკური დილემის ნატამალი, იგი აღასრულებს მოვალეობას, და კანონი იქნება მის მხარეს. გამოვა დედა, რომლის წინააღმდეგ გამოვლენ სხვა დედები. ჩატარდება მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიება და შეიცვლება სასაუბრო თემა, და ყველაფერი, რაც წარსულია, იქცევა მომავლად.

აქ ვის იმედად იყოს ჩაგრული მხარე? ღმერთის, რომელსაც ყოველგვარ მსგავს ქმედებას აწერენ, თუ სამართალდამცავების, რომელთა აზრითაც უფლებები არ გამაჩნია? დიახ, საშიში ფიქრი დეგრადირებულთა შორის, საშიში არის ყვირილი ყრუთა შორის, თუმცა მე დუმილს არ ვაპირებ.

უაიკი ვანი

ომაკასე*

ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძე



ქალმა და კაცმა გადანყვიტეს, რესტორანში
ნასულიყვნენ და სუშით ევახშმათ. მათ ინტერნე-
ტით გაიცნეს ერთმანეთი. აქამდე ქალი ბოსტონ-
ში ცხოვრობდა, ახლა კი ნიუ-იორკში გადაბარ-
გდა და კაცთან ერთად დასახლდა.

ქალი ქალაქის ცენტრში განლაგებულ ბანკში
ანალიტიკოსად მუშაობდა. კაცი კერამიკას ასწავ-
ლიდა ქალაქის გარეუბნის ერთ-ერთ სტუდიაში.
ორივენი ოცდაათ წელს გადაცილებულნი იყვნენ
და არც ერთ მათგანს არ უნდოდა შვილების ყო-
ლა. ორივეს უყვარდა აზიური კერძები, განსაკუთ-
რებით, სუში, და კიდევ უფრო გამორჩეულად -
ომაკასე. უჩვეულო კერძები მოსწონდათ, მაგრამ
რესტორნებში სხვადასხვაგვარად იქცეოდნენ. ქა-
ლი ნერვიულად ათვალიერებდა ხოლმე მენიუს და
ყოყმანობდა. კაცი მთლად ასეთი ჭირვეული არ
იყო. რომელი კერძია საუკეთესო? ეკითხებოდა
ქალი კაცს, ეს უკანასკნელი კი პასუხობდა, საუ-
კეთესო ის კერძია, რომელიც ახლა გენატრებაო.

სანამ აქ მოვიდოდნენ, კაცმა თქვა, ეს პატარა
უხეირო რესტორანიაო. მან ის ცენტრალური ჰარ-
ლემის სუშის რესტორნების სიაში იპოვა. ასეთი
რესტორნები ბევრი არ იყო. ამდენად, რეალობა
ასეთი გახლდათ, რომ კაცმა სუშის საუკეთესო
რესტორნების სია კი არა, სუშის ყველა რესტორ-
ნის სია გადაათვალიერა და ყველაფრისთვის მზად
იყავიო, უთხრა ქალს. უხეირო რესტორანი არ არ-
სებობსო, მიუგო ქალმა. მაგრამ რესტორანი მარ-
თლაც პატარა და უბადრუკი იყო, სუში-ბარიტა
და ბანკომატით. ბარის უკან ბებერი მზარეული
იდგა. სალაროსთან ოფიციაინტი გოგონა იჯდა.
ქალმა ივარაუდა, რომ აქ ექვს მოზრდილ ადამი-
ანზე და ბავშვზე მეტი ვერ დაეტეოდა. სუშის
უღუფები არც ისე დიდი იყო. რესტორანში შეს-
ვლისას ქალმა კაცს ისე გადახედა, თითქოს თვა-
ლებით ჰკითხა, ნეტავ, ყველაფერი რიგზე იქნე-
ბაო? ჩვეულებრივ, სუშის ისინი ქალაქის ცენ-
ტრში, გაბრდღვიალებულ და ხალხით გადაჭედილ

* გენდობით (იაპონ.). ეს გამოთქმა გამოიყენება სუშის რესტორნებში და გულისხმობს, რომ კლიენტი სუშის (ან სხვა კერძის) შერჩევას მზარეულს ანდობს.

რესტორნებში შეექცეოდნენ, სადაც თევზის სუნი ოდნავადაც არ იგრძნობოდა, მაგრამ ამ საღამოს ცენტრამდე მისვლა გაუჭირდებოდათ - მატარებლები შეფერხებით მოძრაობდნენ, რადგან ლიანდაგზე ვიღაც გადმოხტა და დაიშტვრა.

ასეთ შემთხვევებს ქალი ნიუ-იორკში მიეჩნია. ბოსტონში მეტროს სადგურები მოუხერხებლადაა განლაგებული, მაგრამ ვაგონები, როგორც ნესი, სუფთა და წყნარია - იქ არავინ შეგანუხებთ. მატარებლებსაც არავინ უვარდება ბორბლებქვეშ. ნიუ-იორკის მეტროს სადგურების განლაგებაზე იმავს ვერ იტყვი, თუმცა მგზავრობისას ბევრ უსიამოვნო სანახაობას გადაეყრები. მაგალითად, ნიუ-იორკში ცხოვრების პირველსავე თვეს ქალმა დაინახა, რომ ვაგონის კუთხეში ვიღაც კაცი შარდავდა. ვაგონებში უამრავი მათხოვარი იყო და თუკი ფული არ გქონდათ, მათხოვარი ითხოვდა საჭმელს, ფანქარს ან ცხვირსახოცს. ბრუკლინში მიმავალი მატარებლის ვაგონში ერთ ქალს, მოცეკვავე ბავშვმა, რომელსაც ქალმა ფული არ მისცა, წიხლი ჩაარტყა. ზედმეტად მგრძნობიარე ხარო, ეუბნებოდა კაცი, როდესაც ქალი ამ ამბების შესახებ უყვებოდა და წუნუნებდა, რომ არა მარტო უცხოოდ გრძნობდა თავს ნიუ-იორკში, არამედ იმასაც გრძნობდა, რომ გამუდმებით ემუქრებოდა საფრთხე.

აზვიადებო, ეუბნებოდა კაცი.

ახლა, სუშის რესტორანში, კაცმაც გადახედა ქალს და მიანიშნა, დაწყნარდი, აქ თავის შესაქცევად, გასართობად მოვედითო.

გასაგებია, მაგრამ არ მინდა, რომ საკვებით მოვინამლოო, გაიფიქრა ქალმა.

კაცი თითქოს მიუხვდა და უთხრა:

- თუ შეუძლოდ გახდი, ჩემი ბრალი იქნება.

ოფიციატმა, როგორც იქნა, შენიშნა, რომ წყვილი შემოვიდა. ის ფრჩხილებიდან ლაქს იშორებდა. შემოსულთ თვალი შეავლო, მაგრამ არ წამომდგარა, სტუმრებს ბარზე მიუთითა, გულგრილად უთხრა, სადაც გასურთ, იქ დასხედითო და მოქარგული შავი ფარდის მიღმა გაუჩინარდა.

როდესაც ქალმა და კაცმა ერთმანეთი გაიცნეს, შეთანხმდნენ, რომ თუ ხელს არაფერი შეუშლიდათ, ერთად ცხოვრებას შეეცდებოდნენ. თავდაპირველად, თითოეული მათგანი იმ ქალაქში ცდილობდა სამსახურის პოვნას სადაც მისი შეყვარებული ცხოვრობდა. რა თქმა უნდა, მოთხოვნა ფინანსურ ანალიტიკოსებზე ნიუ-იორკში გაცილებით მაღალი აღმოჩნდა, ვიდრე კერამიკის მასწავლებლებზე - ბოსტონში.

ვაშო, დანერა კაცმა იმ დღეს, როდესაც ავეჯის გადამტანები მივიდნენ ქალის ძველ ბინაში. ქალმა საპასუხოდ „სმაილის“ გამოსახულება გაუგზავნა, შემდეგ კი, მოგვიანებით, თავისი დაცარიელებული სასტუმრო ოთახის, საძინებლის, სააბაზანოს, აგრეთვე - უამრავი ავეჯისა და ნივთების, მაგალითად, ორი სასადილო სერვიზის, ოცი ქვებისა და ტაფის, შვიდი დანის და ა.შ. ფო-

ტოსურათები გაუგზავნა. ყველაფერი ეს ქალმა დათმო, როდესაც მათ ერთად ცხოვრება გადანყვიტეს.

ქალი რაციონალური პიროვნება იყო და Excel-ის ტაბულაზე ჩამოწერა თავისი კუთვნილი ნივთების ნუსხა, რათა კაცს თვალი შეეწყო მათთვის და გამოეყო ის ნივთები, რომლებიც მას უკვე ჰქონდა და მიეთითებინა მათი რაოდენობა და სახეობა. შესაძლოა, აზრი ჰქონდა იმას, რომ შვიდი დანა ჰქონოდათ, თუკი ისინი სხვადასხვა ზომისა და სიგრძისა იქნებოდა და სხვადასხვა მიზნისთვის გამოსადეგი.

კაცი კი იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლებიც Excel-ის ტაბულას ამრეზით უყურებენ ხოლმე.

ნიუ-იორკში გადასახლებისას ქალმა დიდი საჭვირთო მანქანა დაიქირავა და შეეცადა მოეძებნა საუკეთესო დრო, რათა ამ მანქანას მოძრაობა არ შეეფერხებინა და გზაჯვარედინის ბლოკირება არ მოეხდინა. ინტერნეტში წაიკითხავთ, რომ ნიუ-იორკელი მძღოლები გზებზე ძალიან უხეშად იქცევიან და მათთან კინკლაობის თავიდან ასაცილებლად დილის ხუთ საათზე უნდა გახვიდეთ გზაზე. როდესაც ქალი ნიუ-იორკში დილაადრიან ჩამოვიდა, კაცი მას თავის სადარბაზოსთან ელოდა. ყავა მიანოდა, მხრებზე თბილი სვიტერი მოახურა და მაგრად ჩაკოცნა. კოცნის შემდეგ ქალს გასაღებების აცმა მისცა. სულ ოთხი გასაღები იყო: სადარბაზოს, საკუჭნაოს, საფოსტო ყუთის და ბინის. ყველა გასაღები ერთმანეთს ჰგავდა და კაცმა თქვა, ერთი თვე დაგჭირდება იმის დასამახსოვრებლად, თუ რომელი გასაღები რომელი სათავსოსიაო. სინამდვილეში ქალს ამისთვის მხოლოდ ერთი დღე დასჭირდა, ქალი ბედნიერი იყო, რადგან კაცსაც ბედნიერს ხედავდა. ქალს არასოდეს უკითხავს, ეძებდა თუ არა ის სამუშაოს ბოსტონში ისევე გულმოდგინედ, როგორც ქალი - ნიუ-იორკში.

მხოლოდ წყალი მინდაო, თქვა კაცმა, როდესაც ოფიციატმა ქალმა თითოეულს ცხელი ჩაი მიართვა. ოფიციატმა განმარტა, რომ შვრიის ჩაი აუცილებლად უნდა დაელიათ, სანამ წყნარი ოკეანის ხამანკებს მიირთმევდნენ. ეს იყო ომაკასეს პირველი ეტაპი. ოფიციატი გოგონა თვრამეტიოდე წლისა იქნებოდა. აზიელი (ჩინელი) იყო. ცხვირის ნესტოზე ბრილიანტი უბრწყინავდა, ტუჩში კი იისფერი რგოლი ჰქონდა გაყრილი. მასთან საუბრისას ქალს თვალი ამ რგოლისკენ გაუზრბოდა და ტუჩებს იკვნეტდა. ქალი ფიქრობდა, რომ თვითონ ახალგაზრდობისას პირსინგს ვერასგზით ვერ გაიკეთებდა. შინ ტუჩზე გარჭობილი რგოლით რომ მისულიყო, იმიგრანტი მშობლები აიძულებდნენ, მოეხსნა რგოლი, შემდეგ გაკიცხავდნენ და ეტყოდნენ, რომ ტუჩებში გარჭობილი რგოლი ქუჩის გოგოს ამსგავსებდა. ამერიკაში ამგვარი გარეგნობის მქონე აზიელს ყველა ეჭვის თვალით შეხედავდა. თუ გოგონას საეჭვო

გარეგნობა ექნებოდა, კოლეჯში არ მიიღებდნენ, თუ კოლეჯში არ ისწავლიდა, სამსახურს ვერ იშოვიდა, თუ სამსახურს ვერ იშოვიდა, საზოგადოების სრულფასოვან წევრად ვერ იქცეოდა, ხოლო თუ საზოგადოების სრულფასოვან წევრად ვერ იქცეოდა, შეიძლება ციხეში ამოეყო თავი. მაშასადამე, ამ რგოლის გამო საბოლოოდ შეიძლება და მხოლოდ ციხეში აღმოჩენილიყო. ცირკში ხომ არ მუშაობ, არც აფრიკელი აბორიგენი ხარ და არც მერილინ მენსონი, ეტყოდა მამა, რომელმაც - რა უცნაურია, - იცოდა, ვინ იყო მერილინ მენსონი და მოსწონდა ის. შემდეგ, ციხეში, შეიძლება ქალი დამეგობრებოდა ტუჩებში რგოლგაყრილ სხვა ადამიანებს და მათ ბანდა შეექმნათ. ნუთუ ასეთი ცხოვრების შესახებ ოცნებობო? ეკითხებოდნენ მშობლები. ტუჩებში რგოლგაყრილთა ბანდის შესახებ? და ქალი იძულებული იყო, ეთქვა, არაო.

აი ჩაიც, თქვა კაცმა და ოფიციალტ გოგონას გაუღიმა. გოგონა ლამაზი იყო. იასამნისფერი რგოლი ეხამებოდა მის იასამნისფრად შეღებილ კულულებს და ფრჩხილებზე წასმულ იასამნისფერ ლაქს. შემდეგ კაცმა შეაქო ოფიციალტის შავი უნიფორმა. ოფიციალტმაც საპასუხოდ შეაქო კაცის მრგვალჩარჩოიანი სათვალე.

- ო, რა სისულელეა, - თქვა კაცმა და სათვალე ნუთით მოიხსნა.

- სისულელე სულაც არაა, - თქვა ოფიციალტმა. - მართლა შესანიშნავი სათვალეა. ჩემმა შეყვარებულმა ასეთი სათვალე ვერ მოირგო. მის თავის ფორმას არ მოუხდა.

კაცი ოფიციალტის შეყვარებულის ხსენებისას შეცბა, თუმცა ეს არაფრით გაუმჟღავნებია. პირიქით, კიდევ უფრო აქტიურად გაეარშიყა გოგონას.

ახალგაზრდები ახლა ძალიან განსხვავებულები არიან, გაიფიქრა ქალმა. თვითონ, სანამ კოლეჯში სწავლას დაიწყებდა, შეყვარებული არ ჰყოლია. საამისოდ გამბედაობა აკლდა. მაგრამ შეიძლება, ოფიციალტის მშობლები იმიგრანტები არც იყვნენ. შეიძლება, მისი მშობლები აქ დაიბადნენ, და ძველ ტრადიციებს აღარ ემორჩილებოდნენ, ან შეიძლება ოფიციალტი გოგონა თეთ-

რკანიანთა ნაშვილები იყო. გოგონები ახლა არა მარტო განსხვავებულები არიან, არამედ - უფრო ბედნიერებიც, გაიფიქრა ქალმა. სურდა ეთქვა ოფიციალტისთვის, წარმოდგენა არა გაქვთ, რამდენი ბრძოლის გადატანა მოუხდა ჩვენს თაობას, რომ თქვენ თმის იასამნისფრად შეღებვა და ტუჩის გახვრეტა შეგძლებოდათო.

კაცმა იდაყვი გაჰკრა ქალს, რომელიც მის გვერდით მარმარილოს ქანდაკებასავით უძრავად იჯდა და წასჩურჩულა:

- ასე ნუ ამტერდები ოფიციალტს, უხერხულია.

ჩაის ფინჯნებს სახელურები არ ჰქონდა. სითხე იმდენად ცხელი იყო, რომ ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეძლო ფინჯნის აღება. მხოლოდ სულს უბერავდნენ, იმ იმედით, რომ ჩაი გაგრილდებოდა. ერთმანეთს ეუბნებოდნენ, როგორი ცხელიაო. მზარეულს აქამდე ერთი სიტყვაც კი არ ეთქვა მათთვის, მაგრამ, როგორც ჩანს, არ სიამოვნებდა (როდესაც წყნარი ოკეანის ხამანკებს ამზადებდა), რომ სტუმრები ჩაის არ სვამდნენ.


იაპონელები ასე იქცევიან, - თქვა მან ბოლოს (კვლავ დახლის უკან იდგა), ხელი გაიშვირა, ორი თითითა და ცერით აიღო ქალის ფინჯანი, მეორე ხელის გული, ლამბაქივით, ქვემოდან ამოუდო, და კვლავ თქვა, იაპონელები ასე იქცევიანო. შემდეგ ფინჯანი ქალს გაუწოდა. ქალმა და კაცმა სცადეს მიებაძათ, მაგრამ გაუჭირდათ. შესაძლოა, უფრო ნაზი კანი ჰქონდათ. მათთვის ფინჯნის დაჭერა იგივე იყო, რაც მდულარე წყალში ხელების ჩაყოფა. კაცმა ფინჯანი დადგა. ქალს არ სურდა, გული დაენწყვიტა მზარეულისთვის და დიდხანს ეჭირა ფინჯანი. ხელისგულები აეწვა.

ახლა, როდესაც კაცმა შეიტყო, რომ მზარეულმა ინგლისური იცოდა, სცადა, მასთან საუბარი გაეხა.

ხელნაკეთი ფინჯანია, ხომ? - იკითხა მან. - შესანიშნავადაა მოჭიქული.

შემდეგ ქალისკენ შეტრიალდა და მათი ფინჯნების მომწვანო-მოლურჯო ჭიქურზე მიუთითა. მისი თქმით, ქალის ფინჯნის ჭიქური უფრო მსხვილი და მუქი იყო, ვიდრე - კაცისა.

- ჰმ, - ჩაიდუდუნა ქალმა. მისი აზრით, ეს ჩვეულებრივი ფინჯნები იყო.



- ეს ხომ „იუნომია“? - ჰკითხა კაცმა მზარეულს. - მაღალი, უყურო. დიახ, უყურო, კოხტა ფეხი აქვს. ჩაის ტრადიციულ ცერემონიებში გამოიყენება.

მზარეულმა ეჭვით გადახედა კაცს. შესაძლოა, ვარაუდობდა, სტუმარი დამცინისო. ასე ხდება ხოლმე, როდესაც ზოგიერთი ადამიანი სერიოზული გამომეტყველებით აბიპრუებს უცხო კულტურას და სასაცილოდ იგდებს მის წარმომადგენლებს.

- ეს კაცი კერამიკოსია, - თქვა ქალმა.

კაცი სწრაფად მიტრიალდა ქალისკენ, თითქოს უნდოდა ეთქვა, რატომ ჩაერიე, ჩვენ ისე საინტერესოდ ვსაუბრობდითო. შემდეგ გაეცინა.

- მაპატიეთ, - უთხრა მან მზარეულს. - ფინჯანი მშვენიერია და უნდა ამაყოფადეთ, რომ სამზარეულოში ასეთი ჭურჭელი გაქვთ. თქვენს ადგილას ვიამაყებდი.

მზარეულმა მადლობა გადაუხადა და ისეთივე მომწვანო-მოლურჯო კერამიკული თეფშებით თევზის პირველი ნაჭრები მიანოდა.

- გაამოთ, - უთხრა მზარეულმა და ცერი თიები მაღლა ასწია.

კაცმა ასეთივე შესვლით უპასუხა.

ქალს მოსწონდა, რომ კაცი ყველას ადვილად უახლოვდებოდა. სერიოზულად არაფერს და არავის ეკიდებოდა. ნამდვილი ექსტრავერტი იყო. თუმცა მარტო მუშაობდა თავის სტუდიაში, მაგრამ სხვა ადამიანებთან ურთიერთობით არა მარტო ტკბებოდა, არამედ - სჭირდებოდა კიდეც ეს. სტუდიის გარეთ ყველას ესაუბრებოდა. ზოგჯერ, უბრალოდ, ლაპობდა (ისე, როგორც ახლა, მზარეულთან). ზოგჯერ არშიყობდა, როგორც ახლა ეარშიყებოდა ლამაზ ოფიციალტ გოგონას. კაცის არშიყობა ქალს არ აწუხებდა. მოსწონდა, რომ კაცი ასეთი გულლია იყო. ლამაზი არ ეთქმოდა, მაგრამ სასიამოვნო გარეგნობა ჰქონდა. სიტყვა „სანდომიანი“ გაახსენდა. კაცი ნორმან როკუელის სურათების პერსონაჟებს აგონებდა.

თავდაპირველად სკაიპით გაესაუბრნენ ერთმანეთს. ღვინოს წრუპავდნენ და თან ლეპტოპებზე ერთსა და იმავე ფილმს უყურებდნენ. ეს იყო „მფრინავი ხანჯლების სახლი“. ქალმა თქვა, რომ სხვა რაიმეს ნახვას ისურვებდა - ისეთი ფილმისა, რომელიც ასე მკვეთრად ჩინური არ იქნებოდაო. ჩუან იმოუ ნიჭიერი, მაგრამ ძველი ყაიდის რეჟისორიაო.

- „ძველ ყაიდაში“ რას გულისხმობ? - ჰკითხა კაცმა.

- ტანის დინასტიას, - უპასუხა ქალმა.

მას უფრო თანამედროვე ფილმები მოსწონდა, თანაც ისეთები, რომლებიც აზიელთა ცხოვრებას არ ეხებოდა. არ უნდოდა, კაცს მხოლოდ იმიტომ ეყურებინა ჩინური ფილმებისთვის, რომ მისთვის ესაიამოვნებინა.

- კი მაგრამ, ეს საყოველთაოდ აღიარებული ფილმია, - მიუგო კაცმა.

ამიტომ მათ ბოლომდე უყურეს „მფრინავი ხანჯლების სახლს“. ფილმი დუბლირებული არ იყო. ინგლისურ სუბტიტრებს კითხულობდნენ. შეზარხოშდნენ. შემდეგ კაცმა ჰკითხა ქალს, სწორად იყო თუ არა ნათარგმნი სუბტიტრები. მგონი, სწორადო, მიუგო ქალმა, თუმცა მხოლოდ ნახევარი გაიგო იმისა, რასაც ფილმის პერსონაჟები ლაპარაკობდნენ და უფრო ინგლისურ ტექსტს ადევნებდა თვალს. კაცმა გაცილებით მეტი იცოდა ჩინური კინოს შესახებ, ვიდრე - ქალმა. მას, ასევე, გაცილებით უფრო ღრმა ცოდნა ჰქონდა ტანის დინასტიის, განსაკუთრებით კი - იმდროინდელი კერამიკის შესახებ. თურმე, ტანის დინასტიის ზეობისას ჩინელებმა სრულყვეს ფერადი მოჭიქვის ხელოვნება, კერძოდ, სამფეროვანი ჭიქური, რომელიც მწვანის, ყვითლისა და თეთრის კომბინაციას წარმოადგენდა. კაცმა იცოდა, რომ ამგვარ ჭიქურს ჩინურად „სანკეი“ ერქვა და ქალი ცოტათი შეცბა. არა, ძალიან შეცბა. მეორე დღეს კაცმა ქალს ტანის დინასტიის დროინდელი აქლემის კერამიკული ფიგურა გაუგზავნა, რომელიც სანკეით იყო მოჭიქული. ეს სწორედ ისეთი აქლემი იყო, როგორიც ქალის დედას ბუხარზე ედო ბოლო ოცდახუთი წლის განმავლობაში.

ქალმა რამდენიმე მეგობარს რჩევა ჰკითხა. მათი უმრავლესობა აზიელები იყვნენ, თუმცა, ქალს არააზიელი მეგობრებიც ჰყავდა. არ სურდა, გაეგრძელებინა კაცთან ურთიერთობა, თუკი ამ უკანასკნელს მასში მხოლოდ ეროვნული წარმომავლობა იზიდავდა. სმენოდა ერთგვარი „ყვითელი ციებ-ცხელების“, ანუ იმის შესახებ, რომ ყვითელკანიანი ქალებით გატაცება ამჟამად მოდურად ითვლებოდა. არ მოსწონდა, რომ ამას „ყვითელ ციებ-ცხელებას“ ეძახდნენ. ეთაკილებოდა, რომ ამ მოვლენას იმ დაავადების სახელი დაარქვეს, რომელსაც კოლოები ავრცელებდნენ და რომელიც ოთხიდან ერთ კაცს კლავდა. უახლოესი მეგობრები ეუბნებოდნენ ქალს, რომ ის ეჭვიანი იყო და სწორედ ამიტომ ვერ გათხოვდა ოცდათექვსმეტი წლის ასაკამდე. არც ის იყო გასაკვირი, რომ კაცმა კარგად იცოდა კერამიკის (მათ შორის - ჩინურის) ისტორია და, ალბათ, უბრალოდ, მოსწონდა „მფრინავი ხანჯლების სახლი“ - ერთ-ერთი საუკეთესო ფილმი. ერთმა არააზიელმა მეგობარმა უთხრა: „ის კაცია, და, ალბათ, უბრალოდ დაინტერესებულია სამხედრო ხელოვნებით“. ერთმა აზიელმა მეგობარმა კი შენიშნა: ალბათ, უნდა, რომ ღრმად გათვითცნობიერებული ადამიანის შთაბეჭდილება დატოვოს შენზეო.

- ვნახოთ, - მიუგო ქალმა.

სკაიპით მორიგი საუბრისას კაცმა შესთავაზა, ენახათ ინგლისში გადაღებული რომანტიკული კომედია; მომდევნო კვირას - რუსული კრიმინალური დრამა. ამის შემდეგ ისინი საუბრობდნენ ფილმების შესახებ, შემდეგ კი - სხვა საკითხებზე. კაცმა უთხრა ქალს, რომ ბოლო წლებ-

ში მას რამდენიმე ქალთან ჰქონდა სასიყვარულო კავშირი. ბოლო თავგადასავალი ერთი წლის წინ დასრულდა. როგორი ქალი იყო, იკითხა ქალმა, მაგრამ ყველაზე მეტად ის აინტერესებდა, ჩინელი იყო თუ არა კაცის ბოლო სატრფო. კაცმა უპასუხა, რომ მისი ბოლო სატრფო ლამაზი, მაგრამ ზედმეტად ნერვიული ქალი იყო. მაინც როგორიო - არ მოეშვა ქალი და კაცმა ჰკითხა, რას გულისხმობო. თურმე, ერთი ტანმალალი ებრაელი ქალი ყოფილა. კაცს სხვა ჩინური ფილმის ნახვა აღარ შეუთავაზებია. როდესაც ერთმანეთს ხვდებოდნენ, ჩინურ რესტორნებში აღარ დადიოდნენ, უფრო - ფრანგულში, იტალიურსა და იაპონურში. ქალმა კაცს თავისი ბევრი მეგობარი გააცნო, რომლებიც მოგვიანებით ეუბნებოდნენ, ბედს ენიე, ასეთ ადამიანს რომ დაუახლოვდით. უცოლ-შვილოა, ამერიკელი, ხელოვანი და შენი ასაკისო. „ამერიკელში“ ქალის აზიელი მეგობრები „თეთრკანიანს“ გულისხმობდნენ. მათი აზრით, ასეთ კაცთან ურთიერთობის წყალობით ქალი უფრო მაღალ სოციალურ წრეებში შეაღწევდა. უნინ ქალი ამაზე არ დაფიქრებულა, მაგრამ ახლა უკვე ფიქრობდა. ან, შეიძლება, უნინაც ფიქრობდა, მაგრამ მხოლოდ ახლა გაიცნობიერა ეს აზრები. ერთხელ ქალმა ჰკითხა კაცს, რატომ შეარჩია „მფრინავი ხანჯლების სახლი“ სკაიპით მათი პირველი საუბრისას. შემთხვევით შევარჩიეო, მიუგო კაცმა და გაიმეორა, რომ ეს საყოველთაოდ აღიარებული ფილმი იყო.

ამგვარად, ეს საკითხი გაირკვა. უფრო მნიშვნელოვანი საკითხი, - თუ რატომ ხვდებოდა ის ქალს, - უპასუხოდ რჩებოდა. როგორც ჩანს, აქ არავითარი როლი არ შეუსრულებია იმას, რომ ქალი ჩინელი იყო. დედამინაზე ჩინელი ქალებისა და თეთრკანიანი კაცების მილიარდობით წყვილი არსებობდა.

სუშის მზარეული სწრაფად მუშაობდა ხელეებით და მისი შემხედვარე ქალი თითქოს მოინუსხაო. ხის უზარმაზარი გობიდან მზარეულმა ორი მუჭა მოხარშული ბრინჯი ამოიღო, დააგორგო-ლავა და ბურთულებს მოგრძო ფორმა მისცა, ზედ კი თევზის თითო ნაჭერი დაადო. ბოლოს პანანინა ჯაგრისი შავ სოუსში ჩაანო და ბურთულებს წაუსვა. მზარეული ისე გამოიყურებოდა, თითქოს **Four Seasons** ან **Mandarin Oriental**-ის წევრი იყო.

დროდადრო ის თავის ხელსაწყოებს წმენდდა და თან სტუმრებს ელაპარაკებოდა. წყნარად ლაპარაკობდა. ამიტომ სტუმრებს ყურადღებით უნდა ესმინათ და ხმამაღლა არ ელექათ საჭმელი. კაცმა უთხრა მზარეულს, რომ მათი სახლი აქვე, რამდენიმე კვარტლის დაშორებით იდგა. მზარეული კუინსში ცხოვრობდა, მაგრამ წარმოშობით ტოკიოდან იყო. კაცმა შენიშნა, აქ ადრეც მინახავხართო. მზარეულმა მიუგო, რომ ეს შეუძლებელი იყო. კაცმა დაიჟინა, ნამდვილად ნანახი მყავხართო. უთხრა, რომ ყოველ საღამოს, რო-

დესაც თავისი სტუდიიდან შინ ბრუნდებოდა, ამ რესტორანს ჩაუვლიდა ხოლმე. მართალია, შიგ არასოდეს შესულა, მაგრამ დროდადრო ვიტრინაში იყურებოდა და ბარის დახლს მიღმა ხედავდა მზარეულს. ბეჯითად შრომობდითო, დასძინა ბოლოს.

მზარეულს ჩაეცინა და თქვა:
- ეს შეუძლებელია.
- რატომაა შეუძლებელი? - ჰკითხა კაცმა.
- იმიტომ, რომ პირველი დღეა, რაც აქ ვმუშაობ.

- ოჰ, - თქვა კაცმა. არ სურდა ელიარებინა, რომ შეცდა. შეიძლება მან მზარეულის ძმა ნახა, რომელიც აქ ადრე მუშაობდა.

მზარეულმა ისევ ჩაიცინა. ახლა უფრო დიდხანს და უფრო ხმამაღლა იცინოდა. წინა მზარეულს არ ვიცნობდიო, თქვა. გუშინ დავინყე აქ მუშაობაო.

ბოლოს კაცმა საუბრის თემა შეცვალა და ქალს გულს მოეფონა. ამ თემაზე საუბარი კიდევ რომ გაეგრძელებინა, მას რამე უნდა ეთქვა. უნდა განემარტა კაცისთვის, რომ სისულელე იყო იმის მტკიცება, თითქოს ვიტრინაში ეს მზარეული ან მისი ძმა დაინახა. ქალმა იცოდა, რომ კაცი სულელი სულაც არ იყო. უბრალოდ, თავისი სიმართლის დამტკიცება უნდოდა. ქალს არ სურდა, რომ ამ თემაზე საუბარი გაგრძელებულიყო.

მას შემდეგ, რაც ქალმა და კაცმა ჩაი დალიეს, ოფიციალტმა წყვილს გაუფილტრავი საკე მიუტანა. ჯერ კიდევ უკმაყოფილო გამომეტყველება ჰქონდა. მხოლოდ კაცს ელაპარაკებოდა და უხსნიდა, რომ ჩაის ფოთლებში ქრიზანთემა იყო დამატებული. ქალმა საკე ისე გასწია, არც კი გაუსინჯავს. კაცი დიდხანს ყნოსავდა და ამბობდა, რომ რაღაც უცნობ, ნაზ სურნელს გრძნობდა.


- ალკოჰოლის? - იკითხა ქალმა.
- სხვა რამის.
- ქრიზანთემების?
- არა.
ქალს უნდოდა ეთქვა, ოფიციალტი აშკარად ტყუისო. ბოთლზე ეწერა, რომ საკეს ჰქონდა ხილის სურნელი და სულ ცოტა ციტრუსიც ერია.

რა მემართებო, ფიქრობდა ქალი. ყველაფერი აღიზიანებდა. კაცმა შეხედა და ნიკაპქვეშ თითი გაუსვა. ქალს განწყობილება ცოტათი გამოუკეთდა. მზარეულმა შეჰღიმა და ქორჭილას ორი თხელი ნაჭერი აათალა.

კაცი კვლავ გამოელაპარაკა მზარეულს.
- შესანიშნავი სუშია, აქამდე სად მუშაობდით? უდავოდ დიდი გამოცდილება გაქეთ, ამაში ეჭვი არ მეპარება. ასეთი ომაკასე წლების განმავლობაში არ გამისინჯავს, ქალაქის საუკეთესო რესტორნებშიც კი.

- მაგალითად, სად? - იკითხა მზარეულმა.

კაცმა რესტორნები ჩამოთვალა. მზარეული მოწონების ნიშნად თავს უქნევდა და კაცს სახე გაუბრწყინდა. ქალმა იგრძნო, რომ საუბარში უნ-



და ჩარეულიყო. ამ რესტორნების უმეტესობას ბევრს ხომ მისი ინიციატივით ესტუმრნენ. როდესაც მათ ერთმანეთი გაიცნეს, კაცს გაგონილი ჰქონდა, რა იყო ომაკასე, მაგრამ გასინჯული არ ჰქონდა. ამის შესაძლებლობა არასოდეს მქონიაო, თქვა და ქალმა გაიფიქრა, კაცის ეს სიტყვები იმას ხომ არ ნიშნავდა, რომ ამ უკანასკნელმა არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო იაპონურ რესტორანში და არ სურდა, კერძების შეკვეთისას სულელური შეცდომები დაეშვა. ერთხელ ახალგაზრდობილი კაცი ქალმა ბოსტონის იაპონურ რესტორანში წაიყვანა, სადაც ქალის ნაცნობი ჩინელი მზარეული მუშაობდა. ბევრი ჩინელი მზარეული ამზადებდა იაპონურ კერძებს, რომლებიც ჩინურ კერძებზე უფრო პოპულარული იყო. ქალი ჩინელ მზარეულს იაპონურ ომაკასეზე ელაპარაკებოდა და გაუმხილა, რომ მშობლები იაპონელებისადმი სიძულვილს უნერგავდნენ, ხოლო ბებია და ბაბუა ჩინეთ-იაპონიის ომის მონაწილეები იყვნენ და ჭირის დღესავით სძულდათ იაპონელები. საბედნიეროდ, ქალი ამ გრძნობებს არ იზიარებდა. ის შტატებში გაიზარდა და სულაც არ იყო მტრულად განწყობილი იაპონელების, მათი კულტურისა და კერძების მიმართ. რაც ნიუ-იორკში გადასახლდა, ისინი ყოველთვის იმ რესტორნებში დადიოდნენ, რომლებიც ახლა კაცმა დაასახელა. სწორედ ქალმა განუმარტა კაცს, რომ იაპონურად „ომაკასე“ ნიშნავს, გენდობითო. გარდა ამისა, ყოველთვის ის იხდიდა იმ კერძების საფასურს, რომელთაც ამ რესტორნებში შეექცეოდნენ. შეიძლება ყოველთვის არა, მაგრამ განსაკუთრებით ძვირ რესტორნებში - ნამდვილად იხდიდა. ეს გონივრული საქციელი იყო, რადგან მას კაცზე უფრო მაღალი ხელფასი ჰქონდა. ომაკასე მათ ჩვევად ექცათ. ქალს მოსწონდა, რომ საერთო ჩვევები ჩამოუყალიბდათ.

ქალმა შენიშნა, რომ ბოსტონში იყო კიდევ ერთი რესტორანი, რომელსაც ისინი ერთხელ ესტუმრნენ.

- გახსოვს? იქ მე მიგიყვანე. პირველად იქ გასინჯე ომაკასე.

თან გაიფიქრა, კაცმა თავი დამცირებულად არ იგრძნოს იმის გამო, რომ იმხანად ინიციატივა მე გამოვიჩინეო.

- რა თქმა უნდა, მახსოვს. - თქვა კაცმა, ისე, რომ ქალისთვის არ შეუხედავს.

- ჰო, კიდევ სად მუშაობდით? - ჰკითხა მან მზარეულს.

- ქალაქის ცენტრში მდებარე ერთ-ერთ რესტორანში, - მიუგო მზარეულმა. და დაასახელა რესტორანი, რომლის შესახებ არც ქალს და არც კაცს არაფერი სმენოდათ.

- შეიძლება, არ იცოდეთ ეს რესტორანი, - თქვა მზარეულმა. - ძალიან ძვირია და ძალიან მოდური. ყოველდღეც არ მუშაობს. სადილებს წინასწარ უკვეთენ. იმისთვის, რომ მაგიდები და მენიუ შეუკვეთოთ, უნდა დარეკოთ სპეციალურ ნომერზე, რომელსაც ქალაქის აბონენტთა სიაში ვერ ნახავთ, მხოლოდ მუდმივმა კლიენტებმა იციან და ისინი ეუბნებიან ხოლმე თავიანთ ნაცნობ-მეგობრებს. თუ დარეკავთ, უნდა სთხოვოთ, რომ მენიუერთან დაგაკავშირონ. და კიდევ - მენიუერიც უნდა გიცნობდეთ. სხვა შემთხვევაში ის იტყვის, რომ ნომერი არასწორად აკრიფეთ და ყურმილს დაკიდებს.

- ხუმრობთ? - გაიკვირვა კაცმა. შემდეგ ქალს შეხედა და ჰკითხა, გაიგონე, რას ამბობს მზარეული?

გაიგონა. მზარეული არ ჩურჩულებდა. კაცი დახლისკენ გადაიხარა და თავი იდაყვებზე დააყრდნო პატარა ბიჭივით, რომელიც ელოდება, როდის დაუდგამს დედა მაგიდაზე გემრიელ კერძს. შესანიშნავიაო, თქვა ქალმა და მაშინვე უკეთ იგრძნო თავი.

- ალბათ, ამ ყველაფერმა ძალიან დაგლალათ. - თქვა კაცმა. - დაგლალათ მდიდარი ხალხის მომსახურებამ.

- არა.

- სანაძლეოს დავდე, რომ გიჭირდათ იქ მუშაობა. შეკვეთილი წვეულებები. მდიდარი, გაზულუქებული ადამიანები.

- არა.

- და საშუალება არ გქონდათ ის გეგმები-
ნათ, რაც გინდოდათ. კლიენტების მოთხოვნებს
უნდა დამორჩილებოდით. ალბათ, უცნაური
მოთხოვნები ჰქონდათ.

- დიახ. მაგრამ სამსახურიდან სხვა რამის გა-
მო გამათავისუფლეს.

- გაგათავისუფლეს?

კაცი კიდეც უფრო მეტად დაინტერესდა.

- გესმის? - ჰკითხა ქალს. მისი აზრით, თუ
კარგ მზარეულს სამუშაოდან გაათავისუფლებ-
დნენ, ეს ნიშნავდა, რომ, შესაძლოა, მზარეული
ვერ შეეგუა რესტორნის თაღლით პატრონს, რა-
მაც კაცს პატივისცემა აგრძნობინა მზარეულის
მიმართ.

- მაინც, რატომ გაგათავისუფლეს? - ჩაეძია
კაცი. მან მზარეულს ერთი ფინჯანი საკე შესთა-
ვაზა, მაგრამ მზარეულმა უარი უთხრა.

ქალმა ხელისგულზე დადებული თავისი ფინ-
ჯანი შეატრიალა და მზარეულის ზურგს უკან კე-
დელს შეავლო თვალი. მასზე გამოსახული უზარ-
მაზარი ტალღა წაღეკვას უქადდა სამ პანანინა
ნავს. ქალს მოსწონდა, რომ კაცი მისი კოლეგა არ
იყო. ეს იმას ნიშნავდა, რომ მათ შორის პროფე-
სიული კონკურენცია არ წარმოიშობოდა და მხო-
ლოდ ჭეშმარიტი სულიერი ნათესაობა აკავში-
რებდათ ერთმანეთთან. ისიც მოსწონდა, რომ კა-
ცი მერკანტილური არ იყო, თითქმის სრულებით
არ აინტერესებდა, ექნებოდა რაიმე მყარი შემო-
სავალი თუ არა. ქალი ამ მხრივ უფრო პრაქტი-
კული იყო, თუმცა მოსწონდა თავისი სამუშაო,
მაგრამ უფრო იმიტომ, რომ ის მყარი და მალა-
ლანაზლაურებადი იყო. როდესაც ქალი ანგარი-
შობდა, როგორ უნდა გაენაწილებინათ რესტო-
რანში გადასახდელი თანხა, კაცი ხუმრობდა, ჩემს
მეგობარ ბანკირებს ვკითხავ რჩევასო. როდესაც
ქალი ეკითხებოდა, რატომ იქცევი ასეო, კაცი
ქალს თავზე ხელს უსვამდა და ამბობდა, ამაზე
ფიქრით თავს ნუ ინუხებო. კაცი ამაცობდა იმით,
რომ ასეთი ქალის გული მოიგო - ქალისა, რომე-
ლიც იოლად უმკლავდებოდა ციფრებს და გრა-
ფიკებს - ამ სიტყვების გაგონებაც კი საკმარისი
იყო, რომ კაცს თავბრუ დახვეოდა. ვალიარებ,
რომ ჩემზე უფრო ჭკვიანი ხარო, ამბობდა კაცი.
და ქალი ამ დროს უსაზღვროდ ბედნიერი იყო.

- რისთვის გაგათავისუფლეს?

მზარეულმა არ უპასუხა. ამის ნაცვლად ხე-
ლები დაიბანა, რომლებიც ამჯერად წითელი ლორ-
წითი დასვროდა და ორაგულის კანის გამოსაშ-
რობად სარჩილავე ლამაზ მოიმარჯვა.

ერთი წლის შემდეგ ქალმა კაცი თავისი მშობ-
ლების გასაცნობად წაიყვანა. ქალის მშობლები
სპრინგფილდის (მასაჩუსეტისის შტატი) გარეუ-
ბანში ცხოვრობდნენ. მამა მუშაობდა კომპანია-
ში, რომელიც კიდურების პროთეზებს ამზადებ-
და. დედა დიასახლისი იყო. ჩინეთში მათ სხვა
პროფესიები ჰქონდათ. მამა კომპიუტერულ მეც-
ნიერებებს ასწავლიდა, დედა კი გამყიდველად

მუშაობდა. წარმატებით მუშაობდნენ, რადგან
სამშობლოში ინგლისურის ცოდნა არ სჭირდებო-
დათ. დედა ამერიკაშიც გამყიდველად მოეწყო,
მაგრამ მალევე მიატოვა სამსახური. ჩინეთში კარ-
გი გამყიდველი მუშტარს ჩრდილივით დასდევდა
უკან, ამერიკაში კი ასეთი ქცევა არ მოსწონდათ.
მიუხედავად ამისა, ახლა ქალის მშობლები კომ-
ფორტულად ცხოვრობდნენ თავიანთ სახლში, რომ-
ლის ფართობი ორი ათას კვ. კვადრატულ ფუტს
შეადგენდა და სხვა სახლებისგან არაფრით გა-
მოირჩეოდა. შესაძლოა, ცოლ-ქმარს მოსწონდა
კიდეც, რომ გარეუბნის სახლები ერთმანეთს წაა-
გავდა, რადგან გამვლელები ვერაფრით მიხვდე-
ბოდნენ, რომ აქ ჩინელები ცხოვრობდნენ. რა თქმა
უნდა, თავიანთი წარმომავლობისა არ რცხვენო-
დათ და არც ქალიშვილისთვის ჩაუწერავთ სირ-
ცხვილის გრძნობა. სხვებს არაფრით ჩამორჩე-
ბიო, ეუბნებოდნენ, მანამდეც კი, სანამ ქალი მიხ-
ვდებოდა, რომ საქმე სწორედ ამგვარად იყო.

ქალმა არ იცოდა, როგორ შეხვდებოდნენ მშობ-
ლები. მართალია, სხვა თაყვანისმცემლებიც მი-
უყვანია მათთან და მშობლები ყოველთვის გულ-
თბილად ხვდებოდნენ, მაგრამ ეს პირველი შემ-
თხვევა იყო, როდესაც თეთრკანიანი მამაკაცი
უნდა მიეყვანა შინ. საინტერესოა, ფიქრობდა ქა-
ლი, ჩემს მშობლებს გაუხარდებათ, რომ მათი ქა-
ლიშვილი, ბოლოს და ბოლოს, გათხოვებას აპი-
რებს, თუ გაუკვირდებათ, რომ ის, როგორც ქა-
ლის მეგობრებმა შენიშნეს, ბედს ენია? ალბათ,
ორივე ვარაუდი სწორი იყო. მაგრამ ერთნაირად
გაახარებდათ ორივე ეს მიზეზი, თუ რომელიმე
მათგანი უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა?

ამ უიკენდის განმავლობაში ქალი მოუსვენ-
რად იყო, მაგრამ ყველაფერმა მშვიდობიანად ჩა-
იარა. კაცი ოჯახის დიასახლისს პროდუქტების
მოტანაში ეხმარებოდა, მამას კი - შემოსასვლე-
ლი გზის მოსწორებაში. ქალი შეცბა, როდესაც
მამამ სუფრაზე ვისკის ბოთლი დადო. არ იცოდა,
რომ მამა ვისკის სვამდა. ყოველი კერძისთვის
დედა სუფრაზე ჩხირებსაც აწყობდა და დანა-
ჩანგალსაც. როდესაც კაცი ჩხირებით ჭამას ამ-
ჯობინებდა, ქალის მშობლები ისე უღიმოდნენ,
თითქმის კაცი საზრიანი მაიმუნი იყო, რომელიც
კვადრატული ფორმის ჯოხს კვადრატულ ღრმე-
ლებში არჭობდა.

კაცი ისე მარჯვედ იყენებდა ჩხირებს, რომ
ქალის მშობლები ტაშსაც კი უკრავდნენ. თმის
ფერით დანყებული და ფეხსაცმლის ფერით დამ-
თავრებული, ყველაფერს უქებდნენ.

ქალს უხაროდა, რომ მისი მშობლები თავაზი-
ანად იქცეოდნენ და გააქარწყლეს წარმოდგენა
იმის თაობაზე, რომ აზიელ მშობლებთან ურთი-
ერთობა რთულია. მან წინასწარ განუმარტა კაცს,
რომ მშობლები ხშირად თავშეკავებულად იქცე-
ოდნენ, მაგრამ ეს მხოლოდ თავდაცვის ხერხი
იყო - წლების განმავლობაში ისინი ამ ქვეყანაში
აუტსაიდერების როლში იმყოფებოდნენ.

უიკენდის დასასრულს დედამ ქალიშვილი გან-
ზე გაიხმო და უთხრა, კარგი იქნება, ნიუ-იორკში
გადასახლდეთ. ეს იდეა კაცმა მიანოდა საცოლის
დედას. ქალმა არ იცოდა, რა ეპასუხა.

- ჯერ არაფერი მაქვს გადანყვეტილი, - უთხრა
დედამისს. - მაგრამ სამსახურს ორივე ქალაქში
ვეძებთ.

დედამ თავი დაუქნია, კარგო. შემდეგ ქალიშ-
ვილს შეახსენა, რომ ასეთი მამაკაცი უსასრუ-
ლოდ არ დაელოდებოდა.

ომაკასეს ბოლოს მზარეულმა სტუმრებს კვერ-
ცხის რულეტი შესთავაზა. რულეტი ფაფუკი და
ტკბილი იყო. როგორიაო, იკითხა მზარეულმა. ის
ამ კითხვას სვამდა ყოველი კერძის შემდეგდა
ნელში იხრებოდა. როდესაც უთხრეს, რომ ეს იყო
საუკეთესო კვერცხის რულეტი, რომელიც კი გა-
ესინჯათ, ნელში გაიმართა.

ეს ქცევის იაპონური წესიაო, გაიფიქრა ქალ-
მა. ან, შეიძლება, აზიური, ან, შესაძლოა, უბრა-
ლოდ, ქცევის ადამიანური მანერა იყოსო.

დესერტად ორ-ორი კოვზი ნაყინი მიირთვეს.
სადილის ბოლოს კაცი კვლავ შეეკითხა მზარე-
ულს, სამსახურიდან რატომ გაგათავისუფლესო.
მათ კიდევ ერთი ბოთლი საკე მიაართვეს.

- ამას რა მნიშვნელობა აქვს, - მიუგო მზარე-
ულმა.

- ჩემთვის აქვს, - შენიშნა კაცმა. - მითხარით.
აქ ხომ ყველანი მეგობრები ვართ.

თუმცა, არც მან და არც ქალმა არ იცოდნენ,
რა ერქვა მზარეულს. და პირიქით. მთელი ამ ხნის
განმავლობაში რესტორანში არავინ შემოსულა.
გამვლენები ჩერდებოდნენ, მენიუს ათვალეი-
ერებდნენ და გზას აგრძელებდნენ.

- მენეჯერმა გამათავისუფლა სამსახურიდან,
- თქვა მზარეულმა. სუშის მზადებას მორჩა და
დახლის წმენდას შეუდგა.

ქალი ხვდებოდა, რომ მზარეულს დახლის წმენ-
და სულაც არ სიამოვნებდა. უბრალოდ, ხელები
უნდა ემოდრავებინა, სანამ ამბავს ჰყვებოდა.

- მაინც, რა მოხდა? - ახლა მან ჰკითხა.

- სამი კვირის წინ გამათავისუფლეს, - და-
იწყო მზარეულმა. - მენეჯერს სალამოს ორმოც-
დაათკაციანი წვეულება შეუკვეთეს. თავიდან
უარზე ვიყავი, მაგრამ წვეულება ჩვენმა ერთ-ერ-
თმა მუდმივმა კლიენტმა შეგვიკვეთა. ვუთხარი,
რომ ორმოცდაათკაციან წვეულებას მარტო ვერ
გავუძღვებოდი და თანაშემწე დამჭირდებოდა.
მენეჯერი დამთანხმდა. ერთ საათში რესტორან-
ში მივედი, მაგრამ თანაშემწე არსად ჩანდა. მე-
ნეჯერი ჩინელი იყო. მითხრა, რომ სხვა მზარეუ-
ლებს სთხოვა მოსვლა, მაგრამ არავინ მოვიდა.

- სულელი კი არ ვარ, - განაგრძო მზარეულ-
მა. ვიცოდი, რომ ეს ჩინელი მატყუებდა. ამიტომ
სუში მხოლოდ ორი კლიენტისთვის მოვამზადე.
დანარჩენი ორმოცდარვა კაცისთვის არაფერი
მომიმზადებია. სტუმრები იძულებულნი გახდნენ,
სხვა რესტორანში წასულიყვნენ.

- ყოჩაღ, - თქვა კაცმა.

ქალს არაფერი უთქვამს. კბილებს შორის ერ-
ბოკვერცხის ნამცეცი გაეჩხირა და ცდილობდა,
ენით მოეშორებინა. რომ ვერ შეძლო, ახლა თითი
დაიხმარა. შემდეგ თითი ხელსახოცზე შეინმინდა.

- ჩინელი ვარ, - წყნარად ჩაილაპარაკა ქალმა.

მზარეული კვლავ დახლს წმენდდა. კაცმა ჩა-
ახველა. ქალმა კაცს შეხედა. კაცმა თქვა - არა
საგანგებოდ ქალის ან მზარეულის, არამედ თით-
ქოს უხილავი მსმენლების გასაგონად, - მზარეუ-
ლი მენეჯერის ეროვნულ წარმომავლობას არ გუ-
ლისხმობდაო.

- ვიცი, თქვა ქალმა. - ვიცი, რომ ამას არ გუ-
ლისხმობდა. უბრალოდ, მინდოდა დამეზუსტებინა.

კაცმა თვალეები გადაატრიალა და ქალს მო-
უნდა, ორი კბილის ჩხირი აეღო, კაცისთვის ლა-
მაზ თვალეებში ჩაერჭო და იქ უძრავად გაეჩერე-
ბინა.

- მაპატიეთ, - თქვა მზარეულმა. ახლა ის დაჭ-
რილ თევზს აწყობდა თევზებზე. ილიმებოდა, მაგ-
რამ თვალეები არ აუწევია. ერთი წამის შემდეგ
სევდიანად აღილინდა. ძნელად მისახვედრი იყო,
წუხდა თუ არა იმას, რაც თქვა, წუხდა თუ არა
იმის გამო, რომ ქალი ჩინელი იყო. ან იქნებ ორი-
ვე მიზეზით წუხდა. ქალს უნდოდა ეკითხა, მაინც
რის გამო წუხხართო, მაგრამ არაფერი უთქვამს.
რა უნდა ეთქვა? მზარეული სამოც წელს გადა-
ცილებული იქნებოდა.

- ჩემო საყვარელო, - თქვა კაცმა (ასე არასო-
დეს მიუმართავს ქალისთვის), - ნულარ სვამ.

შემდეგ მზარეულისკენ შეტრიალდა.

- მგონი, ჩვენი ნასვლის დროა.

მზარეულმა დაუძახა ოფიციანტს, რომ კლი-
ენტებს ანგარიში გაესწორებინათ. ქალმა მაგი-
დაზე საკრედიტო ბარათი დადო, კაცმა კი ისეთი
სახე მიიღო, თითქოს ბარათს ვერ ამჩნევდა. ქალ-
მა ოფიციანტს ფული აჩუქა.

- გენყინა? - თქვა კაცმა, როდესაც გარეთ გა-
ვიდნენ. ციოდა.

- არ მწყენია, - თქვა ქალმა.

- არც უნდა გწყენოდა. ის, უბრალოდ, თავის
ამბავს მოჰყვა.

- ჰოდა, არ მწყენია.

ერთხანს დუმდნენ. ბოლოს, კაცმა უთხრა:

- მისმინე, ეს ყველაფერი მე ხომ არ მომიყო-
ლია. გულთან ახლოს ნუ მიიტან. ზედმეტად
მგრძნობიარე ხარ.

- მე?

- გარდა ამისა, საკუთარი თავის პატივისცე-
მა არ უნდა დაკარგო.

- რისი პატივისცემა?

კაცმა ამოიოხრა:

ამას მნიშვნელობა არა აქვს.

შემდეგ ქალს თავზე ხელი გადაუსვა და სთხო-
ვა, ზედმეტი ფიქრით თავი არ აიტკივო.

ტარიელ დათიაშვილი მელია და მწევარი

ეს წერილი, მოხსენების სახით, დიდი ხნის წინათ სემიოტიკის ერთ-ერთ კონფერენციაზე წავიკითხე. მოგვიანებით მასში გადმოცემული შეხედულებები თანამედროვე ქართულ რომანს დავუკავშირე და ახლა მას სრულიად განსხვავებული სახით გთავაზობთ. მართალია, ბოლო ხანებში აქ დასმულმა პრობლემამ, თითქოს, სახე იცვალა, მაგრამ ლიტერატურის მოყვარულთათვის, ვფიქრობ, მაინც საინტერესო იქნება.



არც ისე დიდი ხნის წინათ, ქალბატონ ცირა ბარბაქაძის ერთ ლექსში ასეთ სიტყვებს გადავწყედი: „დროს მაშინ ვპოულობ, როცა ვკარგავ“. ის დრო გამახსენდა, დიდი მდინარე რომ მოვარდა და მწერლებმა, უცბად, უკუღმა ლაპარაკი დაიწყეს. ვილაც იქით მხარეზე დარჩა, ვილაცამ გამოცურა, მერე კი დადგნენ ნაპირზე და ერთმანეთის ლანძღვა დაიწყეს. იმიტომ არ დაუკარგავთ ერთმანეთი, რომ ეპოვნათ, პირდაპირ მინა მიაყარეს ერთმანეთს. დროთა კავშირიც აქ დაირღვა, რითაც ქართულ ლიტერატურას ნამდვილად არ უხეირია. მას მერე სიტყვები ყირამალა გადადიან, გამუდმებით გაურბიან საკუთარ თავს, საპირისპირო ჟღერადობაში, აზრსა თუ მნიშვნელობაში იყუჩებიან და იქედან იქნევენ მუშტს, მაგრამ ამის გამო დრო ნაბიჯს არ ანელებს ქუდის მოსახდელად, უბრალოდ, თუ აქამდე მარცხნიდან მარჯვნივ მოძრაობდა საათის ისარი, ახლა პირუკუ გაუყვია გზას.

ძალიან ახალგაზრდა ვიყავი და მეგონა, ეს მარტო ჩვენს თავს ხდებოდა. აკვარიუმის თევზით ვერც მე ვხედავდი ჩემსა და მსოფლიო

რეალობას შორის არსებულ ზღვარს, ვცდილობდი, ახალი სიტყვებით კარგად მეთამაშა, რა ვიცოდი, ერთი შეხედვით მარტივი ფრაზა: დროს მაშინ ვპოულობ, როცა ვკარგავ, მთელ საკაცობრიო ისტორიას თუ მარხავდა. აბლაბუდა პირველად შოპენჰაუერმა მოქსოვა. ის ასე იტყოდა: დროს ვერ ვპოულობ, ვიდრე არ დავკარგავ, რითაც ჭკუისკოლოფა რაციონალისტებს ეუბნებოდა, თქვენ მართალი ხართ, კარგ სიტყვებს ამბობთ, ჭეშმარიტებისკენ მიმავალი გზის ჩვენება შესაძლებელია, მაგრამ მაინც არაფერი გამოგივათ. ბევრს არ გაუცინია, მეტიც, ახალგაზრდა, გულჩათხრობილმა ფილოსოფოსებმა პროგრესიზმი მიზანმიმართულ ბოროტებად გამოაცხადეს. ვიდრე არ დავასრულებთ, ვერ აღმოვაჩენთ; ვიდრე არ მოკვდებოდა, ვერ ვიპოვით, ვერ დაველაპარაკებთ (ტ.დ.). პროგრესისტების სიტყვების სინათლე საზრისის დაბნელებამ, ჭეშმარიტებისგან აცდენამ გახადა შესაძლებელი, ჭეშმარიტი სული წარსულში დარჩა, ამიტომ საჭიროა შემობრუნება და ამჯერად, არა მომავლისკენ, არამედ უკან, გზის დასაწყისისკენ გეზის აღება, სა-

ფუძველშივე მისი წვდომაო. რამდენად გასაკვირიც არ უნდა იყოს, ეს დიადი ბიჭები პროგრესიზმში მიმართულების, მხოლოდ საათის ისრის მოძრაობის პრობლემას ხედავდნენ, ამიტომ იმედოვნებდნენ, რომ მატარებლის შემობრუნებით მას იოლად შეაჩერებდნენ (გაანეიტრალებდნენ). მოდერნულობამ კი საპირისპირო მიმართულებითაც დიდი წარმატებით გააგრძელა სვლა. საბოლოო ჯამში, ერთიანი კულტურული მოძრაობა გაიხლიჩა და ამ ორმა დრომ მოდერნულობის სივრცეში სწრაფად მზარდი ერთმანეთს დაპირისპირებული იდეოლოგიები წარმოშვა. საჭირო გახდა გაჩერება, დროის გაყინვა, ერთ ადგილზე გაქვავება, რადგან ის ნგრევით ემუქრებოდა მთელს ადამიანურ სამყაროს. ასეც მოხდა, გვიან, მაგრამ, საბოლოოდ, ზუსტად ისტორიის დასასრულზე, გაჩერებაზე დაიწყეს ფიქრი. ახლა ეს ძალიან პოპულარული ტექსტებია და ისინი ყოველივეს დასასრულს კი არ აღნიშნავენ, არამედ ერთ წერტილში დროის ძაფების განსაკვას ცდილობენ (წერტილი, რასაკვირველია, ეგზისტენციალურია).

ამ მოვლენას უძველეს დროშიც მოეპოვება პარალელი, იმ ეპოქაში, როცა ჯერ კიდევ ზევსი ამყარებდა თავის წესრიგს. გახსოვთ, ალბათ, როგორ დაედევნა ერთხელ კეფალეს მწევარი ტევმესიის მელიას, რომელიც თებულებზე განრისხებულმა დიონისემ მოუვლინა ბეოტიას. როდესაც ამფიტრიონმა აღკმენეს ხელი ითხოვა, მას ასეთი პირობა წაუყენეს - აღკმენეს მოგათხოვებთ, თუ კაციჭამია მელიას მოგვაშორებთ. ღმერთებისაგან იყო დადგენილი, რომ ტევმესიის მელიას ვერაფერი ვერ უნდა დაწეოდა დედამინის ზურგზე. ამფიტრიონმა დახმარებისთვის კეფალეს მიმართა, რომელსაც ჰყავდა არტემიდეს ნაჩუქარი მწევარი. ასევე ღმერთების მიერ იყო დადგენილი, რომ ლელაპოსი რასაც არ უნდა დადევნებოდა, დედამინის ზურგზე, უეჭველად უნდა დაწეოდა. და აი, დადგა ჭეშმარიტების მომენტი: მწევარი დაედევნა მელიას და დასანგრევად განწირულმა სამყარომ ზანზარი დაიწყო (ამ მოვლენას სარჩულად ისეთი დახლართული პოლიტიკური მოვლენები ედო, მასთან შედარებით მეოცე საუკუნე ქობულეთია). მორალი ის არის, რომ ღმერთები გამუდმებით მოდიან წინააღმდეგობაში საკუთარ თავთან, ისინი ნანგრევებზე ბატონობენ. ზევსის მულტიკულტურული დროც დაწყებისთანავე სრულდება, თვით გარიჟრაჟზე, ჰერაკლეს დედ-მამაც რომ ჯერ ერთმანეთს არ იცნობენ, ტროა ხსენებაშიც რომ არაა და გიგანტომაქიაც ჯერ კიდევ გადასატანია. ზევსმა შემთხვევით მოჰკრა თვალი, როგორ მისდევდა ლელაპოსი ტევმესიის მელიას და მა-

შინვე გააქვავა ორთავე არსება, მაგრამ ეს არ არის პრობლემის გადაწყვეტა, აქ გაქვავება კონფლიქტის მხოლოდ დაკონსერვებას ნიშნავს. ეს ბედისწერაა, ღმერთების ნება-სურვილით ეს არსებები უკვდავები არიან, ამიტომ ადრე თუ გვიან ისინი დაიბრუნებენ დროს, საკუთარ თავს, მწევარი დაენევა ან ვერ დაენევა მელიას და წესრიგიც დაიმსხვრევა. ბერძნულმა კულტურამ სწორედ ამ გარდუვალი მსხვრევის, გაქვავებული შესაძლებლობის წიაღში იარსება. დრო ზუსტად მაშინ გახდა ნაპოვნი, როცა ის დაიკარგა.

ერთი სიტყვით, ისტორიისთვის ერთი თვალის გადავლებითაც ნათელი გახდა, რომ ფრაზა - დროს მაშინ ვპოულობ, როცა ვკარგავ, მთელი საკაცობრიო ისტორიის მანძილზე იმდენად ინტენსიურად ტრიალებს სხვადასხვა ენებში და ამ გამოთქმის იმდენი კონფიგურაცია და ინტერპრეტაციაა დაგროვილი, თავისი განმარტებებიანად, რომ მასთან დაკავშირებით რაიმე ორიგინალურის თქმა ცირკის არენაზე თუ იქნებოდა მხოლოდ გამართლებული. თუმცა, ესეც არ იქნებოდა პრობლემა (ცირკი ლიტერატურის საყვარელი ადგილია, აზროვნება კი - ზუსტად ჰერაკლეს მსგავსი გმირი, რომელსაც ყოველთვის შეუსრულებელ დავალებებზე ვგზავნით), რომ არა თვითონ ნაპოვნი ფრაზის შინაარსი. მის ფარგლებში მოქცეული დროის ასეთი წაკითხვა ხომ უკვე ფიქრის დაწყებამდე აუქმებს სიახლის საჭიროებას, ორიგინალობას როგორც სულიერ მოთხოვნილებას? ადამიანი ხარ, გინდა იყო განსხვავებული, გამორჩეული; იყო მუდმივ სწრაფვაში; ელტვოდე მუდამ უკეთესს, ახალს, განსაკუთრებულ მდგომარეობას, მაგრამ ამას ვერ ახერხებ, ხელ-ფეხი გაქვს შეკრული, დრო არ გიშვებს. გაქვავებული ხარ, რადგან მოცემულია ფაქტი - დროის უწყვეტი მდინარეა, მაგრამ არ სჩანს არანაირი უნივერსალური მომავალი, რომლისკენ სწრაფვაც განაპირობებს დროის შესახებ ნებისმიერი წარმოდგენის არსებობას. დღეს ქართული ლიტერატურა აღმოჩნდა ამ აბლაბუდაში იმდენად, რამდენადაც ჩვენი დრო ექოსავით ირეკლება მეოცე საუკუნის დასაწყისის გაყინულ კალთებზე, რომელსაც დაკარგული დროის საძებრად წასულმა მარსელ პრუსტმა შემადრწუნებლად მშვენიერი სახელი - დიადი უაზრობა, უწოდა.

ლოგიკურად, ამ მდგომარეობაში ნებისმიერი ჭკუადამაჯდარი რომანი დაფიქრდებოდა - რა ვქნა, ავჯანყდე და ყველაფერი შევცვალო ირგვლივ თუ საკუთარი თავში ჩავიხედო, გავიგო, რა მინდა მასში სინამდვილეში? ორთავე შემთხვევაში მას დანიშნულება დასჭირდებოდა, გულუბრყვილო ენთუზიაზმით რომელიმე

მწვერვალისკენ თითის გაშვება. პოსტმოდერ-
ნულად განწყობილი ქართული ლიტერატურა
კი არ ავლენს არავითარ მიდრეკილებას მისიე-
ბისკენ (ეს ცუდ ტონად ითვლება. ჭკუის დამ-
რიგებლურ მონოლოგებს თუ იგავენს მასხრად
იგდებს), არ გააჩნია განახლების მოთხოვნი-
ლება. წერის პროცესი მიჯაჭვულია თვითონ
სიტყვებზე, სიტყვები კი საკუთარ თავში არი-
ან ჩახლართულნი, რომლებიც არ საჭიროებენ
აზრის დახმარებას გარედან, რომ იყვნენ გა-
გებულნი. ტექსტის საზრისი სუბიექტური
მგრძნობელობის საზღვრის გადალახვას ვერ
ახერხებს. ყველაზე საინტერესო ლიტერატუ-
რული მოვლენა მისთვის თვითონ წერის პრო-
ცესია და ის, ვისაც კალამი უჭირავს, თითქმის
ისევე, როგორც პრუსტისთვის, ოღონდ თევ-
ზის მდგომარეობაში, როცა ჯერ კიდევ ვერ ხე-
დავ საკუთარი აკვარიუმისა და ოთახის სივ-
რცეს შორის გამავალ ზღვარს. შენი განცდე-
ბის წარმოქმნაში მინაზე მოარული ჩრდილე-
ბიც მონაწილეობენ. თამაშს კლასიკური მიზა-
ნი აქვს - იპოვო უცხო, მაგრამ ეს ისევე შენში
არსებული უცხოა, რომელსაც აძლევ შენგან
გამოსვლის, დამოუკიდებლად არსებობის უფ-
ლებას, რომ მისი თვალთ დაინახო საკუთარი
თავი. სხვაგვარად საკუთარი მდგომარეობის
ბოლომდე შეცნობა შეუძლებელია (პეგელი ამ-
ბობს, თვით უფალიც კი ვერ გახდა სრულყო-
ფილი ძის გარეშე). მაგრამ, ისევე პრუსტის
მხატვრული სახეები რომ გამოვიყენოთ, ამის-
თვის აუცილებელია ხედავდე (ამჩნევდე) აკვა-
რიუმს, რომელშიც იმყოფები და იმ ოთახის
სივრცეს შორის არსებულ ზღვარს, რომელშიც
აკვარიუმი დგას. ეს უნდა შეძლო, თუ საკუ-
თარ დასასრულს, საკუთარ ჰორიზონტს ვერ
ხედავ, თუ არ იცი, სად ხარ და სად მთავრდე-
ბი, საკუთარი თავიდან როგორ გამოხვალ?
დროის პოვნა ამ ზღვარის პოვნაცაა.

ეს პრობლემა აქვს ჩვენს ლიტერატურას
(ამაში მთელს ცნობიერებასაც შეიძლება ვგუ-
ლისხმობდე): საკუთარი თავი არ გვაქვს შემო-
საზღვრული იმ კულტურაში, რომელშიც ჩვენი
აკვარიუმი დგას, და რადგან ამ კულტურის
თვალთ ვერ ვუყურებთ საკუთარ თავს და გა-
უცხოების საფუძველზე ვერ ვახდენთ მასთან
საკუთარი თავის იდენტიფიცირებას, ამდენად,
ის ხდება სრულიად სხვა. მაგალითად, როცა
ცნობილი მწერლები ჩამოდიან ხოლმე საქარ-
თველოში, ისინი ჩვენიანებად გვესახებიან, სრუ-
ლებით არ არიან უცხოები, პირში მივჩერები-
ვართ, იქნებ თქვას ჩვენზე რამე კარგი, თავზე
ხელი დაგვისვას, რადგან ჩვენიანობა დაახლო-
ებით პატრონყმური სათნოების მსგავსი გრძნო-
ბაა. თუ სტუმრის სიტყვები არ მოგვეწონა, მა-
შინვე მორალისტურ-იზოლაციონისტური მე-

ქანიზმი გვერთვება და ის ხდება - სხვა. არ ვი-
ცი, სრულყოფილად ავხსენი თუ არა ეს მიმარ-
თება, მაგრამ იმის თქმა მინდა, რომ სინამდვი-
ლეში დასავლური კულტურის არანაირი ნაწი-
ლი ჩვენ არ ვართ, იმიტომ კი არა, რომ ამ კულ-
ტურასთან სასიცოცხლო კავშირის ისტორიულ
წანამძღვრებს ვეღარ ვხედავთ ჩვენში, არ გვაქვს
მისწრაფება ან სიყვარული, უბრალოდ, ვერ ვა-
ხერხებთ ამ კავშირის დამყარებას აქ და ახლა,
კავშირი ხომ არ არის ღვთისგან ნაბოძები მად-
ლი ან ბედის საჩუქარი, მის დამყარებას ძა-
ლისხმევა სჭირდება, როგორც სიცოცხლეს. შე-
დეგად კი ვიღებთ საკუთარ თავს როგორც პი-
რამიდას, ლაბირინთული ტიპის ნაგებობას, აკ-
ლდამას, რომელშიც ვართ ამოკეტილი, გარეთ
ვერ გამოვდივართ, მაგრამ შიგნით არაფერს
ვეძებთ, საკუთარ თავში არ ვეძებთ უცხოს,
ამის მაგივრად, ისე გვიჭირავს თავი, თითქოს
ცოცხლები ვართ, გარეთ ვიმყოფებით და მთელს
სამყაროს ვუმზერთ, მაგრამ, სინამდვილეში,
უკუნში გვიდგას ფეხი, ვერაფერს ვხედავთ,
ცხვირწინ რა გვიდევს, არ ვიცი. მინდა და-
გამშვიდოთ, რომ ეს არ არის ათენურ-გერმა-
ნული ლაბირინთი, გულგატეხილი ტიპი რომ
შედიხარ, იქედან კი მძლეთამძლე გმირი (ჰიტ-
ლერი) გამოდიხარ, რომელსაც ერთი ხელის
მოსმით მთელი გარემომცველი სამყაროს შეც-
ვლა შეუძლია. არა, აქ შედიხარ და სიკვდილამ-
დე შიგ რჩები, პატიოსნად, უსახელოდ (ასეთ
სამყაროში შესვლა ზუსტად სახელის დაკარ-
გვას ნიშნავს. შიგ არც მინოტავრია, რომლის
მოკვლასაც ძველად ზუსტად სახელის მოსახ-
ვეჭად ცდილობდნენ, და არც არიადნას ხელს
გპირდება ვინმე, იქედან გამოღწევის შემთხვე-
ვაში. მოკლედ, ზუსტად ისე, როგორც ჯოისის
ლაბირინთში - დუბლინში), ანუ, არანაირი ხეი-
რი არაა ასეთი ლიტერატურისგან, გარდა დაღ-
ლისა, მასში ვერაფერს პოულობ, არაფრის ახ-
სნა არ შეგიძლია და შენც, ვერაფერს მატებ
მას საკუთარი ძვლების გარდა...

და შიგნით, თვითონ ლაბირინთში რა ხდე-
ბა? არც არაფერი. სრული სიბნელე. აქა-იქ ჩი-
რადღნები ანათებენ, რომელსაც ქარი ათამა-
შებს. შუქი მოხატულ კედლებზე მოძრაობს,
რომლებზეც, შიგადაშიგ, ნახატების რაღაც
ფრაგმენტებს შეავლებ ხოლმე თვალს. შინა-
არსი, როგორც გლობალური დრო, როგორც
სამყაროს ერთიანი სურათი, მხოლოდ და მხო-
ლოდ ამ კედლებზე მიმოფანტული, წამიერად
გაელვებული, მხოლოდ სილუეტებში დანახუ-
ლი და მოგონებათა ასოციაციებად აღქმული
ფრაგმენტების ინტუიტიური დაკავშირებაა,
რასაც ბოლომდე ვერ ახერხებ, ვერ ასწრებ,
რადგან დრო სწრაფად გადის, სწაფად მოძრა-
ობ და რაც მთავარია, ხდება გამუდმებით ერ-

თი და იმავე გზის გავლა, დაუსრულებლად, მაგრამ, რადგანაც სურათის შეკვრას ვერ ახერხებ კედლებზე, ეს ერთი და იგივე ყოველთვის არის ახალი და შეუცნობელი. მკითხველიც იბნევა უიმედოდ და ძალაუვნებურად, იმ განათებული ოთახის პოვნის იმედს ებლაუჭება, სადაც ალაფურშეტისთვისაა სუფრა გაშლილი, რომ, რაც შეიძლება, დიდხანს გაძლოს, დარჩეს ცოცხალი (მოდერნისტული რომანების კითხვაც ზუსტად ლაბირინთში უსაზრისო, ძალიან დამღლევი ხეტილის, აუტანელი შიმშილის განცდას ტოვებს, სადაც გგონია, რომ ბოლო გვერდამდე სულს ვერ მიიტან, ცოცხალი ვერ გადარჩები). ამბავი კი ისე მთავრდება, რომ საკუთარ თავში ჩარჩენილ-ჩახლართულ ქართულ ლიტერატურას, რომელიც მხოლოდ საკუთარ თავს მოსწონს და სადაც ყველა მარტო თავის ნაწერს კითხულობს, ხელთ რჩება არა რომანი, არამედ ერთმანეთთან უნესრიგოდ დაკავშირებული კომიკურად მოწონუნე და პრობლემებზე მოცინარი პატარ-პატარა, საყვარელი სურათები, რომლებიც სტატიურობის ბრწყინვალე ფართხალებენ და ვერაფრით ერთიანი კონცეპტუალური სივრცის, იგივე დროის პოვნას ვერ ახერხებენ, ანუ, ვერ ახერხებენ პასუხი გასცენ საკვანძო კითხვას - სად ვარ? რა ხდება სინამდვილეში? როგორია დროის დაკარგვის გამო უსიცოცხლო საგნებისა და ადამიანების გარემოცვაში ყოფნა? და საერთოდ, რას ნიშნავს დროის დაკარგვა?

გავიმეოროთ, მაინც, ერთხმად: დაკარგულია დრო, რომელიც შენთვის იყო განკუთვნილი, მაგრამ, რატომღაც, ჩამოგერთვა. ჯერ კიდევ სუნთქავ, მაგრამ შენი დრო უკვე წასულია. ზურგიდან რეალობის ხმა გესმის - ეს სიკვდილია, და შეეცრად, დარჩენილ წუთებში ზუსტად იმას პოულობ, რაზეც აქამდე სიცოცხლეს ამბობდი. ერთ ნაბიჯში უსიტყვოდ იცანი. თვალი აგეხილა, ყველაფრის ენა გესმის გველის-მჭამელივით, ეს მდგომარეობა მოგწონს, გაცოცხლებს, რაც გაიძულე დაფიქრდე: რატომ არ გესმოდა საგნების აქამდე? რატომ ვერ ამჩნევდი მათ შენს ცხვირს? სად გაქრნენ ის მოვლენები, თოვლივით რომ ცვიოდა შენს ცხოვრებაში და საერთოდ, ხარ კი ის, ვინც ხარ სინამდვილეში? შენ ხომ ყოველთვის ის გინდა იყო, ვინც სინამდვილეში ხარ? მაშ, სად ხარ და საერთოდ, ხარ კი ცოცხალი? კანში ჩარჩენილი თითო-ოროლა მოვლენის შეკრებით, ნელ-ნელა, მოზაიკის დალაგებას იწყებ. ამდენად: ყველა დრო დაკარგულია, სადაც შენ არ ხარ ცოცხალი, მაგრამ სიცოცხლე არ არის თავისთავადი მოცემულობა, როგორც ვთქვი, მას ძალისხმევის დახარჯვა სჭირდება. ყველა არაა ცოცხალი, ვინც ჰაერს აფუჭებს. ცოცხალი მა-

შინ ხარ, როცა საკუთარი განცდების საზოგადოდ დეკლარირებული ვალდებულებისგან გამოცალკევებას და საკუთარი თავის იმ თვალუწვდენელი ქვაბიდან ამოყვანას ახერხებ, რომელშიც მთელ სამყაროსთან ერთად იხარშები. პარალელურად: მკვდარი ხარ, როცა არ იცი და არც დაეძებ, გიყვარს თუ არა სინამდვილეში; როცა ცხვირს რაც გიღვეს, ვერ ხედავ; ყურში ჩაგდახიან და არ გესმის; როცა იმედი გაქვს, რომ შენი პრობლემები, ადრე თუ გვიან, გადაწყდება, რადგან იმედი მაცოცხლებელი ძალისხმევის დახარჯვისათვის თავის არიდების საუკეთესო საშუალებაა. ერთი სიტყვით, იმედი სიცოცხლის გადადებას ნიშნავს.

თუმცა, რაც არ უნდა იგულისხმებოდეს დაკარგულ დროში, მთავარი მაინც მისი ძიებაა, ძაფის რთვა, რომელიც არასოდეს წყდება, არასოდეს თავდება, მაშინაც კი, როდესაც ცნობილია, რომ ეს ყველაფერი წყლის ნაყვია (არისტოტელური გაგებით). პრუსტს არ აინტერესებს არის თუ არა დაკარგული დროის პოვნა და ძიების დასრულება (ამბის მოყოლა) შესაძლებელი. არ აშფოთებს ფაქტი, რომ უკვე ნაპოვნი დროც კი, ნაპოვნი წამი მუჭში წყალივით არასოდეს უჩერდება, ვერავითარ ნაკლს ვერ ხედავს ამ უსაზრისობაში, ეს მისთვის დიადი უაზრობაა, რადგან ძიება უკვე არის მისი ეგზისტენციური მდგომარეობა, რაც უკვე ნაპოვნიც აქვს, როგორც უძვირფასესი განცდა, როგორც ჩაიში ჩამბალი ნამცხვრის გემო. ენის წვერზე აქვს ეს გემო, ეს ყოფიერება. ვიცი, სწორ დროში მოხვედრილი და პოსტმოდერნულ ხიბლში ჩავარდნილი დიდი ქართული ლიტერატურის შვილები ახლა ჩუმად ფხუკუნებენ სიტყვებზე - ძიება, სიცოცხლე... არადა, ზუსტად ძიებაში შესვლა ნიშნავს დღეს მათთვის ასე მოდური სიტყვის - ლაბირინთის შენების დაწყებას. რას ეძებს დაკარგული დროის სახით პრუსტის რომანის გმირი? ის ეძებს რომანის დასაწყისს. დასაწყისის პოვნამდე ვერ ხერხდება სილუეტებში სახელების გამოკვეთა, რადგან ვერ არჩევს რეალობისა და ილუზიის საზღვარს. არ იცის, მისკენ მოშვერილ საბედისწერო, თვალისმომჭრელ სინათლეში ძლივ-ძლივობით დანახული თითო-ოროლა საგნის გაელვება უფრო ძვირფასია მისთვის თუ წარსულის ნამსხვრევების შეკრება და მათგან რაღაც ამბის გამოყვანა. ამიტომ არანაირ სახელთან და დასკვნასთან არ ჩერდება, ეძებს საგნებს და ემოციებს, სურვილებს და ნილებს. ეძებს და ამ ლაბირინთში იკარგება, ქრება, ძიება გრძელდება, ახლა უკვე თვითონ ძიება ეძებს საკუთარ თავს. ზუსტად ძიება ხდება რომანის (სიცოცხლის) დასაწყისიც - დიადი უაზრობა,

რასაც ის რომანის ბოლოში ხვდება. ანუ როცა დასაწყისის პოულობს, რომანი მთავრდება, დრო სრულდება. ამბავი გაქვავებულია რაღაც საზრისში. თვითონ წიგნის ბედიც ამ ლაბირინთში აღმოჩნდა, რომლის დასასრულიც თითქმის დასაწყისთან ერთად დაიწერა. თითზე ჩამოსათვლელი დღეების ამარა დარჩენილმა პრუსტმა ისიც კი არ იცოდა, თუ მწერალი იყო, ერთხელ პატარა ესსეს წერა დაიწყო, რომელიც, მოულოდნელად, დაუსრულებელ რომანში გადაეზარდა. შეეშინდა, რომ წერტილს ვერ იხილავდა, საჩქაროდ დაწერა დასასრული და შემდეგ გააგრძელა წერა, რის შემდეგაც იწყება ძიება იმისა, რაც უკვე დასრულებულია, რაც დაწერილია. საბოლოოდ, მანაც დასრულებულ დროზე აღმართა თავისი სიცოცხლე, რომელიც ზუსტად მაშინ იპოვა, როცა დაკარგა.

კი, ბატონო, ლაბირინთიდან ისმის პრუსტის ჩურჩულიც და ჩვენი პარიჰარალოც, მაგრამ ახლა გეტყვით რაშია განსხვავება. პრუსტისთვის ლაბირინთი არ არის რეალური შენობა, კრეტის კლდეებზე შეხიზნული მეტაფიზიკური მომავლის მსგავსი სავაჭრო ობიექტი. დედალოსიც მასში დატყვევებული ხელოვანია. ლაბირინთი თანდათან შენდება მის ხელში, შემოაშენდება ტანზე. ამ სულიერ აქტში მონაწილე თითოეული მისი სიტყვა აგურია, რომლითაც ლაბირინთის კედლები ამოჰყავს მასში მოფუსფუსე დედალოსს. ანუ, ის და რეალობა ერთია, სამყარო იქმნება მის ნაბიჯებში, თითოეული მისი სიტყვა ქმნადია. ასე იწერება რომანი - დაკარგული დროის ძიებაში, რასაც ღრმა კულტურული საფუძველი გააჩნია იმ პრესტორიაში, რომელსაც ჩვენ ზუსტად სილუეტებით და მინაში ნაპოვნი რამდენიმე საგნის უსასრულო სივრცეში განფენით აღვიქვამთ და ძირითადად ეს სწორედ ამბის თხრობასთანაა დაკავშირებული.

ცნობილია, რომ ბიბლიურ იგავებში ამბები არ იცვლებიან, არც პლატონის შემდგომ ისტორიაში, ყველანი ისინი ჭეშმარიტებაზე არიან ორიენტირებულნი, ინტერპრეტირებაც კი არ ნიშნავს ამბის ცვლილებას, იმ პერიოდის ბერძენისთვის კი, როცა კეფალეს მწევარი დაედევნა ტევმესიის მელიას (ამ დროისთვის ჰეფესტო ჯერ კიდევ ხელოვნების ღმერთია, რადგან ხელოსნობა და ხელოვნება არ არის გამიჯნული), ამბავი და ცხოვრება ერთია, ამიტომ რამდენადაც ძალაუფლების ან მართვის საკითხთან (ღმერთთან) დაკავშირებული მოვლენები სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა პირობებში და სხვადასხვა ადამიანების ხელში განსხვავებულად ვითარდება, ხდება ერთი და იმავე ამბის სხვადასხვანაირად მოყოლა, რომლებსაც ერთი და იგივე პერსონაჟები ჰყავს. ეს პერ-

სონაჟები გამოხატავენ იმ ასევე გაუმიჯნავ საზოგადოებრივ-ბუნებრივ ძალებს, რომლებთანაც ბერძნებს ყოველდღიურად უხდებოდათ შეხება. აქ ამბავი და ადამიანი (ცხოვრება - ან-მყო, წარსული და მომავალი) ერთად მოდიან, ზუსტად ისე, როგორც პრუსტი ქმნის წერისას ლაბირინთს, სადაც არის არა ამბის ინტერპრეტაციები, არამედ კორექციები შინაგან აქტში. ძველბერძნული ამბავი გზას კი არ აჩვენებს, წარსულის მაგალითების გამოყენებით, არამედ საკუთარ თავს, საკუთარ ყოფიერებას (მინდა ვთქვა, რომ ჩვენს დროში ამბის კორექტირების ცალსახად პოსტმოდერნულ აქტს მნიშვნელობათა დეფინიცია აღარ მიაჩნია ესთეტიურ მოვლენად, ამბის ხელთავედან თხზვა ხელოვნების წმინდა სფეროში მიმდინარეობს, განსხვავებით მნიშვნელობებთან თამაშისა, რომელიც ინტელექტუალური, ფილოსოფიური მოვლენაა).

ცხოვრებაზე ასე გადაჯაჭვულ ამბავში, არ არის ერთი პერსონაჟის დომინაცია, მაგალითად, ბიბლიური იგავების მსგავსად. ერთის მხრივ, პოლისური დაშლილობა და მეორეს მხრივ, მათი მჭიდრო კულტურული კავშირი განაპირობებს ამბების დიფერენცირებას. ერთი ამბის მთავარი გმირი, მეორე ამბავში (ან სხვაგან მოყოლილ იმავე ამბავში) მხოლოდ დეკორაცია ან დამხმარე პერსონაჟია, ამიტომ ერთადერთ, სათავგადასავლო ჟანრზე აგებულ მითებში, სიუჟეტები ერთმანეთზე არიან გადახლართულნი და არასოდეს სრულდებიან. ამბები გამუდმებით გადადიან სხვა ამბებში. საკმარისია მოყვე ერთი, რომ ჯაჭვური რეაქციით მთელი მითოლოგიური სიღრმის ზედაპირზე ამოფრქვევა ხდება. ზუსტად ყოფიერებაზე მიჯაჭვულობის გამო, მოვლენები, გარდა პროპაგანდისტული ინტერესისა, წმინდა ადამიანური ემოციების მიხედვით ჩნდებიან (და ქრებიან კიდევ, როგორც ცაზე ვარსკვლავები), ისინი გამოხატავენ სასიცოცხლო დამოკიდებულებას მათ თავს გადახდენილ ამბებზე, მათი პირამიდაც, მარადიული განსასვენებელი, მათივე ამბებია. ასე რომ, მითოლოგია ინტერნეტის მსგავსი ისეთი საზოგადოებრივი სივრცეა, სადაც ხალხის ნებისმიერი სახის განცდა ფიქსირდება. აქ იყრიან თავს უბრალოდ ანეკდოტები, უსერიოზულები თეოლოგიური შეხედულებებით განმსჭვალული რელიგიური გრძნობები და ნამდვილი ათეისტური (ვოლტერიანული) გესლით წამოსროლილი კომენტარები. მაგალითად, ტევმესიის მელიას და კეფალეს მწევარს ერთმანეთთან არანაირი საერთო არ ჰქონდათ, ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ამბებში გაჩნდნენ, მაგრამ ერთხელ ცხოვრებაზე განაწყენებულ-

მა ერთმა ენაკვიმატმა კაცმა გადანყვიტა და-
ეცინა ღმერთებისთვის და მოეწყო ისე, რომ
კეფალეს მწევარი დადევნებოდა ტევმესიის
მელისას...

ასეთი წესით შეთხზული ამბის შინაგან
სტრუქტურაში დროსთან მიმართებაში მყოფი
წესრიგისა და ჭეშმარიტების საკითხები სრუ-
ლიად შემთხვევით გარემოებებზე ხდებიან და-
მოკიდებულნი, რის შედეგადაც ხდება ლაბი-
რინთული ყოფიერების დაფუძნება იმდენად,
რამდენადაც სამყაროს ნაბიჯ-ნაბიჯ გაცნობა
მისი ხელთავედან შექმნის გარეშე არ ხერხდე-
ბა, შექმნა კი ლაბირინთში შებიჯებას, ანუ იმის
მსგავსი დილემებიდან გამოსავლის ძებნას გუ-
ლისხმობს, ზევსი რომ შეეჯახა ბეოტიაში. გზა-
ში უამრავი წინააღმდეგობა გხვდება. არასო-
დეს იცი, საით ნახვიდე. ეს ის მომენტი, როდეს-
აც საკუთარი თავის იმიტაცია ხდება და ეძებ
შენს ნამდვილ ემოციებს, ფიქრებს, ადგილს,
დროს; რაღაცას აქვავებ, რადგან გინდა, ყვე-
ლაფერი დაიწყო თავიდან. კანონმა ზევსი სა-
კუთარი შესაძლებლობის იმიტირებული სახე
გახადა (კანონი ხომ უპირველესად საკუთარი
შესაძლებლობის საჭირო მოქმედებებით შემო-
საზღვრა?), ჭეშმარიტების მფლობელი შემ-
თხვევითობათა სამყაროს მბრძანებლად აქცია,
სადაც ის ვერასოდეს იქნება ყოვლისშემძლე,
ამბავს ბოლომდე ველარასოდეს გააკონტრო-
ლებს. ამიტომაც არის, რომ მან იესოსგან გან-
სხვავებით, არ იცის რა მოხდება ბოლოს, მის
წესრიგს არ აქვს დასასრული, არ აქვს მეორედ
მოსვლა, რადგან ეს ყველაფერი უკვე დასაწყის-
ში დასრულდა. ანუ: ბერძნული კულტურა, პრუს-
ტის რომანის მსგავსად, არ არის მოვლენათა
დიალექტიკური საფუძვლების მფლობელი. მოვ-
ლენები წრფეზე არ მოძრაობენ ერთმანეთის
მიყოლებით. მითების თხზვის პროცესი აქ არა-
სოდეს დასრულდება, ვიდრე იარსებებს ზევ-
სის ძალაუფლება და ეს დასრულებულობა მი-
სი შინაარსის განუყოფელია, აქ წესრიგი ქაო-
ტურია (სწორედ ქაოსია ღვთაებრივი წესრიგი),
ლაბირინთია მისი არსებობის ადგილი.


ერთი სიტყვით, ლაბირინთი ქმნადი მოვლენ-
აა, შემოქმედებითი პროცესის ამსახველი მე-
ტაფორაა და ის ცხოვრებისა და ადამიანის ორ-
განულ კავშირს გამოხატავს (ადამიანთან ლი-
ტერატურის კავშირში მხოლოდ სოციალური
მდგომარეობის სწორ აღქმას კი არ ვგულის-
ხმობ, არამედ თვითონ ადამიანსაც, რომელსაც
უჭირს ან ულხინს. ლიტერატურულ კავშირში
ორთავე თანაბრადმნიშვნელოვანი მოვლენაა),
ჩვენი ლიტერატურისთვის კი, რომელიც ქედ-
მაღლურად უყურებს სიტყვა - ძიებას, ამბების
მოყოლით ერთობა და ყველაფერზე ხითხითებს,
მხოლოდ სიტყვებს ეკეკლუცება, ლაბირინთი

ძალიან რეალური, მსოფლიო პროცესების მი-
ერ აშენებული მდგომარეობაა. ჩვენ იმ სამყა-
როში ვიმყოფებით, რომელიც აშენებულია
უცხოელი, ძალიან დიდი ხნის წინ მკვდარი ვინ-
მე დედალოსის მიერ (ანუ, სხვის შემოქმედე-
ბით პროცესში ვართ). ჩვენი ხელი არასოდეს
შეხება ამ შენობის კედლებს, შესაბამისად,
სრულყოფილი (ცოცხლების) შემოქმედება ჩვენ-
თვის მიუწვდომელია (გამოსვლაშიც უფლის
სიტყვები - მე ვარ ცოცხალი, ნიშნავს - მე ვაკე-
თებ ამას ყველაფერს; ეს ყველაფერი, რაც ხდე-
ბა, მე ჩავიდინე). დაკარგვით ნაპოვნი დრო ჩვენ-
თვის გახდა არა ტენდენცია ან სტილი, არამედ
- პარადოქსი: სხვანაირები ვართ, მაგრამ არ ვი-
ცით, რისგან განვსხვავდებით. დედანი არ გვაქვს
ნანახი. დედნის მხილველი მხოლოდ მისი შემ-
ქმნელია, რადგან ის მხოლოდ ქმნის პროცესში
ხდება ხილული. ჩვენ კი მხოლოდ მომხმარებ-
ლებად ვვარგევართ. იმიტაციები ვართ ზევსის
მსგავსად, მაგრამ არა საკუთარი თავის, არა
საკუთარი კანონის ძალით. ჩვენ არ შეგვიქმნია
საკუთარი თავი. ხოლო, რადგან ჩვენი ყოფიე-
რების დედანი ჩვენთვის სრულიად უცხო თეს-
ლზე ამოსული ხის ფულუროში ინახება, კი არ
ვაკეთებთ რაიმეს, თავს ვაჩვენებთ, თითქოს
ვაკეთებთ; გამუდმებით სიმართლეზე ვლაპა-
რაობთ (ეს აუცილებელია დღეს, ტრენდია),
მაგრამ დაჩაგრულის დასაცავად თითქაც არ
ვანძრევთ; ინტერნეტის ეპოქაში ვცხოვრობთ
და ვიკიპედია არ გაგვაჩნია. ხოლო ასლი რომ
არასოდეს ემთხვევა დედანს, ამის განცდა მუ-
დამ თან გვდევს. ილუზიაშიც კი არ ვვარდე-
ბით, რომ მცდარ გზას მაინც დავადგეთ. გაქვა-
ვებულები ვართ...

და რა, ეს დასასრულია? მხოლოდ იმის გა-
მო, რომ ლაბირინთი ჩვენ არ შეგვიქმნია? ზევ-
სიც ხომ სხვის მიერ შექმნილ სამყაროში მბრძა-
ნებლობს? რატომ ვართ განწირულები, ვიდგეთ
ასე, მდინარის სხვადასხვა ნაპირზე, და ვიქნი-
ოთ მუშტები? რატომ არ შეგვიძლია გადავლა-
ხოთ მდინარე, ავაგოთ ხიდი და ნამდვილი მუშ-
ტი-კრივი გავუმართოთ ერთმანეთს? ნუთუ, ჩვე-
ნი ლიტერატურა მართლაც ჰაერით გაბერილი
ტყავია, რომელიც მხოლოდ გარედან შეხებებ-
ზე რეაგირებს და ამ მდგომარეობაში დარჩება
იქამდე, ვიდრე კიდევ არ მოვარდება უცხო მდი-
ნარე და ახალ მოდას არ დააფუძნებს, ჩვენთვის
ასევე გაუგებარს და არაორგანულს. ყველაფე-
რი დაიწყება თავიდან, ახალი ტენდენციების შე-
სახებ შევავროვებთ ამომწურავს, თუმცა, მა-
ინც ზედაპირულ ცნობებს, შევკრებთ ინფორ-
მაციას, რომ ერთმანეთზე მანიპულირება და
ერთმანეთთან დაპირისპირების იმიტირება შეე-
ძლოთ? და თუ ასე არ არის, როგორ მოვახერ-
ხოთ ქვიდან გამოდგრომა და ამოძრავება?!

ნანა ტრაპაიძე

ჩიხი და ილუზია



ეპიგრაფის ნაცვლად

ნამდვილი აზრი საკუთარ თავს წინასწარ არასოდეს იცნობს. თუ იცნობს, ეს მას ხელახალი აღმოჩენის ვალდებულებისაგან არ ათავისუფლებს. აზრის წამოწევისთვის ეპიგრაფს მეშველი ფუნქცია შეიძლება ჰქონდეს. მაგრამ მისი კომპოზიცია ფაქიზი რამაა. იგი რისკია გამჭვირვალობისა და ბუნდოვნების წინაშე. ლიტერატურას არც ერთი უყვარს, არც - მეორე. ლიტერატურა არც ორატორულ ვულგარიზმს ინდობს, ეპიგრაფს რომ შეუძლია გამოხატოს.

მიუხედავად იმისა, რომ ეპიგრაფისკენ, ამ ავტორიტეტული სტარტისკენ მიმავალი, თუ მომავალი ყველა გზა წინდანი მოვჭერი (მართლაც ასე ჩავიფიქრე არა მხოლოდ აღნიშნული მიზეზის გამო), შემთხვევითობის წყალობით, კითხვის კონტექსტების დინამიკაში, ალბათ, მანამ ვერ შემჩნეულმა, ნიკსეს ერთმა წინადადებას მიიქცია ჩემი ყურადღება: „ჩვენი უდიდესი დანახარჯები ყველაზე ხშირად უმცირესი დანახარჯებია.“

მიუხედავად სხვა აღთქმისა და ამჟამინდელი რწმენისა, თან ეპიგრაფების მიმართ ჩემი გამოცდილებითი პიეტეტისა, ამ ფსევდორიტორიკულ წანამძღვარს Ecce Homo-ს ფრაზის მცირეოდენი, ვიტყვოდი, ფრთიანი მოდელირებით დავინყებ: იცოდეთ, „ჩვენი უდიდესი დანახარჯები ყველაზე ხშირად უმცირესი დანახარჯებია.“

არააუცილებელი შესავალი

რადგან ეს წერილი მკითხველისთვისაა, მათთვის, ვინც თვალს ადევნებს მოსაზრებებსა და შეფასებებს იმის შესახებ, ვინ რა დანერა და როგორ, ელოდება კრიტიკულ აზრს და თან, ალბათ, ჩაძიებით აკვირდება მსჯელობის ბუნებას, ამ განმარტების არააუცილებლობის იმედის მიუხედავად, მაინც ვიტყვი, რომ ჩემი მიზანი არასოდეს ყოფილა ლიტერატურის შესახებ შეფასებითი რეზონანსი, რომელიც ანალიზს გა-

უსწრებდა წინ. არც ისეთი ლირიკული საქმიანობისთვის მიმიმართავს ძალისხმევა, როგორც შორისდებულების სინტაქსია. ყოველთვის მაინტერესებდა ლიტერატურული ნაწარმოები, როგორც ადამიანური გამოცდილების ცოცხალი შედეგი, მისი ყოფნის წესი და ხასიათი, გამოცდილების, აზრის, ფიქრის და სიტყვის ის ნასკვი, რომელიც გარდაუვალს ხდის მის არსებობას სიტყვიერების იმ უჭრელეს ლანდშაფტში, რომელშიც თითქოს უკვე არაფერს არაფერი აკლია და არაფრის შემატებას აღარ საჭიროებს. ასეთი ინტერესის გამო, უბრალოდ, გემოვნების კარნახით ვერ ვიმოქმედებდი და, ამიტომაც, დადებითი და უარყოფითი კრიტიკის კლიშეებს ამ მარტივი მიზეზითაც ავცდი. არ მგონია, მოწონება/დანუების პერსონალური რეჟიმი კრიტიკულ გამლიზიანებლად საკმარისი იყოს. კრიტიკის ბუნება უფრო რთულია და იგი კარგისა და ცუდის, სულაც, სიკეთისა და ბოროტების მიღმა, ანდა - სიკეთისა და ბოროტების ველში, რა თქმა უნდა, მორალის გარეშე აზრით.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ დროში, რომელშიც არაფრის არსებობა არ არის აუცილებლობით გარანტირებული, ყველაფერს უნევს საკუთარი აუცილებლობა თუ არა, არსებობის ფაქტი მაინც დაამოწმოს. ასეა კრიტიკაც. სხვა სიტყვებით რომ ვთქვა, მთელი ეს მსჯელობა კრიზისული მსჯელობაა საგნის შესახებ, რომელსაც ისტორიული კონტექსტი შეეცვალა: ლიტერატურა კონტენცტია, რომელსაც აქვს სერვისფუნქცია, მიგვითითოს სოციალურსა და ესთეტიკურზე და, იქვე, გამოხატოს მათ შორის არსებული, მაგრამ სულ უფრო და უფრო უპრინციპო კავშირი. ლიტერატურის ესთეტიკური გამოცდილება თითქმის კომუნიკაციურ ტრანსფერად იქცა, რომელმაც იმ ერთობისთვის უნდა იმუშაოს, რომლისთვისაც „დაღვრილი სისხლი წყალში დაღვრილი სისხლია.“

სტაბილური ესთეტიკური კოლაბორაცია, რომელიც კრიტიკოსს ანალიზისა და შეფასების აპრიორულ პოზიციას მისცემს, აღარ არსებობს. ლიტერატურულ

ქმნილებას წინ არ უსწრებს ლიტერატურული პრინციპი, რაიმე გლობალური პარადიგმა, რომელიც მის ესთეტიკურ მიმოხრას მართავს. ასეთი „პრინციპი“ თვითონ ადამიანია. ლიტერატურა, როგორც არასდროს, ისე მიება ადამიანს, იგი მისი პირადი საქმე გახდა, შეიძლება პიროვნების (პირადობის?) დამადასტურებელი დოკუმენტიც კი. და როგორც ნებისმიერი დოკუმენტი, იგი შეიძლება იყოს ნამდვილი ან ყალბი; ლიტერატურული სამართალი არც მათ თანხვედრას კრძალავს.

კრიტიკის საქმე ისაა, აღნიშნოს, რომ ლიტერატურული სინამდვილე (თუ სიმართლე), მარტივად, არც ყალბია, არც ნამდვილი. ის ან მკვდარია, ან - ცოცხალი; მაგრამ სამომავლო რეალობაში არავინ იცის, რა ჩაიდგამს სულს და რას შეიძლება ამოხდეს იგი. ასე რომ, განაჩენი არ არის კრიტიკის საქმე, ისევე როგორც ლიტერატურისა - ბრალდება, რომლისთვისაც არსებობს სასამართლოები და კიდეც, მეგობართა ვინაობა, ცნობისმოყვარე წრე.

მისთვის არ ვწერ, რომ...

რა განსხვავებაა თხრობასა და ამბავს შორის? რა განსხვავებას ლიტერატურას ცხოვრებისაგან, როცა ისინი ტავტოლოგიურია, როცა ლიტერატურა მოვლენების ემპირიული წესრიგიდან არა მხოლოდ არაფერს ცვლის, არამედ „უბრალო“ კონსტატაციაა, რომელიც არც მსგავსებაზე მითითებას გულისხმობს, არც განსხვავებაზე. რეალიზმის ბუნება ასეთი არ არის; იგი არა გამეორებას, არამედ ხაზგასმას გულისხმობს, იდენტურობის მოწვევებითობას წარმოსახვისა და სინამდვილის უტრირებულ იგივეობაში. რეალიზმის მეტაფიზიკა სინამდვილის ფაქტოლოგიურ მათემატიკას არ უდრის. იმის თქმა მინდა, რომ თუ სიმართლე რეპრეზენტაციული ნიღბის, - ფიქციის შინაგან უნარს დაკარგავს, რას კარგავს ის ამით? მოსალოდნელი ხომ არ არის, რომ ეს დანაკარგი, უფრო ზუსტად, ეს უარი, - მოიშოროს მხატვრობის ისტორიული კარმა, დაკავშირებული წარმოსახვასთან, კერძო ისტორიოგრაფიად იქცეს? თუ ასეა, რამდენად შეუძლია ასეთ შედეგს საგანსა და სიტყვას, ამბავსა და თხრობას შორის ონტოლოგიური პრივილეგიის დილემა დაძლიოს, ან ღირსეულად აიცილოს თავიდან?

ბიპევიორისტული მიდგომა ესთეტიკური ველისთვის შეუსაბამოა, აქ არც ფსიქოლოგიზმია რელევანტური. ამიტომაც მხედველობაში მაქვს შეკითხვის პერსპექტივა: რეალიზმი, რომელიც ამბის დამოწმების კულტურული ჟესტი არ არის (რადგან ჟესტი დისტანციას გულისხმობს, აქ კი ეს არ იგულისხმება), განაჩენი ხომ არ არის თავად ამბისთვის, რადგან მას არა აქვს მხატვრული ინტენცია, რომელიც მის ნამდვილობას ჯერ მიუთითებს და მერე გააფორმებს? თუ ეს ასეა, მაშინ ლიტერატურა ამბების სულიერი მოკვლის იარაღია! ვინ არის მწერალი - ვინც ყვება, თუ ვინც თხზავს? შეიძლება, „მოყოლა“ სიმართლის წინაშე უკომპრომისობის უხეშ ჟესტად განვიხილოთ? გულისხმობს ლიტერატურა ასეთ ჟესტს?

რა თქმა უნდა, გამოხატვის თავისუფლებას საკუთარი თავის იქეთ პირობა არა აქვს. მას აქვს უფლება, ამ თვალსაზრისით, სრულიად თვითკმარი იყოს, მაგრამ ეს ვერ ცვლის იმას, რომ კულტურულ ინვერსიებს (სიკვდილ-სიცოცხლის, ბედნიერება-უბედურების, ტყუილ-მართლის აღარ-დიქტომიებში) მკითხველი (და

არა მკითხველები) ახლაც მოელის. მოელის, იმიტომ, რომ ასეთი ინვერსია არა უბრალოდ ჰაერია, ვაკუუმში სუნთქვას რომ შესაძლებელს ხდის, არამედ იმიტომ, რომ სიმართლეა. ლიტერატურულობა, არსებითად, ამ კულტურულ ინვერსიას ნიშნავს, ეს არის მისი ესთეტიკაც და მისი გონიც. როცა ის ამ თამაშებრივ ასპექტს კარგავს, იგი თავისთავად იქცევა ანონიმურ თუ აბსტრაქტულ შურისძიებად, რომელიც ზედმეტად მართალია საიმისოდ, რომ ლიტერატურა იყოს. ლიტერატურა ტყუილის ხელოვნებაა; სიმართლე, რომელიც ვერ ქმნის თავის ცრუ ორეულს, ვერ შექმნის ლიტერატურას. ამიტომ იგი ერთადერთი კულტურული სფეროა, რომელშიც სიმართლის ხმა ტყუილს ეკუთვნის. თუ ლიტერატურა არ მატყუებს, ესე იგი, ის ვერ მისწვდომია სიმართლის ჭერს, თუმცა ფსკერს ბოლომდე იცნობს და ლიტერატურული სიცარიელის სიმძიმის ძალაც წინდანინ გამოთვლილი აქვს. ასეთი ლიტერატურა ცალთვალია, იგი მხოლოდ იმიტომ იხუჭება, რომ კარგად დაუმიზნოს. ლიტერატურას კი სამიზნე არა ჰყავს. უფრო ზუსტად, მისი სამიზნე, თუ შეიძლება ითქვას, ანტიკონკრეტულია. ის ძალიან ინფანტილურია საამისოდ, რომ მხოლოდ ერთს უმზიროს დაჟინებით. სხვანაირად იგი ნაკლებია, ვიდრე ლიტერატურა, ან სხვა - ვიდრე ლიტერატურა; ჟურნალისტიკაა, ან ინტელექტუალური წერა ეთნოგრაფიულ ინტერიერში.

ყოველი რაციონალური იმპულსი, რომლისგანაც წერა შედგება, ამ რისკს გულისხმობს, - იყოს ან არ იყოს ლიტერატურა; ანუ: იყოს ლიტერატურა ან ლიტერატურული ისტორიოგრაფია, თუ ეთნოგრაფია.

მიუხედავად განსხვავებისა, მათ შორის უპირატესობითი სხვაობა არ არის. ლიტერატურული ეთნოგრაფია, თუ ის საკმაოდ პედანტურია და პატიოსანია, საქმიანობის სფეროდან ღვანლის სფეროში გადადის, რადგან ცოტა რამ არის იმაზე რთული, ვიდრე გადმოსცე საგნები თავიანთ ბუნებრივ მდებარეობაში და ამით მათ უნესრიგობასა თუ სიმახინჯეზე პასუხისმგებლობა გაინანილო. მაშინ, როცა „უბრალოდ“ ლიტერატურა მეტ არსენალს ხარჯავს იმისთვის, რომ იყოს უხამსი, პირდაპირი, დაუნდობელი. ამ უფლებას იგი იმ სევდისგან იღებს, რომელსაც სილამაზისადმი, ამ უცნაური „ჯერარსისადმი“ სევდას დაჟვარქმევდი. ლიტერატურული ისტორიოგრაფია დარდია და ფიქრი; ლიტერატურა - სევდა და ოცნება. ბედნიერება სევდის და ოცნების ნაბიჯებით დადის; ლიტერატურა ამ უხილავი ნაბიჯების ბაძვას. ლიტერატურული ისტორიოგრაფია - ხილული კვალის ხელოვნება. ის ტრაგედიის, ჭრილობების, ბზარების, უფსკრულების მემკვიდრეა, მათი შერლოკ ჰოლმსი.

მაგრამ ლიტერატურული მარადისობა, თუ კი ის არსებობს, იმ აჩრდილებშია, რომლებიც საგნებს დაბადებამდე გამოეყვანენ, მწერალი - ვინც აჩრდილებს დასდევს.

ვინ წერს? ვინ ლაპარაკობს?

ავტორი რომანისა „ქარის გამორჩევა“, რომლის შესახებაც ეს წერილი დაიწერა, ნოდარ ლაღარიძეა. იგი საზოგადოებისთვის ცნობილია, როგორც საჯარო ინტელექტუალი და კულტურის დაუნდობელი კრიტიკოსი. მისი დებიუტი რუსულ ენაზე შედგა მოთხრობით - „დედაბერი“, რომელიც სოხუმში გამოქვეყნდა, ლიტერატურულ ალმანახში „ერცახუ“ (1982). მერე იყო

მრავალი დაუმთავრებელი ცდა. მერე თარგმანები იტალიურიდან. 2008 წელს იტალიური კულტურის გავრცელებისთვის მიიღო იტალიის სახელმწიფო პრემია. მის მიერ არის თარგმნილი ფრანკესკო პეტრარკას სონეტები (გამოქვეყნდა კრებულში „პოლილოგი“), პირანდელოს რომანი „არადანი“ და ნოველები, ასევე დ'ანუნიოს ნოველები, ტომაზი დი ლამპედუზას რომანი „ლეოპარდი“, კარლო კოლოდის „პინოკიოს თავგადასავალი“, სოროკინის რომანი „ოპრიჩნიკის დღე“. ცნობილია, მისი თხუთმეტწლიანი საქმიანობა გაზეთ „24 საათში“ ყოველკვირეული სვეტის ავტორად. აქ გაიცნო ის ფართო საზოგადოებამ, როგორც ეროვნული კულტურის დაუღალავი კრიტიკოსი.

ფიქრობ, ნოდარ ლაღარიასთვის ლიტერატურა ამ გზის არაპირდაპირი გაგრძელებაა - გაზეთის ვინაობა სვეტიდან რომანის ფართო სივრცეებისკენ. ყველა სხვა კულტურულ-შემოქმედებითი ინტერესი, მათ შორის მისი აკადემიური საქმიანობაც, შესაძლებელია ამ სივრცეებს შორის თავსდებოდეს. გამოცდილებათა ამ (არა მხოლოდ სიმბოლური) ნიშნულების განსხვავებულობის გამო, არ არის გასაკვირი, რომ ეს გაგრძელება მოულოდნელი ყოფილიყო საზოგადოებისთვის, რომელიც მისგან ყველაფერს მოელოდა, რომანის გარდა.

წერის უფლებას გამოცდილება არ იძლევა, ასეთი უფლება და გამოცდილება სულიერი განწყობილებების სტრუქტურაც შეიძლება იყოს და მას დათქმული დრო და ასაკი არა აქვს.

მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც მოულოდნელი იყო, რომ ეს რაციონალური ინტელექტუალი, ფიზიკოსი და თეოლოგიის დოქტორი, ხელოვნების, ასევე რაციონალური თვალსაზრისით არასანდო, ორაზროვან ბუნებას მიენდო და გადაწყვიტა, დაენერა რომანი.

მართალია, წერას სანქცია არ სჭირდება; არც კურთხევა; შეიძლება, არ სჭირდება არც მოწოდება; არც მადლის საქმეა, იქნებ; მაგრამ რაც ის აქ, ამ შემთხვევაში არის, ალბათ, ესაა, ერთ მდინარეში მეორედ ვერ შესვლის განცდის პარადოქსული მოთხოვნილება. პარადოქსული, რადგან ფსკერზე მყოფისთვის „მეორე მდინარე“ არ არსებობს. ყოველი ადამიანი საკუთარი მდინარის ფსკერზეა და მეორედ შესვლა იქ, სადაც ხარ, შეუძლებელია.

ამ რომანის გმირები საკუთარი და, ამასთან, ჩვენი საერთო კულტურული მდინარის ფსკერზე ცხოვრობენ. უფრო სწორად, სიყვარულის ძალა რომანის მთავარ გმირს, ევდემონს, წაიყვანს ურთიერთობის იმ უხილავი ძირისა და კედლებისაკენ, რომელსაც ჩვენ არ ვაგებთ და რომლებიც მემკვიდრულად გადმოგვცემს, როგორც ჩვენი სულიერი ცხოვრებისა და ადამიანური იმედების პირობები. იმისთვის, რომ ეს პირობები შეაფასო, მისგან უნდა გამოხვიდე. ეს რომანი ამბავია ორი სხვადასხვა მოძრაობის შეუთავსებლობის შესახებ. ერთი (კაცი), რომელიც გარედან ხედავს, ბოლომდე ნებდება ამ პირობებში გამოკეტილ უთვალსაწიერობას და მოცემულობაზე სრული დანებებით პასუხისმგებლობას მთლიანად ნამემკვიდრე პირობებს ჰკიდებს. არ ფიქრობ, რომ ეს ვერაგული ჩანაფიქრია. ეს ბრმა, იქნებ ალალი ოპტიმიზმია, რომელიც მხოლოდ შეყვარებულს აქვს. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ვერც სიყვარული აღმოჩნდა საკმარისად ბრმა. ადამიანური გამოცდილება ესაა, საკუთარი თავის არასაკმარისობის უხერხული და მტანჯველი

მოულოდნელობა (იქნებ, არც მოულოდნელობა). ირგვლივ ყველაფერი ჭარბია, მხოლოდ ადამიანია ცოტა. თუ რამ პერსპექტივა ამ რომანს და, ამ რომანის სიმბოლოთი, ჩვენს რეალობას არა აქვს, ეს არის, - ადამიანი იყოს ჭარბი, რეალობა - ცოტა. ფიქრობ, ამის ცნობიერება ავტორს ჰქონდა, მეტიც, იქნებ ეს ცნობიერება აწერიებდა, ან აწერინებდა ისე, როგორ აწერიებდა: მესამე ევდემონი ავტორს ათავისუფლებს მარყუჟისგან, რომელშიც მეორე ევდემონმა თავი გაპყო. შეიძლება ვთქვათ, ავტორი პროტაგონისტის ტყავიდან ტექსტშივე გამოძვრა.

წარატივის და ცხოვრების საეჭვო კოლაბორაცია!

სიყვარულმა რა ჰქმნა...

ერთხელ, კერძო საუბარში, რომანის ავტორმა თქვა: სიყვარული მხოლოდ ადგილია, სადაც მისი (სიყვარულის) შეურაცხყოფა ხდება. ამ სიტყვების აზრი ალბათ ასეთია: სიყვარული არ არის ადგილი სიყვარულისთვის. დიდი ხანია საკრალური სივრციდან იგი პროფანულში გადავიდა, პროფანულიდან - ტრანსგრესულში. არ არსებობს სიყვარულის სავანე, რომელშიც წყვილები თავისთავად და აუცილებლობის წესით შეაბიჯებენ. ამ, ვერ ვიტყვი, რომ თავისთავად ცხად, მაგრამ გასაგებ ამბავს აღწერს ეს რომანი. რომანში სიყვარული ვერ შედგა იმ უკიდურესი ძალისხმევის ხარჯზეც კი, რომ როლების განაწილების სასიყვარულო ეგზოტიკა ყველაზე საშიშ და არაეგზოტიკურ პირობებს - რუტინას მიანდეს. ზრდასრულთა „ოინი“ ვერ შედგა. აქ რუტიმან უყო მათ ოინი: მან პოეზია მოითხოვა, პოეზია, რომელიც არ კმაროდა, რადგან არ იყო...

არ იყო იმიტომ, რომ სიყვარულს წინ არ უსწრებდა სიყვარული და არც სიყვარულის შემდეგ დაიბადა იგი. მოცემულობა, რომლის ძალითაც შეიძლება სიყვარული თავის თავს დროში, „როგორღაც“, დაემთხვას, აქ არ არის. ასეთი დამთხვევა შეყვარებული ადამიანების შეუთანხმებელ ბედისწერებში სამყაროს უკიდურესობების, სხვაობებისა და მსგავსებების ისეთ წინააღმდეგობასა და ლტოლვას გულისხმობს, რომელიც ექსისტენციურ დრო-სივრცეს ესქატოლოგიურ საზრისს სძენს. ელიტური შოვინიზმი და ინტელექტუალური ელიტიზმი ერთმანეთისკენ საამისოდ ვერ გრავიტირებენ. ვერც თეოფორას იური, თავისი მითიური „ჰარემით“ და ევდემონის არაპერსონიფიცირებული, მაგრამ მარად და ყველგან მყოფი „მესამე“, ვერ წარმოქმნიდნენ სასიყვარულო კოსმოგონიისთვის მთავარ ნებელს ასეთ ძალას. ეროტიული დეტალების (საერთოდ, დეტალების) დამუშავებული სინატიფე ამაში ვერ დაგვარწმუნებს. აქ არ ვილაპარაკებ იმაზე, არის თუ არა „დარწმუნების“ ეს საკითხი ტექსტის თვით-ცნობიერების ნაწილი. ასეთი მსჯელობა ანალიზის სხვა მიზანსა და მორფოლოგიას გულისხმობს. გავაგრძელებ იმას, რომ მთავარი გმირების სულები არ არის სახეს სიყვარულის მითით, რომ სიყვარულის წყარო საკუთარ ფესვებში აპოკონ. რეალურად, რაც გმირებს აკლიათ, ეს არის წარსული. არადა, მათ უკან, თითქოს, წარსული ექაჩებათ. სიყვარულის პარადოქსი კი ის არის, რომ მას აწმყო არა აქვს, იგი ყოველთვის მოსდევს, ან წინ უსწრებს საკუთარ თავს. ვერაფერს ვიზამთ. ასეთია ცხოვრება და ამას მხოლოდ ცხოვრებისა და ოცნების ზღვარზე შეიძლება „უშველოს“. ეს კი უკვე ნამდვილყოფის ხელოვნება - ლიტერატურუ-

ლი კარნაციაა, ზღვარს რომ შლის იმით შორის რაც არის და რაც შეიძლება ყოფილიყო.

გასრულდა ეს ამბავი, ვით არ სიზმარი ღამისა...

დიდი ხანია, სარომანო კომპოზიციაში, ასე ვთქვათ, ფიქსირებული დასასრული ძველებურად აღარ არსებობს. უფრო ზუსტად, დასასრულის ფუნქციას არაფიქსირებული დასასრული, თუ დაუსრულებლობა, - მხატვრიდან რეალურში გარდამავალი ეს ლიტერატურული ნასკვი საკუთარი სტრუქტურით გამოხატავს და იგი უკვე არა ლიტერატურას, არამედ სოციოლოგიას ეკუთვნის. კლასიკური ფორმები მუშაობდა დასასრულზე, როგორც ლიტერატურის მკაფიო ორნამენტზე, რომელსაც არა დეკორაციული, არამედ იმანენტური ფუნქცია ჰქონდა. ეგრეთ წოდებული „ჰეფი ენდის“ აზრი არა იმდენად კეთილი დასასრული, რამდენადაც თვითონ „დასასრული“ იყო, რომელიც ლიტერატურას ისე შეეძლო გადაეწყვიტა, როგორც თვითონ სურდა. დასასრული ლიტერატურის ძალაუფლება იყო, ჰეფიენდი - აბსოლუტური ძალაუფლება, რომელიც არ რყვნიდა. ამიტომ რიტუალის კულტურაში „დასასრული“, როგორც ტექსტის სტრუქტურის ორნამენტი, ექსისტენციის განცდის საქმეა, რაც, საბოლოოდ, სხვა არაფერია, თუ არა ფორმა, თუ არა რიტუალი!

„ქარის გამოჩენა“ რიტუალს არ იცნობს; არა იმიტომ, რომ მას, უბრალოდ, გმობს; იმიტომ, რომ საამისოდ არც ცხოვრებისა და ეროტიკის კონვენციური სერვისი კმარა, არც ადამიანური ისტორიის ბუნებრივი ხმაური.

რიტუალი საკრალური ჟესტია, რომლის განხორციელება კულტურულ დათქმებს არ შეუძლია. ამიტომ ამ რომანს არა აქვს დასასრული. ის არ მთავრდება არც ხმაურით, არც ქვითინით. ის თავის არყოფნაში ქრება, როგორც წრფის უსასრულობა სივრცის უსასრულობაში, როგორც ორნამენტის სულიერი შეუძლებლობა.

დასასრულის ნაცვლად თუ დასასრული მსჯელობის ნაცვლად...

დიდი ხნის მანძილზე ლიტერატურისთვის სამყარო იყო კითხვა, რომელიც პასუხს ითხოვდა. ლიტერატურა ცდილობდა თავდადებით ეპასუხა. თავდადებით, რადგან სინამდვილე ლიტერატურულ პასუხებს არ იმასხოვრებს. პასუხებს იმასხოვრებს ადამიანი და როგორც სანუგეშოს, იზეპირებდა კიდეც ლოცვასავით.

ახლა ლიტერატურა თვითონ იქცა კითხვად, რომელსაც ის უსვამს სინამდვილეს. აქვს თუ არა მას პასუხების არგაგონების, შეუსმენლობის ფუფუნება, ეს ცალკე მსჯელობის საგანია. აქ იმას ვიტყვი, რომ კითხვა-პასუხის ნაწილობრივი ფუნქცია - გასცეს პასუხები, ლიტერატურამ სოციოლოგიას გადასცა. სოციოლოგიას კი პოეტიკასთან თავისი შავი და თეთრი ანგარიში აქვს. ამ ანგარიშის წყალობით, პოეტიკა წერის სფეროდან გავიდა, მისი ფუნქცია დეკორაციამ შეიძინა. მხატვრული სინტაქსი მშრალი დეკორაცია გახდა, რომლის ფონზეც დიდი კითხვები უნდა გათამაშდეს. მაგრამ, ჯერ-ჯერობით, პასუხი (სინამდვილე) ურთიერთმსგავსი კითხვა-ტექსტების პირობებში ინფანტილურია საიმისოდ, რომ შეკითხვების - ყოფნისა და გამოხატვის სხვა, მისანდობი სიმართლე ეძებოს.



აქ შეიძლება ყოფილიყო თქვენი ჩაქნა

751/154

ტელ: 577 747-719
ელ-ფოსტა: info@arilimag.ge

